ალია

N22/3338/ 26 თებერვალი, 1 მარტი 2016 წ ფასი 1 ლარი

ორშაბათი ალია · ოთხშაბათი ალია · პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE გამოდის 1995 წლიდან

„საქართველოს რკინიგზა მოგიწოდებთ, გადაკვეთოთ ლიანდაგები მხოლოდ სპეციალურ გადასასვლელებზე და გაუფრთხილდეთ საკუთარ სიცოცხლეს!



8

# რატომ არ გადადგა გამოძიების დასრულებამდე თინა ხიდაშელი, როგორც ეს მინისტრმა კირვალიძემ გააკეთა?

და ვინ აპირებს „ოცნებიდან“ „რესპუბლიკელებში“ გადასვლას?



4

ვინ დაისჯება მოსამართლეთა საგამოცდო ტესტების „გაყიდვის“ გამო — ნინო გვენეტაძე თუ მურუსიძე?



3

„ანა დოლიძე დაკავშირებულია „ქართულ ოცნებასთან“ და მისი დანიშვნა უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ ბევრ კითხვის ნიშანს მოიცავს“



2

## ვინ არის ქადაგიძის მოვალეობის შემსრულებელი მესტვირიშვილი და რა ელის ლარის კურსს მისი მმართველობისას?

9

რა უნდა გააკეთოს მევალემ, თუკი კერძო „ამომღები კომპანია“ მიადგება?



12

# რატომ გარისკა მოსამართლე ახვლედიანმა ხმის ამოღება და რა გარიგება შედგა გვენეტაძე-მურუსიძეს შორის?



7

რატომ აუქმებს მერია კომუნალურ გაუწერებს და რა რეზერვი აქვს მის დასაფარად?



10

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

„დაიმახსოვრეთ მისი სახე, არ შეუშვათ ობიექტებზე“




5

„ზარით დაკრძალვის სვანურ რიტუალს“ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა



7

„ტეხავს, სამარცხვინოა... ვერ წარმომედგინა, რომ ასეთ შეცდომას დაუშვებდა“ — ანანიაშვილს მოსკოვში ცეკვის გამო აკრიტიკებენ



8

რას ყვება „კოკაინის საქმის“ მთავარი ფიგურანტი ნუგზარ ბოჭორიშვილი კობახიძისა და მისი ძმის გარშემო აგორებულ ახალ სკანდალზე



2

აჭარის ერთ-ერთ სოფელში მამაკაცს კასტრაცია ჩაუტარეს




7

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ივანიშვილი არც ისეთი მარტივია, ბევრ „კოზირს" ინახავს" — ვახტანგ რჩეულიშვილი „ოცებისა" და „ნაციონალების" მომავალზე



ვახტანგ რჩეულიშვილი სოციალურ ქსელში მმართველი ძალისა და ოპოზიციის მომავალთან დაკავშირებით, საკუთარ პოლიტიკურ გამოცდილებაზე დაყრდნობით პროგნოზს აქვეყნებს:

– დამოუკიდებელ საქართველოში არჩევნების ბედს განსაზღვრავდა აშშ-ის მხარდაჭერა. რუსეთი საშიში მეზობელია და პარტნიორად არ ვარგა. სხვა არჩევანი არცა გვქონია. ამჯერადაც ასე იქნება. ამერიკელებს კი პიროვნებებზე მეტად პოლიტიკური ინსტიტუტების, უწინარესად საპარლამენტო პარტიების მტკიცე მხარდაჭერა სჭირდება". ამიტომაც ივანიშვილის ჭრელ „ოცნებას" სჭირდება თანმიმდევრულად პროამერიკული ძალა კოალიციაში, რომელსაც აშშ ენდობა. ეს ან „რესპუბლიკელები" ან ალასანიას პარტია იქნება. ალასანია მოსახლეობისთვის უფრო მისაღებია, მაგრამ „რესპუბლიკელების" პლუსია მეტი პარტიული გამოცდილება და ამასთანავე, ისინი ივანიშვილთან პირად კონფლიქტში არ ყოფილან. რაც ივანიშვილის ტიპის ლიდერისთვის მნიშვნელოვანია. ამიტომ დღეს „რესპუბლიკელებს" მაინც მეტი შანსი აქვთ, თუ ზედმეტმა ამბიციებმა და თანამდებობებისთვის ბრძოლამ არ გადაიყოლათ. ამ შემთხვევაში ალასანიას მიეცემა კიდევ ერთი შანსი. „რესპუბლიკელები" „მრეწველებს", ალბათ, მოუგებენ კოალიციის შიგნით. თუმცა თოფაძეს დიდი პოლიტიკური გამოცდილება აქვს და შეიძლება პრორუსულ ძალებთან ერთად ვიხილოთ მომავალ პარლამენტში პროდასავლელი ნაციონალების დასაბალანსებლად. უფრო ამის მაჩვენებელია მისი დაპირისპირება ხიდეშელთან, რასაც „რასპუბლიკელები" წამოეგენ. ივანიშვილი არც ისეთი მარტივია, როგორც ზოგიერთს მიაჩნია. ბევრ „კოზირს" ინახავს და ადვილად პოზიციებს არ დათმობს. ერთადერთ დასავლური ტიპის ძლიერ პოლიტიკურ პარტიად კი მაინც ნაციონალები რჩებიან, მაგრამ მათი გამარჯვება ამ არჩევნებზე ნაკლებად სავარაუდოა. თუმცა ერთი საარჩევნო პერიოდიც რომ გაძლონ დაუშლელად, ალბათ, დაბრუნდებიან ხელისუფლებაში. სხვა პარტია ასეთ საერთაშორისო ავტორიტეტს ველარ მოიხვეჭს. (ambebi.ge)

# რას ყვება „კოკაინის საქმის" მთავარი ფიგურანტი ნუგზარ ბოჭორიშვილი კობახიძისა და მისი ძმის გარშემო აგორებულ ახალ სკანდალზე








ე.წ. კოკაინის საქმის სკანდალი გრძელდება – ამჯერად, პარლამენტის ვიცე-სპიკერის მანანა კობახიძის წინააღმდეგ დაკავებულების ადვოკატი კობა კობახიძე ალაპარაკდა. როგორც კობა კობახიძემ გადაცემა „არჩევანში" სტუმრობისას განაცხადა, ანასტასია ზაუტაშვილის ოჯახს მანანა კობახიძის ძმამ, თედო კობახიძემ დააკავშირა: „მითხრა, რომ ვიდრე მე ზაუტაშვილის და ე.წ. კოკაინის საქმეზე დაკავებულების ინტერესებს დავიცავდი, ის იმუშავებდა შეწყალების თემაზე. თუმცა თედოს იქ ვინ ეკითხებოდა რამეს, მას ყველა მანანათი სცემდა პატივს. გამარჯვების შემთხვევაში, ანუ თუ დაკავებულები განთავისუფლდებოდნენ, დამატებით 75 ათასი ევრო უნდა მოგვეთხოვა ხუთივე დაკავებულისგან, – განაცხადა კობა კობახიძემ „არჩევანში".

**რამდენი გადაუხადა რეალურად და საქმის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, ვის ჰპირდებოდა ბონუსებს — ამაზე სასაუბროდ „ambebi.ge" „კოკაინის საქმის" მთავარ ფიგურანტს, ანასტასია ზაუტაშვილის მეგობარ მამაკაცს ნუგზარ ბოჭორიშვილს დაუკავშირდა:**

– კობა კობახიძის ადვოკატად აყვანა თედო კობახიძემ მართლაც მირჩია. წლების წინათ თედოც ჩემი ადვოკატი იყო და შვილის მეურვეობის საკითხებში მეხმარებოდა, თუმცა როგორც კი ორივე და-ძმა პოლიტიკაში მოვიდა, ჩემს საქმეებს ავტომატურად ჩამოშორდნენ. საგანგაშო არაფერია იმაში, თუ კობა კობახიძეს თედომ და მანანამ რეკომენდაცია გაუწიეს. თქვენ რომ გკითხოთ რჩევა, კარგი ჟურნალისტი მირჩიეთ, ვინც კონკრეტულ საქმეში ერკვევამეთქი, დანაშაული იქნება?!

**— თქვენ თანამდებობის პირებზე საუბრობთ, თანაც კობა კობახიძის განცხადებით, თედო კობახიძე შეწყალების კომისიასთან ურთიერთობის „დალაგებასაც" გპირდებოდათ.**

– კობა კობახიძე იტყუება. უბრალოდ, მანანამ და თედომ ჩემი საქმის დეტალები კარგად იცოდნენ, მათთვის ისიც ცნობილი იყო, რომ უდანაშაულო ადამიანები ციხეში უკანონოდ გამოკეტეს. შესაბამისად, შესაძლოა, ადამიანურ დონეზე გვგულშემატკივრობდნენ, მაგრამ სხვა ფინანსური დაპირება არც ერთი მხრიდან არ გაჟღერებულა.

**— საქმეში ახალი გარემოებების გამოვლენის შემთხვევაში, კობახიძეებს ბონუსად არც 75 ათას ევროს დაპირებიხართ?**

– კობა კობახიძეს 6 250 ევრო გადავუხადე. ვფიქრობ, ეს თანხა ახალი გარემოებების მოსაძიებლად საკმარისი იყო, თუმცა მან ვერაფრის გაკეთება ვერ მოახერხა. მხოლოდ ჩემი მოტყუებით იყო დაკავებული. ამიტომაც ჩავთვალე, რომ კობა კობახიძეს ეს თანხა ჩემთვის უნდა დაებრუნებინა. რაც შეეხება ბონუსებს, არც თედოსთან და არც კობასთან ბონუსებზე საუბარი არ მქონია. თუ საქმე წარმატებით დასრულდებოდა, თავად გადავწყვეტდი, ვისთვის რა თანხა გადამეხადა ბონუსად.

**— საინტერესოა, ეკა ბესელიასთან და მანანა კობახიძესთან თუ ისაუბრეთ ამ საქმის გახმაურების შემდეგ?**

– მათთან საუბრის სურვილიც კი არ გამჩენია. ფაქტია, რომ არაფრის გამკეთებლები არ არიან, დღემდე ისიც ვერ მოხერხდა, რომ ჩემი ახლობლების წამების ფაქტზე გამოძიება დაწყებულიყო. როგორც ჩანს, პროკურატურაც დღესაც წინა ხელისუფლების ხაზს აგრძელებს და სიმართლე ნაკლებად აინტერესებს.

**— კიდევ ერთი საკითხი გახდა მითქმა-მოთქმის საფუძველი — რატომ მოითხოვა ანასტასია ზაუტაშვილმა ელისაშვილთან შეხვედრა და ადვოკატების აყვანაშიც მისგან რეკომენდაციები რატომ მიიღო?**

– ალეკო ელისაშვილი შეცდომაში შეიყვანეს. როგორც ჩანს, მას თავადაც დააჯერეს, რომ პოლიტიკოსებთან გარიგებული ვიყავი და მათ სოლიდურ თანხებსაც ვუხდიდი. სწორედ ამ მიზნით შეხვდა ანასტასიაც, უნდოდა მისთვის კონკრეტული ინფორმაცია მიეწოდებინა და ეთქვა, რომ თანხა ჩვენი ოჯახიდან არავის გადაუხდია. რაც შეეხება ადვოკატებს, ალეკო ელისაშვილმა ორი ადამიანის დახმარება გვირჩია და მინდა გითხრათ, რომ მათ მეც ვენდობი. იმედი მაქვს, ისინი ახალ გარემოებას აღმოაჩენენ და პრეზიდენტსაც სწორ ინფორმაციას მიაწვდიან. ვფიქრობ, ამ საქმეზე პრეზიდენტსაც არ ჰქონდა ზუსტი ინფორმაცია.

**— ვრცელდება ინფორმაცია, რომ ელისაშვილთან გარიგდით — თუ ის ახალი ადვოკატების აყვანის შემდეგ პრეზიდენტთან ე.წ. კოკაინის საქმეში დაკავებული პირების შეწყალებაში დაგეხმარებათ, თქვენ კობახიძე-ბესელიას წინააღმდეგ კომპრომატებს მიაწვდით.**

– ალეკო ელისაშვილთან მართლაც ვისაუბრე, გარკვეული საკითხები განვიხილეთ, მაგრამ მსგავს გარიგებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ბუნებაში არ მომხდარა ბესელია-კობახიძესთან ფინანსური გარიგება და ამის დამამტკიცებელი საბუთები საიდან უნდა მქონდეს?! სხვათა შორის, ალეკომ კარგი შთაბეჭდილება დატოვა, გულწრფელი ადამიანია და სავარაუდოდ, ვილაცებმა მისი ამ თვისებით ბოროტად ისარგებლეს. იმედი მაქვს, რომ ეს საქმე მალე დასრულდება და ჩემი უდანაშაულო ოჯახის წევრებიც საპატიმროს მალე დატოვებენ. (ambebi.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



## „ანა დოლიძე დაკავშირებულია „ქართულ ოცნებასთან" და მისი დანიშვნა უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ ბევრ კითხვის ნიშანს მოიცავს"

უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ ანა დოლიძის დასახელებას გაუმართლებელს უწოდებს ოპოზიცია. „ნაციონალური მოძრაობის" განმარტებით, დოლიძე აღმასრულებელი ხელისუფლების მაღალჩინოსანია, რომელიც ასოცირდება კოალიციასთან და შესაბამისად, საკუთარი უფლებამოსილების შესრულების დროს დამოუკიდებელი ვერ იქნება.

– ანა დოლიძე არის მაღალი თანამდებობის პირი, ის არის დაკავშირებული „ქართულ ოცნებასთან" და ასეთი ადამიანის დანიშვნა უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ ძალიან ბევრ კითხვის ნიშანს მოიცავს. გარდა ამისა, მას არ აქვს არანაირი გამოცდილება და, ზოგადად, ჩვენ გვახსოვს პრეზიდენტ მარგველაშვილის მიერ აქამდე წარდგენილი კანდიდატურა სასამართლოს თავმჯდომარედ, ქალბატონი გვენეტაძე და რა შედეგი მოიტანა ამ კანდიდატურამ ჩვენ ყველამ ძალიან კარგად დავინახეთ, – განაცხადა აკაკი მინაშვილმა. (პირველი რადიო)

## უმრავლესობის წევრები შესაძლო სამთავრობო ცვლილებებზე



მთავრობის წევრები მოსალოდნელი სამთავრობო ცვლილებების შესახებ ინფორმაციას არ ფლობენ, თუმცა აცხადებენ, რომ სამთავრობო ცვლილებები ჩვეულებრივი ამბავია. მათი თქმით, ყველაფერი, პოლიტიკოსების ჩათვლით, ცვალებადია.

– არანაირი ინფორმაცია ცვლილებებზე არ მაქვს. არ მგონია, ამ შემთხვევაში რამე იგეგმებოდეს. ზოგადად, ცვლილებებს რაც შეეხება, ერთადერთი, რაც არის უცვლელი, არის ის, რომ ყველაფერი არის ცვალებადი. დანარჩენი ყველაფერი იცვლება ქვეყანაში და მინისტრი, პარლამენტი და ვილაცა უცვლელი ვერ იქნება, – განაცხადა ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრმა სოზარ სუბარმა.

იგივე პოზიცია აქვს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრ გიგლა აგულაშვილსაც.

– მე არ ვიცი, რა წყაროს ეყრდნობიან ის მედიასაშუალებები, რომლებმაც ეს ინფორმაცია გაავრცელეს. ზოგადად, ცვლილებები არის ჩვეულებრივი, ცხოვრებისეული ამბავი. ყველაფერი ცვალებადია, თუმცა მე კონკრეტულად ინფორმირებული არ ვარ ამ საკითხზე, – განაცხადა აგულაშვილმა.

ეკა ბესელიას განმარტებით, სამთავრობო ცვლილებებთან დაკავშირებით რაიმე კალენდარი არ არსებობს და ამ თემაზე არც კონსულტაციები გამართულა.

– ვიცით, რომ გიორგი კვირიკაშვილმა პრემიერის პოსტზე ნდობის გამოცხადებისას თქვა, რომ მომავალში მთავრობაში ცვლილებებს არ გამორიცხავს. უბრალოდ, მას სჭირდებოდა მეტი დრო გადაწყვეტილების მისაღებად, – აცხადებს ეკა ბესელია.

დეპუტატ ანი მიროტაძის ინფორმაციით, სამთავრობო ცვლილებების საკითხზე კონსულტაციები არც მათ პოლიტიკურ გუნდში, არც უმრავლესობასა და არც პოლიტსაბჭოს ფორმატში არ ყოფილა.

– არ ვიცი, გიორგი კვირიკაშვილს მთავრობაში ცვლილებების განხორციელებასთან დაკავშირებით რა მოსაზრებები აქვს, მაგრამ, თუკი აქვს, ეს ბუნებრივი და ლოგიკურია. კვირიკაშვილმა გუნდი ისე ჩაიბარა, რომ არც ერთი ცვლილება არ განუხორციელებია. მან განაცხადა, რომ ამ მინისტრებთან იმუშავებს და გადაწყვეტილებებს მიიღებს. არ გამოვრიცხავ, რომ ჰქონდეს საკუთარი მონახაზი და გადაწყვეტილებაც მიიღოს, – აცხადებს ანი მიროტაძე. (ambebi.ge)

## კასპში ჩხუბის დროს მამაკაცი გაგუდეს

სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1987 წელს დაბადებული ზურაბ ფ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა კასპის რაიონის სოფელ ზემო ხანდაკში, ურთიერთშელაპარაკებისას, თანასოფლელს – 1971 წელს დაბადებულ მამაკაცს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, შემდეგ ხელით გაგუდა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. პოლიციამ ზურაბ ფ. მომხდარიდან ნახევარ საათში დააკავა. ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს. (ნიუპოსტი)

## მაღაროელებს საგადასახადო შეღავათები შეუნარჩუნდებათ



მაღაროელებს მიმდინარე წლის პირველ იანვრამდე არსებული საგადასახადო შეღავათები შეუნარჩუნდებათ – შესაბამისი კანონპროექტი მომზადებულია და პარლამენტში განსახილველად უახლოეს მომავალში შევა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი მთავრობის სხდომაზე ტყიბულში მაღაროელების გაფიცვის საკითხით დაინტერესდა. მან ინფორმაციის მიწოდება ჯანდაცვისა და ფინანსთა მინისტრებს სთხოვა.

– ჩვენ მოვამზადეთ გარკვეული კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს, რომ იმ ადამიანებს, რომლებსაც მიმდინარე წლის პირველ იანვრამდე ჰქონდათ საგადასახადო შეღავათები, უპირველეს ყოვლისა, ეს შეეხება მაღაროელებს, შეღავათები შეუნარჩუნდებათ. ამ შეღავათების მოქმედება გაგრძელდება. ჩვენ ამის თაობაზე გვაქვს კონსულტაციები საქართველოს პარლამენტთან და აღნიშნული კანონპროექტი უახლოეს მომავალში იქნება ინიცირებული, – განაცხადა ნოდარ ხადურმა მთავრობის სხდომაზე.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის დავით სერგეენკოს განმარტებით, ტყიბულის მაღაროში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები არის შრომითი დავა. მანვე იმედი გამოთქვა, რომ სამინისტროს მხრიდან მოლაპარაკებებისა და მედიაციის გზით, შესაძლებელი გახდება საკითხის დარეგულირება.

– ტყიბულის მაღაროში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები ცალსახად არის შრომითი დავა. ეს არ არის კავშირში რაიმე სხვა პროცესებთან. ჯანდაცვის სამინისტრო პირველი დღეებიდან არის ჩართული ამ შრომით დავაში. ეს კანონით მონიჭებული მოვალეობაა. ჩვენი მიმდინარე ანალიზით, მიუხედავად იმისა, რომ მოლაპარაკება მარტივად არ მიმდინარეობს, ის მაინც რჩება შრომითი დავის ფარგლებში. მე ვფიქრობ, უახლოესი დღეები გვაჩვენებს პროგრესს, როდესაც მოლაპარაკებისა და ჩვენი მხრიდან მედიაციის გზით შესაძლებელი იქნება ყველა საკვანძო საკითხის დარეგულირება, – განაცხადა დავით სერგეენკომ. (pia.ge)

ნინო ლაგარტყავა
571 99-92-33



# ვინ დაისჯება მოსამართლეთა საგამოცდო ტესტების „გაყიდვის“ გამო — ნინო გვენეტაძე თუ მურუსიძე?



**არის თუ არა მოსალოდნელი სამთავრობო ცვლილებები წინასაარჩევნოდ და შეეხება? რა შედეგი მოყვება საგარეჯოში არჩევნების გაყალბების გამოძიებას? ახლა რატომ ალაპარაკდა ადვოკატი კობა კობახიძე? ვინ დაისჯება მოსამართლეთა საგამოცდო ტესტების „გაყიდვის“ გამო? რატომ დაასახელა პრეზიდენტმა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად ხიდაშელის მოადგილე ანა დოლიძე?**

„ალიას“ გლობალური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი ნანა დევდარიანი ესაუბრა:

**— ამ დღეებში ისევ დაიწყო საუბრები სამთავრობო ცვლილებებზე. სახელისუფლო გუნდის ნაწილი ამას უარყოფს, სხვები არ გამორიცხავენ. თქვენი აზრით, რა ხდება?**

– პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა მისი დამტკიცებისას დააანონსა, რომ სამთავრობო ცვლილებები იმ ეტაპზე არა, მაგრამ ცოტა ხანში იქნებოდა, ამიტომ ეს ცვლილებები იქნება. ცვლილებები მოსალოდნელია, თუმცა ვინც ელოდება, რომ „რესპუბლიკელებს“ გაუშვებენ მთავრობიდან, ეს ფუჭი მოლოდინია. ბიძინა ივანიშვილი პერიოდულად ამბობს ხოლმე, დაანებეთ თავი „რესპუბლიკელების“ კრიტიკას, ისინი ძალიან გამოცდილები, კარგი სახელმწიფო მოღვაწეები არიან და ასე შემდეგ. საერთოდაც, ამას არავინ გაკეთებს არჩევნების წინ, რადგან ეს იქნება კოალიციის დაშლა. ამიტომ ცვლილებები, თუ ასეთი მოხდება, შეეხება უფრო ეკონომიკურ ბლოკს და სხვა სამინისტროებს, მაგრამ არა იმ პოსტებს, რომლებიც „რესპუბლიკელებს“ უკავიათ.

**— დასავლეთის გამოც ხომ არა. როგორც ვიცით, ხიდაშელი მინისტრად ამერიკელების მოთხოვნით დაინიშნა.**

– შეერთებულ შტატებს არასდროს დაუმალავს, რომ „რესპუბლიკელებს“ ლობირებენ. ამას გარდა, როგორც გითხარით, ბიძინა ივანიშვილს მიაჩნია, რომ ისინი ძალიან გამოცდილები არიან პოლიტიკაში, ისევე, როგორც მიაჩნდა, რომ ადეიშვილი და მერაბიშვილი ეფექტური მინისტრები იყვნენ, უბრალოდ, სააკაშვილის ბრალი იყო ის, რაც ჩაიდინესო. არის ეს სუბიექტური მომენტები, რა თქმა უნდა, მაგრამ ერთ-ერთი წამყვანი ის არის, რომ ე.წ. დასავლური ღირებულებების, რომელთა ერთი ნაწილი ჩვენი საზოგადოებისთვის სრულიად მიუღებელია, ლობისტები ნამდვილად არიან „რესპუბლიკური პარტიის“ წარმომადგენლები და მიაჩნიათ, რომ ეს გზა არის საქართველოსთვის მართებული. მთელი წინააღმდეგობა ხომ ამაზეა დაფუძნებული და არა იმაზე, რომელიმეს თმის ფერი არ მოსწონთ და თვალის ჭრილი.

**— პროკურატურამ საგარეჯოს შუალედური არჩევნების გამოძიება დაიწყო. ბოლო პერიოდში ამ საკითხს გოგი თოფაძე ხშირად აყენებდა. მხოლოდ თოფაძის მოთხოვნაზე მოახდინდა რეაგირებას პროკურატურა?**

– რა თქმა უნდა, რადგან ერთია, როდესაც, დავუშვათ, საზოგადოების წარმომადგენლები ამბობენ ამას და მეორეა, როდესაც იგივეს აცხადებს მმართველი კოალიციის წევრი და პარლამენტში ფრაქციის თავმჯდომარე. მაგრამ, სხვათა შორის, ძალიან ხშირად ასეთი გამოძიებები ან კომისიების შექმნა და ასე შემდეგ, დაკავშირებულია იმასთან, რომ საბოლოოდ „გათეთრდეს“ ის, ვის მიმართაც არის პრეტენზიები. ამიტომ უნდა დაველოდოთ, რა იქნება შედეგი. თუ პროკურატურა დადებს დასკვნას, რომ ყველაფერი კანონის ფარგლებში იყო, მაშინ გასაგებია, რისთვის არის დაწყებული ეს გამოძიება. არც ის არ არის გამორიცხული, რომ არჩევნების წინ მოხსნან გარკვეული კითხვის ნიშნები. ისე თავხედურად და უტიფრად მოხდა საგარეჯოს შემთხვევაში ყველაფერი, რომ ხალხის გადარწმუნება, უბრალოდ, გამოძიებით და რაღაც ისეთი დასკვნის დადებით არ მოხერხდება. ეს უფრო, მე ვფიქრობ, არის მოწოდებული იგივე ჩვენი დასავლელი პარტნიორებისთვის, რადგან ბოლო ვიზიტისას კვირიკაშვილმა თქვა, – არჩევნების დემოკრატიული სტანდარტებით ჩატარება არის ჩვენი ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევა და ეს უნდა გავაკეთოთო.

**— კობახიძე-ბესელიაელისაშვილის სკანდალი, თითქმის სამი თვის წინ დაიწყო, ადვოკატი კობა კობახიძე კი სულ ახლახან გამოჩნდა და ძალიან სკანდალური განცხადება გააკეთა. როგორ ფიქრობთ, რატომ გამოჩნდა ახლა და არა, თუნდაც სკანდალის აგორებისას?**

– ელისაშვილს, იმისთვის, რომ დაედასტურებინა რასაც ამბობდა, გარკვეული სვლების გაკეთება დასჭირდა. მათ შორის, ცნობილი გახდა, რომ რამდენიმესაათიანი შეხვედრა ჰქონდა ანასტასია ზაუტაშვილთან, შესთავაზა ადვოკატი და დაცვა, ხომ? ამ ხაზს თუ გავაგრძელებთ, არ არის გამორიცხული, რომ ის კიდევ ეძებს სხვა დამატებით დასაყრდენებს, პერსონებსა და მტკიცებულებებს, რომ თავისი პოზიციები გაიმყაროს. მაგრამ ძალიან არასარწმუნოდ გამოიყურება ეს ყველაფერი. იცით, რა არის? მე რომ თქვენზე განვაცხადო, რომ რაღაცაში ფული აიღეთ, ეს შეცვლის რამეს საზოგადოდ და კონკრეტულად რაიმე საქმეში? ყველას შეუძლია, რაღაც თქვას. ნათქვამის გარდა, ამ კობა კობახიძისგან არაფერი არ არის.

**— პროკურატურამ დაიწყო გამოძიება მოსამართლეთა საგამოცდო ტესტებზე. როგორც ითქვა, ტესტებზე წვდომა მურუსიძეს, გვენეტაძესა და ახვლედიანს ჰქონდა. როგორ ფიქრობთ, ვის შეიძლება მისწვდეს პროკურატურის ხელი და მოჰყვება თუ არა ამ პროცესს რომელიმე მათგანის გადაყენება, ან დადგება თუ არა რომელიმე მათგანის პასუხისმგებლობის საკითხი?**

– მოდით, ასე ვთქვათ: უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის იმპიჩმენტის საკითხი არის საკმაოდ რთული, რაღაც განსაკუთრებული დასაბუთება სჭირდება, მაგრამ მინდა, შეგახსენოთ: ჩვენ ის ხელისუფლება გვყავს, რომელმაც კუბლაშვილისა და სააკაშვილის იმპიჩმენტის საკითხი ვერ დააყენა, თუმცა ამის ყველა საშუალება ჰქონდათ. ახლა ვივარაუდოთ, რომ გვენეტაძე, რომელიც სულ ახლახან დამტკიცდა, მის მიმართ დაიწყება ეს პროცედურა, ნამდვილად არ მგონია. მეორეც, ნინო გვენეტაძემ ვინმეს ტესტები დაურიგა, ამის ნამდვილად არ მჯერა. რაც შეეხება მურუსიძეს: მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების უდიდესი ნაწილი, პრეზიდენტის ჩათვლით, იყო უკმაყოფილო, ის მაინც გაამწესეს თანამდებობაზე. ამ ყველაფრის გათვალისწინებით რას უნდა ველოდოთ? საერთოდ, ნებისმიერი კონკურსი და ტესტირება ხასიათდება ერთი რამით, – ყოველთვის არიან უკმაყოფილოები. აი, ახლა ძალიან საინტერესოა, ვინც ვერ გაიარა, ვერ ჩააბარა და უკმაყოფილოა, ისინი ხომ არ იტყვიან დამატებით რამეს და მტკიცებულებები თუ ექნებათ? ვინც დაინიშნა და კმაყოფილია, იმისგან არაფერს არ უნდა ელოდო.

**— პრეზიდენტმა მარგველაშვილმა უზენაესი სასამართლოს წევრობის კანდიდატად ანა დოლიძე დაასახელა. იურიდიულ წრეებში საკმაოდ ბევრი მაღალი დონის პროფესიონალია, არიან გამოცდილი მოსამართლეებიც, რომელთაც საკმაოდ დადებითი რეპუტაცია აქვთ. რატომ მაინცდამაინც დოლიძე?**

– გავიხსენოთ, ვინ არის პრეზიდენტის მრჩეველი – კახა კოჟორიძე, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ყოფილი თავმჯდომარე. კიდევ ერთი ყოფილი თავმჯდომარეა ანა დოლიძე, კიდევ ერთი ყოფილი თავმჯდომარეა თინა ხიდაშელი, უსუფაშვილი და შემიძლია, ეს სია გავაგრძელო. არ არის უცნაური, რომ ისინი ერთმანეთს გზას უკვალავენ უმაღლეს სტრუქტურებში. პირადად ანა დოლიძის წინააღმდეგ არაფერი მაქვს, მაგრამ ეს ტენდენცია რომ არ დაინახო, ძალით უნდა დაიბრმავო თვალები. შემთხვევითი არ არის, რომ თინა ხიდაშელმა თავისთან წაიყვანა ანა დოლიძე, მოადგილის რანგში, მერე თავის ადგილზე საგარეჯოს შუალედურ არჩევნებში ასევე „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში“ გამოზრდილი კადრი, თავისი მოგვარე (შეიძლება ნათესავიც) მიიყვანა. ეს სხვას რომ გაეკეთებინა, „რესპუბლიკელები“ ბომბს გადმოუგდებდნენ და ერთ ამბავს ატეხდნენ. ახლა მარტო ერთი ანა დოლიძის წარდგენა და დანიშვნა არ ნიშნავს, რომ უზენაეს სასამართლოში რაღაც ფუნდამენტური, საფუძვლიანი ცვლილებები მოხდება, მაგრამ ნინო გვენეტაძემ თავის დროზე თქვა, რომ აპირებს რეფორმების გატარებას, მათ შორის საკადრო ცვლილებების კუთხით. გავიდა საკმარისი დრო და ალბათ, შედეგი იქნება.

> **„ეს ტენდენცია რომ არ დაინახო, ძალით უნდა დაიბრმავო თვალები. შემთხვევითი არ არის, რომ თინა ხიდაშელმა თავისთან წაიყვანა ანა დოლიძე, მოადგილის რანგში, მერე თავის ადგილზე საგარეჯოს შუალედურ არჩევნებში ასევე „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში“ გამოზრდილი კადრი, თავისი მოგვარე (შეიძლება ნათესავიც) მიიყვანა. ეს სხვას რომ გაეკეთებინა, „რესპუბლიკელები“ ბომბს გადმოუგდებდნენ და ერთ ამბავს ატეხდნენ“**

## „მემუარების წერა ძალიან ადრეა...“ გიორგი ქადაგიძის გამოსამშვიდობებელი „ფეისბუქ“-„პოსტი“



ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე უფლებამოსილების ვადის ამოწურვასთან დაკავშირებით „ფეისბუკზე“ გამოსამშვიდობებელ პოსტს აქვეყნებს:

– ძალიან საინტერესო, რთული, წინააღმდეგობებითა და მიღწევებით სავსე 7(10) წელი იყო. იყო შეცდომებიც, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ბევრი შევძელით. ჯერ მხოლოდ ასე შევაფასებ, მემუარების წერა ძალიან ადრეა. მადლობა ყველას მხარდაჭერის, გულშემატკივრობისა და კრიტიკისთვის, – წერს ქადაგიძე.

გიორგი ქადაგიძე საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პოსტს 2009 წლიდან იკავებს. მას უფლებამოსილების ვადა 26 თებერვალს ეწურება. რაც შეეხება მის შემცვლელს, ჯერჯერობით კანდიდატურა ოფიციალურად ცნობილი არ არის. ეროვნული ბანკის პრეზიდენტს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი, თუმცა „ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონის მიხედვით, ეს ხდება ეროვნული ბანკის საბჭოს უმრავლესობის წარდგინებით უშუალოდ საბჭოს შემადგენლობიდან. (პირველი რადიო)

## „სასურველი იქნებოდა, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები პროცესში უფრო ადრე ჩართულიყვნენ“



ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატი ხელისუფლებას ტყიბულის გაფიცული მეშახტეების პროცესებში დაგვიანებული ჩართულობის გამო აკრიტიკებს და აცხადებს, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები პროცესში უფრო ადრე უნდა ჩართულიყვნენ.

– სასურველი იქნებოდა, რომ ხელისუფლების, განსაკუთრებით აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები პროცესში უფრო ადრე ჩართულიყვნენ. სახალხო დამცველმა შეფასება მისცა იმ ფაქტებს, როგორი დამოკიდებულება აქვს ადმინისტრაციას დასაქმებულების მიმართ, ვგულისხმობ ღირსების შემლახავ მოპყრობას, – განაცხადა ელისო ჩაფიძემ. (პირველი რადიო)

## ცნობილ როკმუსიკოს ბაჩი ქიტიაშვილს საზოგადოების დახმარება ესაჭიროება



ცნობილ ქართველ როკმუსიკოს ბაჩი ქიტიაშვილს ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო საზოგადოების დახმარება ესაჭიროება. ჯგუფ „ბერმუხას“ მუსიკოსს სიმსივნე აღმოაჩნდა, მის ოჯახს კი სათანადო გამოკვლევებისა და მკურნალობისთვის ფინანსური შესაძლებლობა არ გააჩნია. ინფორმაციას ამის შესახებ „ფეისბუკზე“ წამყვანი ზაალ წულუკიძე ავრცელებს და საზოგადოებას ლეგენდარული მუსიკოსის დახმარებისკენ მოუწოდებს:

– ცნობილ ქართველ როკმუსიკოსს, გიტარისტს, ქართული როკის ლეგენდას ბაჩი ქიტიაშვილს დაუდგინდა ფილტვების კიბო. ის ამჟამად იმყოფება არამიანცის საავადმყოფოს უკან საპატრიარქოს კლინიკაში თერაპიულ განყოფილებაში. მდგომარეობა ძალიან მძიმეა, ბაჩის ოჯახის სოციალური მდგომარეობა არ აძლევს საშუალებას, რომ სათანადო და მაღალი დონის გამოკვლევა ჩაუტარდეს! გაავრცელეთ, გთხოვთ და დავეხმაროთ ბაჩისა და მის ოჯახს, – წერს ზაალ წულუკიძე. (ნიუპოსტი)

## „თუ ნატო გაფართოებას არ გააგრძელებს, ამან შეიძლება ალიანსის მიმართ უნდობლობა გამოიწვიოს“




უნგრეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელი პიტერ სიიარტო აცხადებს, რომ ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა საქართველოსა და მაკედონიისთვის „კარი ღია დატოვოს“.

მისი თქმით, ნატო-მ დროულად უნდა დაასრულოს მონტენეგროს გაწევრიანების პროცედურა და საქართველოსა და მაკედონიისთვის ღია კარის პოლიტიკა შეინარჩუნოს.

სააგენტო „როიტერის“ ინფორმაციით, როგორც უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, ალიანსის მიმართ ნდობა გაქრება, თუ ის გაფართოებას არ განაგრძობს.

– თუ ნატო გაფართოების პროცესს არ გააგრძელებს, ამან შეიძლება ალიანსის მიმართ უნდობლობა გამოიწვიოს. ნატო-მ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ საკუთარ შემადგენლობაში მონტენეგროს მიღების პროცედურები დაასრულოს, ხოლო საქართველოსა და მაკედონიისთვის კარი ღია დატოვოს, – განაცხადა პიტერ სიიარტომ. (pia.ge)



# რატომ არ გადადგა გამოძიების დასრულებამდე თინა ხიდაშელი, როგორც ეს მინისტრმა კირვალიძემ გააკეთა?

## და ვინ აპირებს „ოცნებიდან“ „რესპუბლიკელებში“ გადასვლას?

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



ეს ნამდვილი სკანდალია, საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების უახლეს ისტორიაში მსგავსი პრეცედენტი არასდროს მომხდარა, როცა უმრავლესობის დეპუტატი ადანაშაულებს თავდაცვის მინისტრს არჩევნების გაყალბებაში და შემდგომ, საქართველოს მთავარი პროკურატურა სისხლის სამართლის საქმეს აღძრავს. 25 თებერვალს ცნობილი გახდა, რომ მთავარ პროკურატურაში გამოძიება დაწყებულია სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას გულისხმობს. გამოძიების საფუძველი გახდა არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიმართვა, რომელიც გოგი თოფაძის საჯარო განცხადებებს ეხება. თოფაძემ თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი არჩევნების გაყალბებაში დაადანაშაულა და არასამთავრობო ორგანიზაცია ითხოვს, გაირკვეს, ადგილი აქვს ცილისწამებას თუ არჩევნების გაყალბება რეალურად მოხდა.

თავდაცვის მინისტრი, განცხადებას არ წერს და გამოძიების დასრულებამდე თანამდებობიდან არ გადადგა, რაც მას კანონით არ ევალება, მაგრამ დემოკრატიულ ქვეყნებში დაუწერელი კანონია. ეს პრეცედენტი მოხდა საქართველოშიც, როცა „ტრაქტორების საქმეზე“ სოფლის მეურნეობის მინისტრი კირვალიძე გამოძიების დასრულებამდე პოსტიდან გადადგა და მიუხედავად იმისა, რომ მას დანაშაული არ მიუძღოდა კორუფციაში და პირდაპირი სამიზნე არ იყო, მან გამოძიებას ხელი არ შეუშალა და პოსტიდან წავიდა. მაშინ ივანიშვილმა განაცხადა, აუცილებლად დავაბრუნებო, თუმცა გამართლების შემდეგ თანამდებობაზე აღარ დაბრუნებულა. რადგან ბიძინას მისთვის უკან დაბრუნებაზე აღარაფერი უთქვამს. რა თქმა უნდა, თინა ხიდაშელი ამას არ გააკეთებს, ის ბრძოლაშია შესული და უფრო მეტად იძაბება პოლიტიკური დაპირისპირება. ხიდაშელი აცხადებს, რომ ეს არ არის თინა ხიდაშელის წინააღმდეგ მიმართული კამპანია, არამედ ეს არის ხელისუფლების პროდასავლური ორიენტაციის წინააღმდეგ მიმართული აქცია, ეს არის ბინძური მეთოდები და ამიტომ პროკურატურამ უსწრაფესად უნდა გამოიძიოს ეს საკითხი. საინტერესოა ისიც, რომ ივანიშვილს ხმა არც საგარეჯოს არჩევნებზე ამოუღია და არც საქმის აღძვრაზე.

წარმოიდგინეთ, სპეცუბნებზე არჩევნებზე რეგიონებიდან ჩაყვანილი ჯარისკაცები როგორ მისცემენ ჩვენებებს მოქმედი თავდაცვის მინისტრის წინააღმდეგ, ეს ხომ წარმოუდგენელია. ამიტომაც, ხელი რომ არ შეეშალოს გამოძიებას, გამოძიების დასრულებამდე ხიდაშელი უნდა გადადგეს. საბოლოოდ, როგორ დასრულდება ეს ბაკქანალია, ამას დაანონსებულ პოლიტსაბჭოს სხდომაზე გავიგებთ, რომელიც 27 თებერვალსაა ჩანიშნული, სადაც ბიძინა ივანიშვილს ელოდებიან. სწორედ იქ გადაწყდება ბევრი საკითხი.

კოალიციის დაშლაზე უკვე ღიად საუბრობენ „ქართული ოცნების“ ისეთი ლიდერებიც კი, ვინც აქამდე დუმილს ამჯობინებდნენ. მაგალითად, ეკა ბესელია მიიჩნევს, რომ კოალიციაში შემავალი სუბიექტების არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობა საინტერესო სვლა იქნება და საკუთარი შესაძლებლობების შესახებ გადამეტებულ წარმოდგენასაც პასუხი გაეცემა. ცხადია, ბესელია გულისხმობდა ყველაზე ამბიციურ, საკუთარ თავზე ზედმეტი წარმოდგენის მქონე „რესპუბლიკურ პარტიას“. ამ პარტიის მიმართ ზიზღი მატულობს. სხვათა შორის, იკვეთება ახალი პოლიტიკური კონტურები, „ქართული ოცნებიდან“ „რესპუბლიკურ პარტიაში“ ვინ ისკუპებს. როგორც ამბობენ, ასეთი გახლავთ ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატი „ქართული ოცნებიდან“ ელისო ჩაფიძე, რომელმაც ეს ხელისუფლება დაადანაშაულა მისი და მისი ოჯახის დევნაში, შანტაჟში, შევიწროებაში, საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ მან ამერიკის ელჩი საქმის კურსში ჩააყენა და დახმარება სთხოვა. ყველაფერი კი მისი მიმართვით დაიწყო: „რა დაგიშავეს ტყიბულელებმა, ბატონო ბიძინა“, არადა, ტყიბულელები გასულ წლებშიც იგივე მდგომარეობაში იყვნენ, იგივე პრობლემები აწუხებდათ, რაც დღეს, თუმცა რატომღაც არჩევნების წინ ელისო ჩაფიძემ, საკუთარი პერსონის პოპულარიზაციის მიზნით, პოლიტიკური „პინგპონგის“ თამაში წამოიწყო, რადგან მიხვდა, რომ ქმრისა და ოჯახის წევრების გარდა, აღარავის ახსოვდა. ჩაფიძემ სოციალურ ქსელში მადლობის წერილი განათავსა: „მადლობა თამარ კორძაიასა და „რესპუბლიკურ პარტიას“ მეშახტეების მხარდაჭერისა და კვალიფიციური განცხადებისთვის, აი, რატომ მიყვარს „რესპუბლიკელები“... ჩაფიძემ აღიარა „რესპუბლიკელებთან“ შარიშური და თუკი ელისოს ულტიმატუმები არ დაკმაყოფილდება, და დიდი შანსია, რომ არ დაკმაყოფილდეს, მაშინ საკუთარ თავს „რესპუბლიკურ პარტიაში“ მოძებნის და დიახაც, არ წავა პოლიტიკიდან, როგორც ეს მან ამ რამდენიმე ხნის წინ განაცხადა.

კოალიციაში დღეს ბურთი და მოედანი „რესპუბლიკელებისა“ და „ოცნების“ ხელშია, მაგრამ სხვებიც არიან იმ პასუხისმგებლობის გამზიარებლები, რაც ამ ხელისუფლებას აკისრია: ის, რომ ხდება ლარის დევალვაცია, დაუსაქმებლობის პობლემა, სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემები და ა.შ.

**კომპრომატები გაძლიერდება, სავარაუდოდ, ივნისში, ასე ვარაუდობს ვიცე-სპიკერი მურმან დუმბაძე, რომელიც „ქართულ ოცნებას“ დიდი ხანია გაემიჯნა.**

**„ალიასთან“ ინტერვიუში ის აცხადებს:**

– რაც უფრო ახლოვდება არჩევნები, დაძაბულობა კოალიციის სუბიექტებს შორის, იზრდება. ადამიანები კი არ იცვლებიან, ეს მცდარი შეხედულებაა და არ დაიჯეროთ, რომ შეიცვალა გოგი თოფაძე, ან ლევან და დავით ბერძენიშვილები. „რესპუბლიკელებიც“ და „მრეწველებიც“ ისეთები იყვნენ, როგორებიც 2012 წლის 1-ელ ოქტომბრამდე და დღეს „ღირებულებების“ გამო კი არ ებრძვიან ერთმანეთს, არა, ეს სასაცილოა, ისინი იბრძვიან „კვოტებისთვის“.

**— რა ინფორმაცია გაქვთ, კოალიციის სუბიექტები რა კომპრომატებით აპირებენ ერთმანეთის წინააღმდეგ ბრძოლას?**

– უმრავლესობის წევრებთან ახლაც ვურთიერთობ, ღმერთო ჩემო, ეს რა მესმის, რას ვხედავ, გაოგნებული ვარ. თქვენ არ იცით, რა კულუარული ლაპარაკებია, როგორ ეზიზღებათ ერთმანეთი. როგორ წირავენ ერთმანეთს, რა კომპრომატების გამოქვეყნებაზე საუბრობენ, თქვენ არ იცით, რა გადაძახილებია კომიტეტის სხდომებზე, რა სატელეფონო საუბრები აქვთ ერთმანეთთან.

როცა „რესპუბლიკელები“ იწყებენ საუბარს საპარლამენტო სხდომაზე, „ქართული ოცნების“ წევრებს ისე ეზიზღებათ ისინი, რომ თავს ვერ იკავებენ და ერთმანეთში ზიზღის ენით საუბრობენ და აგინებენ. იგივე ხდება მაშინ, როცა „ოცნების“ წევრი გამოდის ტრიბუნასთან, მათ „რესპუბლიკელები“ დასცინიან. ეს დაპირისპირება შორს წავა და არ გამოვრიცხავ, რომ თუ დღეს ჩვენ ვხედავთ „რესპუბლიკელებისა“ და „მრეწველების“ ხელჩართულ ომს, ზუსტად იგივე და უარესი ვნახოთ პარტია „ქართული ოცნების“ წევრებს შორის. დამიჯერეთ, დაჭამენ ერთმანეთს, უკვე დაწყებული აქვთ ერთმანეთის ჩაძირვა, ენების მიტანა ბიძინა ივანიშვილთან, იციან სია მოკლეა და უმეტესობა ველარ იხილავს საპარლამენტო მანდატს. ხალხს არც ბიძინა ივანიშვილი მოსწონთ, არც კოალიცია „ქართული ოცნება“ და თუ რომელიმე პარტია გამოაკლდება ამ ეკლექტურ შემადგენლობას, ეს მხოლოდ და მხოლოდ იმ პარტიისთვის იქნება სასარგებლო ნაბიჯი, ვინც ამ კოალიციას დატოვებს. იცით, რა მიკვირს? „რესპუბლიკელები“ და „მრეწველები“ ამ ურცხვი და უმძიმესი ბრალდებების ფონზე როგორ უნდა დარჩნენ კოალიციაში. თუ ისინი კოალიციაში ერთად დარჩებიან, შემირცხვენია ასეთი კოალიცია და ასეთი პარტიები. მე მაინც მგონია, კოალიციიდან ერთ-ერთი მაინც უნდა წავიდეს, ან „რესპუბლიკელები“, ან „მრეწველები“, მაგრამ ყველაფრის თავი და თავი არის ბიძინა ივანიშვილი, რომელიც ამ კონფიგურაციას გადაწყვეტს, მის გარეშე არაფერი არ მოხდება. დიდი ალბათობით პოლიტსაბჭოს სხდომაზე ბევრი რამ გაირკვევა და ამ საკითხთან დაკავშირებით.

**— მთავარმა პროკურატურამ გამოძიება დაიწყო გოგი თოფაძის განცხადებებთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის I ნაწილით, რაც თავდაცვის მინისტრის თინა ხიდაშელის სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას გულისხმობს. როგორ ფიქრობთ, რით დასრულდება ეს საკითხი, ხიდაშელი გადადგება?**

– ეს არის ძალიან სერიოზული სკანდალი. მე ერთ საინტერესო ინფორმაციას მოგაწვდით: როცა საგარეჯოს მაჟორიტარის, თამარ ხიდაშელის უფლებამოსილების ცნობის საკითხი დადგა პარლამენტში, 84 იყო მომხრე და ერთი წინააღმდეგი. არ გაინტერესებთ, ვინ იყო ის ერთი, რომელიც წინააღმდეგი წავიდა და არ ცნო თამარ ხიდაშელის უფლებამოსილება? როგორ ფიქრობთ, ეს იყო გოგი თოფაძე? აი, გოგი თოფაძე რომ ყოფილიყო ის ერთადერთი, ვინც თამარ ხიდაშელის დეპუტატობა არ აღიარა, დღეს მის გულწრფელობაში ეჭვი არ შემეპარებოდა, მაგრამ ის ერთადერთი კაცი ვიყავი მე. მაშინაც ვთქვი და ახლაც ვამბობ, ეს არ იყო თავისუფალი არჩევნები, თავისუფალ გარემოში ჩატარებული, როცა ადამიანებს „მარშრუტკით“ მოზიდავ, თავდაცვის მინისტრი და მისი ჯგუფი ჩავა საგარეჯოში და კარდაკარ დაიწყებს სიარულს, როცა ხალხს დაემუქრები, თუ ხმას არ მისცემ თამარ ხიდაშელს, და თუკი ხმას მისცემ, დაგასაქმებო, ეს არ არის თავისუფალ გარემოში ჩატარებული არჩევნები. მე მაინც ვფიქრობ, თუკი ივანიშვილი მოინდომებს, მაშინ გამოძიება მივა ბოლომდე.

**„თავდაცვის მინისტრი, განცხადებას არ წერს და გამოძიების დასრულებამდე თანამდებობიდან არ გადადგა, რაც მას კანონით არ ევალება, მაგრამ დემოკრატიულ ქვეყნებში დაუწერელი კანონია. ეს პრეცედენტი მოხდა საქართველოშიც, როცა „ტრაქტორების საქმეზე“ სოფლის მეურნეობის მინისტრი კირვალიძე გამოძიების დასრულებამდე პოსტიდან გადადგა და მიუხედავად იმისა, რომ მას დანაშაული არ მიუძღოდა კორუფციაში და პირდაპირი სამიზნე არ იყო, მან გამოძიებას ხელი არ შეუშალა და პოსტიდან წავიდა“**

## მკლავჭიდელები ფედერაციის პრეზიდენტობიდან სოსო ჯაჭვლიანის გადადგომას მოითხოვენ



მკლავჭიდელები ფედერაციის პრეზიდენტის, სოსო ჯაჭვლიანის გადადგომას მოითხოვენ და ფედერაციაში არსებული სიტუაციის მოგვარებას სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრს სთხოვენ.

მსოფლიო ჩემპიონებმა – ვასილ დაუთაშვილმა, ლევან საგინაშვილმა, რევაზ ლუტიძემ და გენადი კვიკვინიამ მკლავჭიდის ფედერაციაში არსებულ დარღვევებზე ისაუბრეს და განაცხადეს, რომ მათ საქმის შესწავლისთვის სპორტის სამინისტროს განცხადებითაც მიმართეს.

ვასილ დაუთაშვილის თქმით, მკლავჭიდის ფედერაციის პრეზიდენტი სოსო ჯაჭვლიანი არ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას და სპორტსმენები არასათანადო პირობებში ვარჯიშობენ.

ამასთანავე, დაუთაშვილის ინფორმაციით, ჯაჭვლიანი ფედერაციის პრეზიდენტის გარდა, გაფორმებულია როგორც ნაკრების მწვრთნელი, „იმისთვის, რომ აიღოს მეტი ხელფასი, რეალურად კი მკლავჭიდელები მწვრთნელის გარეშე ვარჯიშობენ“.

– სოსო ჯაჭვლიანი არის ნაკრების მწვრთნელი, თუმცა ის არც ერთხელ არ ყოფილა ვარჯიშზე და ჩვენ მწვრთნელის გარეშე გვიწევს ვარჯიში. ეს ყველაფერი იმისთვის გააკეთა, რომ მას მეტი ხელფასი ალო, – განაცხადა ვასილ დაუთაშვილმა.

მკლავჭიდელების თქმით, მათ სპორტის სამინისტროს 2 კვირის წინ განცხადებით მიმართეს, რათა დაინტერესდეს ფედერაციაში მიმდინარე პროცესებით და უწყებისგან პასუხს ელოდებიან. (ინტერპრესნიუსი)

## მღებრიშვილი მიდის — სამთავრობო „კარუსელი“



უახლოეს მომავალში შესაძლოა მთავრობაში წინასაარჩევნო საკადრო ცვლილებები განხორციელდეს. გავრცელებული ინფორმაციით, თანამდებობას დატოვებს შს მინისტრი გიორგი მღებრიშვილი და მის პოსტს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი ანზორ ჩუბინიძე დაიკავებს.

საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე მიხეილ ჯანელიძეს მისი პირველი მოადგილე დავით ზალკალიანი ჩაანაცვლებს, ჯანელიძე კი ეკონომიკის სამინისტროს ჩაიბარებს. ეკონომიკის მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი ფინანსთა მინისტრს ნოდარ ხადურს ჩაანაცვლებს. (პირველი რადიო)

## სასტიკი მკვლელობა ჭიათურაში — ყელგამოჭრილი ქალი ძმამ ოთახში იპოვა




სასტიკი მკვლელობა მოხდა ჭიათურის მუნიციპალიტეტში, სოფელ მანდაეთში მოკლული ქალის ცხედარი ძმამ ოთახში დაბმული იპოვა. გარდაცვლილს ყელის არეში აქვს ჭრილობა მიყენებული. „რუსთავი 2“-ის ინფორმაციით, პენსიონერი ქალბატონის ძმა აცხადებს, რომ მისი და, სავარაუდოდ, პენსიის გამო მოკლეს. ქალბატონს ზეწარი კისერზე ჰქონდა შემოხვეული. სოფლის მოსახლეობა ყვება, რომ უკვე სახლებიდან გარეთ გასვლის ეშინია.

– ნაწამებია, მხეცის გაკეთებულია, ეს ადამიანის გაკეთებული არ არის. არ ვიცი, დედის ნაშობმა შვილმა როგორ აწამა ასე, – განაცხადა მოკლული ქალის მეზობელმა.

მკვლელობის ფაქტს ადასტურებს შინაგან საქმეთა სამინისტრო. როგორც უწყებაში აცხადებენ, მომხდარზე მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის 108-ე განზრახ მკვლელობის მუხლით. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

დიზაინერი გიორგი შალაშვილი „ფეისბუკზე“ პოსტს აქვეყნებს, სადაც შემოსავლების სამსახურის კონკრეტული თანამშრომლის შესახებ საუბრობს. მისი ინფორმაციით, ეს პიროვნება ცდილობს მაღაზიების დაჯარიმების პრეცედენტი ხელოვნურად შექმნას.

– ჩემი მეგობრების საყურადღებოდ, ეს პიროვნება არის შემოსავლების სამსახურის ხელქვეითი აგენტი სალომე კანტიძედ საბუთებში მოხსენიებული. მასვე ახლდა ვიღაც ლევან სამხარაძე, შესაძლებელია ნამდვილი სახელი და გვარი აქვს სხვა ორივე პიროვნებას. ეს გოგონა მაღაზიებს სტუმრობს როგორც მომხმარებელი იმ მიზნით, რომ ხელოვნურად შექმნას დაჯარიმების პრეცედენტი. დაიმახსოვრეთ მისი სახე და არ შეუშვათ თქვენს ობიექტებზე, – წერს შალაშვილი.

## „დაიმახსოვრეთ მისი სახე, არ შეუშვათ ობიექტებზე“ —

### რას პასუხობს შემოსავლების სამსახური „ცრუ დამჯარიმებლებზე“ ინფორმაციას




დიზაინერის პოსტს შემოსავლების სამსახურში გამოეხმაურნენ. როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ხატია მოისწრაფიშვილი ამბობს, ახალგაზრდა გოგონას მისამართით უსაფუძვლო კრიტიკა ისმის. მისი ინფორმაციით, კონკრეტულ ობიექტზე საქონლის რეალიზებისას, გამყიდველმა ჩეკი არ ამოარტყა, რის შემდეგაც გოგონამ მასზე დაკისრებული მოვალეობა შეასრულა.

– იანვარში ბუდაპეშტში **IOTA**-ს შეკრებას დავესწარი. ალბათ, ბევრმა არ იცის, ეს არის ევროპის საგადასახადო ადმინისტრაციების ორგანიზაცია. ერთ-ერთი თემა, რომელიც განვიხილეთ, მომავალი გადასახადების გადამხდელის მენტალობის ფორმირებაა. მთელი ევროპა, სხვადასხვა პროექტის საშუალებით, საკუთარ მომავალ თაობას უხსნის, რომ გადასახადების გადახდა მათივე კეთილდღეობისთვის, მათი საყვარელი ქვეყნების კეთილდღეობისთვის, პრაქტიკულად უმთავრესი პირობაა. რას ვაკეთებთ ამ დროს ჩვენ, რას ვეუბნებით ჩვენს შვილებს: ამონარიდები დღევანდელი ფეისბუკპოსტებიდან: „დაიმახსოვრეთ საგადასახადო ოფიცრის სახე და არ შეუშვათ თქვენს მაღაზიაში!“, „ქალაქში შემოსავლების სამსახურის თანამშრომლები დაძრწიან“ და ა.შ. აღარაფერს ვამბობ პოსტების ქვეშ განთავსებულ კომენტარებზე!!! ადამიანები, რომლებმაც არც კი იციან, სინამდვილეში რა მოხდა და მოხდა ის, რომ კონკრეტულ ობიექტზე საქონლის რეალიზებისას, გამყიდველმა ჩეკი არ ამოარტყა (ეს კონკრეტული სამართალდარღვევა თითოეული ამ „აღშფოთებულის“ ჯიბეში ხელის ჩაყოფაა, სხვათა შორის), შემოსავლების სამსახურის თანამშრომელმა, ახალგაზრდა გოგონამ კი კანონით მასზე დაკისრებული მოვალეობა შეასრულა. განმარტებისთვის: საკონტროლო შესყიდვა სალარო საკონტროლო აპარატის გამოყენების შესამოწმებლად გამოიყენება და ეს კონტროლის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მექანიზმია.

აი, ამისთვის, სწორედ ამისთვის!!!!

მთელი დღეა ამ ახალგაზრდა ქალს და არა მარტო მას, მთელ შემოსავლების სამსახურს (და აქ 4 ათასი(!!!) კაცი მუშაობს) ლანძღავენ!!!

ჩემი თავისთვის არასდროს მიმიცია ვინმესთვის მორალის წაკითხვის უფლება და წინასწარ ბოდიშს ვიხდი, თუ ვინმე ჩემს შეკითხვას ასე აღიქვამს, მაგრამ მაინც მინდა ვიკითხო – საქართველო არ გიყვართ?!!! – ამბობს მოისწრაფიშვილი. (ambebi.ge)

## „ყოველი წლის თებერვალს დადგებოდნენ ყოფილი საფლავის სიახლოვეს...“ სისხლიანი თებერვლის ქრონიკა




საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია 1921 წლის თებერვალში თბილისის დაცვისას დაღუპული სტუდენტის ისტორიას და მის ოჯახში დაცულ ფოტოსურათს „ფეისბუკზე“ აქვეყნებს:

– სტუდენტი კოტიკო (კონსტანტინე) კვიცარიძე, 1921 წლის თებერვალში, თბილისის დაცვისას დაიღუპა ფრონტზე.

ქუთაისიდან ჩამოსულმა ბიძამ ველარ შეძლო მისი გადასვენება და ვერის სასაფლაოზე დაკრძალა.

1930-იან წლებში, ქალაქის საბჭოთა ხელისუფლებამ სასაფლაო გააუქმა და მის ადგილას სერგეი კიროვის სახელობის პარკი მოაწყო.

ყოველი წლის თებერვალს, ოჯახის წევრები ჩამოდიოდნენ ხოლმე თბილისში, ჩუმად დადგებოდნენ ყოფილი საფლავის სიახლოვეს მონიშნულ ხესთან და იმავე დღეს ბრუნდებოდნენ ქუთაისში... (ნიუპოსტი)

## გადახდის კიდევ ერთი ინოვაციური მეთოდი „საქართველოს ბანკის“ მომხმარებლებისთვის

### TSKAPP აპლიკაცია — უკონტაქტო გადახდა უკვე მობილურით




„საქართველოს ბანკი“ **MasterCard**-თან ერთად მომხმარებელს ახალ აპლიკაციას სთავაზობს, რომელიც ანდროიდის სისტემის მობილურებისთვისაა განკუთვნილი.

სიახლის ავტორების განმარტებით, 1-ლი მარტიდან, გადახდა შესაძლებელი იქნება პოსტერმინალზე მობილურის მხოლოდ ერთი შეხებით. ამისთვის კი საკმარისია, რომ მომხმარებელმა ანდროიდის სისტემის მობილურში ჩამოტვირთოს **TSKAPP** აპლიკაცია. აპლიკაცია უფასოა და მისი ჩამოტვირთვა შესაძლებელი იქნება **Google Play Story**-იდან ან **www.tskapp.ge**-დან.

**TSKAPP** აპლიკაციის მობილურში ჩამოტვირთვის შემდეგ მომხმარებელი შეძლებს ნებისმიერი შენაძენისა და მომსახურების საფასურის გადახდას პოსტერმინალზე მობილურის მხოლოდ ერთი შეხებით. აპლიკაციით სარგებლობისთვის მომხმარებელი უნდა ფლობდეს „საქართველოს ბანკის“ ან „ექსპრეს ბანკის“ მინიმუმ ერთ აქტიურ **MasterCard**-ის ბარათს და მომხმარებლის სახელსა და პაროლს, რომელსაც იყენებს ინტერნეტბანკში ან მობაილბანკში.

მათ, ვისაც ჯერ არ აქვთ მომხმარებლის სახელი და პაროლი, შეუძლიათ მიმართონ „საქართველოს ბანკის“ ან „ექსპრეს ბანკის“ ნებისმიერ სერვისცენტრს. სახელისა და პაროლის მიღება, ასევე, შესაძლებელია „საქართველოს ბანკის“ ნებისმიერი ბანკომატის საშუალებით.

სიახლე მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც **TSKAPP** აპლიკაცია დაზოგავს თქვენს დროს. მისი მეშვეობით სწრაფად და მომენტალურად შეასრულებთ გადახდას ნებისმიერი სახის მომსახურების ობიექტში „საქართველოს ბანკის“ ტერმინალის საშუალებით.



გადახდის ეს ორიგინალური მეთოდი მოქნილია იმ გაგებით, რომ თქვენ აღარ დაგჭირდებათ საბანკო ბარათის საფულით ტარება. შეარჩევთ გადახდის მომენტში სასურველ ბარათს, რომლითაც გსურთ ანგარიშსწორება, დაამატებთ განუსაზღვრელი რაოდენობის ბარათებს და მიიღებთ ინფორმაციას შესრულებული გადახდების შესახებ. რაც მთავარია, **TSKAPP** აპლიკაცია გაძლევთ უსაფრთხოების გარანტიას! ყოველი გადახდისას შეიყვანთ კოდს, რაც თქვენს თანხას მესამე პირის მიერ არალეგალური განკარგვისგან დაიცავს.

აპლიკაციას გამოიყენებთ ყველგან, სადაც შესაძლებელია უკონტაქტო **MasterCard** ბარათებით გადახდა. ამ აპლიკაციით სარგებლობისთვის საჭიროა ანდროიდის ოპერაციულ სისტემაზე (4,4 ან უფრო ახალ ვერსიაზე) მომუშავე სმარტფონი, **NFC** მხარდაჭერით და საქართველოს ბანკის დისტანციური არხების (ინტერნეტბანკის/მობაილბანკის) მომხმარებლის სახელი და პაროლი და „საქართველოს ბანკის“ მინიმუმ ერთი აქტიური „მასტერქარდ“ ბარათი.

აპლიკაციის გასააქტიურებლად გადმოწერეთ **BOG TSKAPP** აპლიკაცია **Google Play Story**-იდან, გაეცანით და დაეთანხმეთ სარგებლობის წესებსა და პირობებს და შეიყვანეთ მომხმარებლის სახელი და პაროლი, რომელსაც იყენებთ დისტანციური არხებით (ინტერნეტბანკით/მობაილბანკით) სარგებლობის დროს.

თუ თქვენ ჯერ კიდევ არ ხართ „საქართველოს ბანკის“ მომხმარებელი და გსურთ, ისარგებლოთ ახალი აპლიკაციით, პირველი მარტიდან მიმართეთ „საქართველოს ბანკის“ ნებისმიერ ფილიალს!

**მურთაზ კიკორია, „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორი:**

– გადახდა ასე მარტივი არასდროს ყოფილა! ტელეფონი, უბრალოდ, ტელეფონი აღარ არის, მისი ფუნქციები და შესაძლებლობები დღითი დღე იზრდება... ჩვენც არ ჩამოვრჩით სიახლეებს და 1-ლი მარტიდან ჩვენს მომხმარებლებს ვთავაზობთ **TSKAPP** აპლიკაციას, რომელიც დაეხმარება მათ, გადაიხადონ უფრო სწრაფად და მარტივად ტელეფონის უბრალო შეხებით ტერმინალთან. ამისთვის საჭიროა, ჩამოტვირთოთ **TSKAPP** აპლიკაცია, ვიქონიოთ „საქართველოს ბანკის“ „მასტერქარდ“ ბარათი დადებითი ბალანსით და ვიცოდეთ პაროლი.

მომხმარებლებს შეუძლიათ, მიმართონ „საქართველოს ბანკის“ ნებისმიერ ფილიალს და ჩვენი თანამშრომლები დაეხმარებიან, ჩამოტვირთონ აპლიკაცია, მიიღონ პაროლი და ისწავლონ ამ არაჩვეულებრივი გადახდის მეთოდის გამოყენება.

სახელისა და პაროლის მიღება, ასევე, შესაძლებელია „საქართველოს ბანკის“ ნებისმიერი ბანკომატის საშუალებით. აპლიკაციას ჩამოტვირთვის შემდეგ არ სჭირდება ინტერნეტი, რაც ამ ოპერაციას აბსოლუტურად მარტივს ხდის!

*მარიკა არღვლიანი*

## ე.წ. სამხრეთ ოსეთში სამხედრო წვრთნები მიმდინარეობს



ოკუპირებულ სამხრეთ ოსეთში სამხედრო წვრთნები მიმდინარეობს. სააგენტო „სპუტნიკის" ინფორმაციით, მასში რუსეთის შეიარაღებული ძალების მოტომსროლელები, ტანკისტები და არტილერისტები მონაწილეობენ. ძარწემის პოლიგონზე მიმდინარე მანევრებში, საერთო ჯამში, 800 სამხედრო მოსამსახურე და 200 ერთეული ტექნიკა მონაწილეობს.

– ტაქტიკური წვრთნების დროს სამხედროები „ტ-72"-ის ტიპის ტანკებიდან, „აკაციის" ტიპის თვითმავალი საარტილერიო დანადგარებიდან, ქვეითთა საბრძოლო მანქანებიდან, ნაღმმტორცნებიდან და ყუმბარმტყორცნებიდან, ასევე მსუბუქი შეიარაღებიდან სროლაში ივარჯიშებენ, – განუცხადეს სააგენტო „სპუტნიკს" რუსეთის სამხრეთ სამხედრო ოლქში.

სამხედრო წვრთნების დროს ძირითადი ყურადღება გამახვილდება მთიან რელიეფზე და ტყის პირობებში სამხედროების მოქმედებაზე. (kvira.ge)



ლაურა აბრამია
591 97-67-09

ამერიკულმა კომპანია „მარსმა" ბაზრიდან საკუთარი პროდუქცია ამოიღო. საუბარია „მარსისა" და „სნიკერსის" შოკოლადის ფილებზე. მიზეზი ქარხნული წუნი გახდა.

## ამერიკელებმა ევროპის ბაზრიდან „მარსი" და „სნიკერსი" გაიწვიეს — საშიშია თუ არა საქართველოს ბაზარზე შემოტანილი პოპულარული ტკბილეული?




როგორც ირკვევა, გერმანიაში ერთ-ერთმა მომხმარებელმა „სნიკერსის" ფილაში წითელი ფერის მცირე ზომის პლასტმასის ნაწილი აღმოაჩინა. გაირკვა, რომ ეს ფილა ჰოლანდიის ქარხანაში იყო გამოშვებული. 55 ქვეყნიდან სწორედ ამ ქარხნის პროდუქცია ამოიღეს.

„სნიკერსის" გარდა, კომპანიამ უკან გაიწვია „მარსის", „მილქი ვეისა" და „ბაუნტის" შოკოლადის ფილებიც.

იმის გამო, რომ საქართველოში ჩამოთვლილი შოკოლადები საკმაოდ პოპულარულია, გადავწყვიტეთ, გაგვერკვია, ხომ არ შემოსულა ქარხნული წუნის მქონე ტკბილეული ჩვენს ქვეყანაშიც.

გავარკვიეთ, რომ აღნიშნული პროდუქციის შემომტანი და რეალიზატორი „მასტერთრეიდია". კომპანიის წარმომადგენლობა თავიდან კომენტარს არ აკეთებდა და გარკვეული დაბნეულობაც შეინიშნებოდა, თუმცა „ალიას" მრავალჯერადი თხოვნის შემდეგ საკითხი შემდეგნაირად განგვიმარტეს:

– ჩვენ ვართ სადისტრიბუციო კომპანია, არ ვართ მწარმოებლები. პროდუქციას რაც შეეხება, „სნიკერსი", „მარსი", „მილქი ვეი" და ა.შ. დანამდვილებით შეგვიძლია გითხრათ, რომ არის რუსეთში წარმოებული. შესაბამისად, არსებულ ქსელში ჰოლანდიური წარმოების შოკოლადის ნაწარმი არ შემოდის. ასევე, ზუსტად შეგვიძლია გითხრათ, რომ მსგავსი დარღვევა ჩვენთან არ აღმოჩენილა, ანუ რაიმე სახის შეტყობინება თუნდაც მომხმარებლის მხრიდან არ დაფიქსირებულა.

**— სურსათის უვნებლობის სააგენტოდან ამ დღეებში თქვენი კომპანიისადმი რაიმე სახის დაინტერესება არ ყოფილა? ან მითითება ხომ არ მიგიღიათ?**

– ჯერჯერობით მსგავსი არაფერი მომხდარა, მაგრამ შეიძლება ყოველ წუთს დაგვიბარონ. როგორც წესი, უწყვეტ რეჟიმში ხდება ჩვენი ამ უწყებებთან თანამშრომლობა, ამას პროდუქციის უსაფრთხოების მიზნის ახორციელებს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

**სიტუაციაში უკეთ გასარკვევად „ალია" სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე კახა სოხაძეს დაუკავშირდა:**

– სულ ცოტა ხნის წინ შევხვდი კონკრეტულად ამ სახის პროდუქციის შემომტანი კომპანიის წარმომადგენლობას, რათა ზუსტი ინფორმაცია მიმეწოდებინა დაინტერესებული მხარეებისთვის. პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ იმ კონკრეტული ჰოლანდიური საწარმოდან საქართველოში არ შემოდის მსგავსი პროდუქცია, ჩვენ ამის ყველა დოკუმენტური დასაბუთება ვნახეთ. პლასტმასის ნატეხი „მარსის" ფილაში 8 იანვარს ნახეს, მას შემდეგ თვითონ კომპანიამ გამოიძია საკითხი, მოახდინა პროდუქციის ე.წ. გაწვევა იმ ქარხნებიდან, სადაც ალბათობა იყო ნივთიერების პროდუქციაში მოხვედრის.

**— ბატონო კახა, რა პერიოდულობით ხდება საქართველოში მსგავსი ტიპის პროდუქციის შემოწმება თქვენი სააგენტოს მიერ?**

– მოგეხსენებათ, უამრავი პროდუქტი არის სამომხმარებლო ბაზარზე წარმოდგენილი და შერჩევითად, დაახლოებით შემიძლია გითხრათ, რომ სხვადასხვა პროდუქციის 4200-ზე მეტი ნიმუში იქნა აღებული გასულ წელს ჩვენ მიერ.

**— უფრო კონკრეტულად? ანუ წელიწადში ერთხელ საკმარისია მსგავსი ტიპის პროდუქციის შემოწმება? მოგეხსენებათ, სამომხმარებლო ბაზარზე ჩვენთან არც ისე ჯანსაღადაა საქმე ამ კუთხით...**

– არსებობს მაღალი რისკის პროდუქტები და დაბალი რისკის პროდუქტები. ჯერადობის დადგენა იმის მიხედვით ხდება, როგორ უნდა იქნეს აღებული ნიმუშები და ჯეროვნად როგორ უნდა იქნეს გამოკვლეული. ამ ეტაპზე ზემოდასახელებული შოკოლადის ნაწარმის შემოწმების აუცილებლობა არ არსებობს.

## ხიდაშელი პროკურატურას საგარეჯოს არჩევნების საქმის დაჩქარებული წესით გამოძიებისკენ მოუწოდებს



საგარეჯოს არჩევნების საქმეზე ძიების დაწყებას თავად თავდაცვის მინისტრი გამოეხმაურა. თინათინ ხიდაშელი მთავარ პროკურატურას მოუწოდებს, საქმის დაჩქარებული წესით მოხდეს გამოძიება.

– ეს არის ქვეყნის პროდასავლური პოლიტიკის საწინააღმდეგო ბინძური კამპანია, რომელიც ამ ბოლო პერიოდში გამოჩნდა და დარწმუნებული ვარ, უფრო სამარცხვინო კამპანიის მომსწრეებიც გავხდებით შემდეგ თვეებში, წინასაარჩევნო პერიოდში. მინდა მოვუწოდო პროკურატურას რომ რაც შეიძლება ფორსირებულად და ეფექტურად იმუშაოს, თუ რამე კითხვები არსებობს, გასცენ ამ ადამიანებს პასუხი. არავითარი ილუზია არ მაქვს, რომ მათ სინამდვილეში სიმართლე აინტერესებთ, მაგრამ ჩვენ, ქვეყანა, ვართ დაინტერესებული იმაში, რომ ეს ბინძური კამპანია დასრულდეს, – განაცხადა თინათინ ხიდაშელმა. (ნიუპოსტი)

## „ეს იქნება 21-ე საუკუნის პროექტი, განსხვავებული ყველა აქამდე განხორციელებული პროექტისგან"

### ალფამედიკის კონსორციუმს მსოფლიოში ცნობილი კომპანიები წარმოადგენენ

ალფამედიკი თბილისში სამი საავადმყოფოს რეაბილიტაციაში ნახევარ მილიარდამდე ინვესტირებას გეგმავს. კერძოდ, საუბარია თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფოს, ყოფილი რესპუბლიკური საავადმყოფოსა და უნივერსალური სამედიცინო ცენტრის (ყოფილი ონკოლოგიის ცენტრის) რეაბილიტაციაზე. სამედიცინო კლინიკებისგან ვითარების პროექტის ფარგლებში მთავრობის მიერ გამოცხადებულ ტენდერში წინადადებები სამმა კომპანიამ შეიტანა, თუმცა სრულყოფილი და მიმზიდველი შემოთავაზება ალფამედიკის კონსორციუმმა **(alphamedicConsortium)** წარადგინა.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ და საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა დავით საგანელიძემ სამედიცინო კლინიკებისგან ვითარების პროექტის პრეზენტაცია მოისმინეს.

ჯანდაცვის სამინისტროში დადებითად აფასებენ ალფამედიკის მიერ წარმოდგენილ სამედიცინო კლინიკების განვითარების პროექტს და აღნიშნავენ, რომ ასეთი ხარისხის კონსორციუმით საქართველო არ არის განებივრებული.

**– ინვესტორების ხარისხი საკმაოდ მაღალია, კონსორციუმს წარმოადგენენ მსოფლიოში ცნობილი კომპანიები მრავალი ათწლეულის უზარმაზარი გამოცდილებითა და ფინანსური მდგრადობით. ისინი შეძლებენ დასავლეთის საუკეთესო პრაქტიკების შერწყმა-შეთვისებას აღნიშნულ პროექტში. ჩვენ მივიღებთ კლინიკების საუკეთესო გაერთიანებას, რომელიც რეგიონში ჯანდაცვის წამყვანი კომპლექსი იქნება, – ითქვა კონფერენციაზე და აღინიშნა, რომ ეს იქნება 21-საუკუნის პროექტი – განსხვავებული ყველა აქამდე განხორციელებული პროექტისგან.**

**ალფამედიკის სატენდერო განვითარების ხელმძღვანელ ლეო მაკკენას** შეფასებით, კერძო საჯარო თანამშრომლობის ფორმატის ფარგლებში სამი კლინიკის – თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფოს, რესპუბლიკური საავადმყოფოსა და ონკოლოგიური ცენტრის სრული რეაბილიტაციის პროექტი ადგილობრივი მოსახლეობისთვის სამუშაო ადგილების შექმნას შეუწყობს ხელს. მისივე თქმით, აღნიშნული პროექტის ღირებულება ნახევარი მილიარდი დოლარი იქნება:



– ეს გახლავთ გაუმჯობესებული ჯანდაცვა პაციენტებისთვის თბილისში და თბილისის ტერიტორიაზე, ასევე, თანამედროვე ჯანდაცვის სხვადასხვა დაწესებულების განვითარება, ასევე, ადგილობრივი კომპანიებისთვის კომერციული შესაძლებლობების გაზრდა, სამუშაო ადგილების შექმნა ადგილობრივი მოსახლეობისათვის. ეს ინვესტიცია იქნება როგორც კატალიზატორი ამ რეგენერაციისთვის, რომელიც უნდა განხორციელდეს ქვეყანაში. ასევე, ბევრი სარგებელია თუნდაც არაჯანდაცვის სფეროდან გამომდინარე. **PPP** არის ურთიერთობა და თანამშრომლობა კერძო სექტორსა და საჯარო სექტორს შორის იმ მიმართულებით, რომ შეიქმნას და განვითარდეს ინფრასტრუქტურა ჰოსპიტალებისა და საავადმყოფოების სფეროში. ინვესტიცია იქნება დაახლოებით ნახევარ მილიარდამდე. პირველი ფაზა იქნება დაახლოებით 18 თვის შემდეგ მოწოდებული. პროექტი კონტრაქტის გაცემიდან 3 წლის თავზე უნდა დასრულდეს. პროექტის ფინანსური დახურვა უნდა მოხდეს ამ წლის ივნისში. პროექტი 36 თვის განმავლობაში განხორციელდება და პროექტის პირველი ფაზა ონკოლოგიური კლინიკის რეაბილიტაციას მოიცავს. მინდა გითხრათ, რომ მოხარული ვარ, რომ ჩვენ შეგვარჩიეს სამინისტროსა და საპარტნიორო ფონდისთვის. ალფამედიკი მოხარულია, რომ მიეცა საშუალება, თავისი ინვესტიციების საშუალებით შემოვიდეს საქართველოში და განავითაროს ეს სექტორი. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ პარტნიორებთან შემდგომშიც ვითანამშრომლებთ, რათა ეს პროექტი გახდეს თბილისის მოსახლეობისა და პაციენტებისთვის მიმზიდველი და წარმატებული. გვჯერა, რომ ჩვენს კონსორციუმს გააჩნია ის საშუალებები და სიმძლავრე, რაც ამ პროექტის წარმატებას განაპირობებს, – განაცხადა ლეო მაკკენამ.

ალფამედიკის სატენდერო განვითარების ხელმძღვანელმა კომპანიის გამოცდილების შესახებაც ისაუბრა:

– ეს არის კონსორციუმი ჯანდაცვისა და სერვისების მიწოდების ინფრასტრუქტურის საკითხებში, ის ახორციელებს **PPP** ტიპის პროექტებს საერთაშორისო დონეზე. ალფამედიკი დაფუძნებულია ვენაში, ავსტრიაში. იგი მიაწოდებს როგორც მომსახურებას, ისე აღჭურვილობას პაციენტებს და ამ სფეროში მოღვაწე სხვადასხვა დაწესებულებას. მას ასევე შეუძლია მთლიანად ცხოველმყოფელი, ფინანსურად გამართული პროექტების შექმნა. ძალიან ხშირად სხვა მხარეები წარმოადგენენ ხოლმე პროექტებს, მაგრამ ისინი არ არის ხოლმე კარგად გათვლილი, ამიტომ განწირულია მარცხისთვის. ალფამედიკი კი აკეთებს ყველაფერს, რომ ეს პროექტები იყოს სიცოცხლისუნარიანი და სწორედ მივმართოთ დაფინანსება, რათა პროცესები განხორციელდეს რეალისტურად.

**რას გულისხმობს ჯანდაცვის ახალი მოდელი? ჯანდაცვისა და ტექნოლოგიური დაგეგმარების უფროსი დიედ რაფოლი აღნიშნავს:**

„ჯანდაცვის საერთაშორისო ინტეგრირებული მოდელი იქნება ჯანდაცვის სამინისტროს ფილოსოფიის გამგრძელებელი. ჩვენი მიზანია ჰოსპიტალების იმ დონის რეკონსტრუქცია, რომ მათ ჯანდაცვა ეროვნული მასშტაბით განახორციელონ. უნდა შევიმუშაოთ ჯანდაცვის მოდელი ამ ჰოსპიტალისთვის. ეს ყველაფერი მოხდება ერთობლივი კონსულტაციის საფუძველზე. გარდა ამისა, გავითვალისწინებთ, რა ხდება პირველად ჯანდაცვაში. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს სამი ჰოსპიტალი ერთიან სივრცეში გვქონდეს და სამედიცინო კუთხით შევძლოთ სხვადასხვა სერვისების შეთავაზება. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მომსახურება მიწოდებული იქნას ხანდაზმული პაციენტებისთვისაც".

**რაც შეეხება სამუშაო გუნდს, დიედ რაფოლი განმარტავს:**

„ჩვენ, როგორც კონსორციუმის ნაწილი, პასუხისმგებლები ვართ ჯანდაცვის საკითხების დაგეგმვაზე. ეს პრაქტიკულად დამოკიდებულია იმაზე, რა საჭიროებები და მოთხოვნები არსებობს ქვეყანაში. ჩვენ უნდა ვიმუშაოთ ამ სამ ჰოსპიტალთან და განვსაზღვროთ, როგორ, რა მექანიზმით იმუშავებენ მომავალში. ეს ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ჰოსპიტალების ტექნიკური აღჭურვილობის კუთხით. რაც შეეხება ჩვენს გამოცდილებას, ბევრ სხვადასხვა პროექტში მიგვიღია მონაწილეობა. თბილისში დაგეგმილი პროექტის ფარგლებში თავი უნდა მოვუყაროთ სამ სხვადასხვა მიმართულების კლინიკას ერთ სივრცეში. ეს ჩვენთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რადგან ერთად უნდა შევქმნათ ჯანდაცვის ახალი მოდელი. ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ ამ სამი კლინიკის ტექნიკური აღჭურვა და ასევე, ორგანიზაციული დაგეგმარება, რაც ჩვენი პასუხისმგებლობისა და კომპეტენციის ფარგლებშია".

## აჭარის ერთ-ერთ სოფელში მამაკაცს კასტრაცია ჩაუტარეს




აჭარის ერთ-ერთ სოფელში მამაკაცს კასტრაცია ჩაუტარეს. ამის შესახებ გაზეთი „ბათუმელები“ წერს.

გამოცემის ინფორმაციით, მამაკაცს სისხლდენა სოფლის ექიმმა შეუჩერა, ხოლო შემდეგ ბათუმში ერთ-ერთ საავადმყოფოში გადაიყვანეს. მამაკაცი ამ დროისთვისაც საავადმყოფოში იმყოფება.

– კასტრაციის ჩატარების მონაწილე პირების შესახებ ურთიერთგამომრიცხავი ვერსიები არსებობს. ერთ-ერთი ვერსიით, მამაკაცზე ოჯახის წევრებმა იძალადეს, – წერს გამოცემა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მსგავსი შეტყობინება უწყებაში არ შესულა. (news.ge)

## „ვიკილიკსის“ მორიგი სკანდალი — აშშ ანგელა მერკელს, სარკოზისა და სხვა ლიდერებს უსმენდა




„ვიკილიკსის“ მიერ გამოქვეყნებული საიდუმლო დოკუმენტები ირწმუნება, რომ აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტო მსოფლიო ლიდერებს უსმენდა.

პორტალის ინფორმაციით, სააგენტოს სამიზნე იყვნენ გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი, გაეროს გენერალური მდივანი ბან კი მუნი, ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნათანიაჰუ, იტალიის ექსპრემიერი სილვიო ბერლუსკონი და საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი. დოკუმენტები ბან კი მუნისა და ანგელა მერკელის საუბრის დეტალებსაც შეიცავს, რომელიც კლიმატის ცვლილებებს ეხება.

ამასთანავე, „ვიკილიკსმა“ ისრაელის პრემიერ ბენიამინ ნათანიაჰუსა და სილვიო ბერლუსკონის საუბარი გამოაქვეყნა, რომლის თანახმადაც, ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბერლუსკონის აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამასთან კონტაქტის დამყარებაში დახმარებას სთხოვდა.

ნიკოლა სარკოზი კი სილვიო ბერლუსკონის იტალიის საბანკო სისტემის შესაძლო ჩამოშლაზე აფრთხილებს.

„ვიკილიკსმა“ იაპონიისა და ევროკავშირის მინისტრების საიდუმლო საუბრებიც გამოაქვეყნა, რომელიც სავაჭრო ორგანიზაციის საიდუმლო ხელშეკრულებებს ეხება.

„ვიკილიკსმა“ აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტო გერმანელი და ფრანგი მაღალჩინოსნების მოსმენაში ადრეც დაადანაშაულა.

აშშ-ს აღნიშნულთან დაკავშირებით კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია. (ნიუპოსტი)

# რატომ გარისკა მოსამართლე ახვლედიანმა ხმის ამოღება და რა გარიგება შედგა გვენეტაძე-მურუსიძეს შორის?

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80





**ვინ მართავს სასამართლოში მოვლენებს? რატომ გარისკა თბილისის სასამართლოს ყოფილმა თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანმა ხმის ამოღება? რატომ დადუმდა იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი? რა გარიგება შედგა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ლევან მურუსიძესა და ნინო გვენეტაძეს შორის?**

**„ალიას“ ადვოკატი ზურაბ ჯორბენაძე ესაუბრა:**

– თუ არ იცი წარსული, ვერ განსაზღვრავ, ვისთან გაქვს საქმე ადამიანს. თუ ბატონი ახვლედიანის წარსულს გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ეს ადამიანი გახლდათ ბატონი კუბლაშვილის პროტეჟე. კუბლაშვილი კი ამ ადამიანს ვერ მოიყვანდა სასამართლო სისტემაში, ახვლედიანი ადეიშვილთან დაახლოებული პირი რომ არ ყოფილიყო. ადეიშვილს ერთი ჩვევა ჰქონდა, ყველა მოსამართლეს აკონტროლებდა თანაშემწეების მეშვეობით. თანაშემწეები, ამავდროულად „ოდეერებიც“ იყვნენ. სკანდალურ რამესაც გეტყვით – როდესაც ჩემი ძმის თანაშემწე ლევან მურუსიძე გახლდათ, მას უშიშროებისგან ჰქონდათ დავალებული, ეკონტროლებინა ჩემი ძმა. ამავენაირად, ახვლედიანი, გამოვთქვამ საფუძვლიან ვარაუდს, რომ იყო ადეიშვილის „ოდეერი“ და როცა წარმატებულად იმუშავა, დანიშნეს რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ. ვერ ვიტყვი, რომ ახვლედიანი ძალიან პატიოსანი მოსამართლე იყო და არის, იმიტომ, რომ როდესაც „ნაციონალური მოძრაობა“ მუჭა-მუჭა ყრიდა უდანაშაულო ხალხს ციხეებში ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, ეს ადამიანი ჩუმად იყო და უფრო მეტიც, იმ პირობებში ვერც ის დარჩებოდა პატიოსანი.

**— „9 წელი“ გასაგებია, მაგრამ მისი კოლეგა მოსამართლეები, იგივენაირი წარსული რომ აქვთ, დღესაც ჩუმად არიან და იმათ არ სჯობია ახვლედიანი?**

– ის, რაც ახვლედიანმა ბოლო ორი თვის განმავლობაში გააკეთა, არის ძალიან მაღალი გმირობის ტოლფასი. ადამიანმა, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ უბადლო შემსრულებელი იყო, გადაწყვიტა სიმართლე ეთქვა. ივაჟკაცა ამ შემთხვევაში.

**— რის გამო გარისკა და როგორც თქვენ ამბობთ — ივაჟკაცა ახვლედიანმა?**

– საქმე გვაქვს პოლიტიკურ დაინტერესებასთან – იმის თქმა, რასაც ახლა მე ვიტყვი, ძალიან ბევრ პოლიტიკოსს შეეშინდება. მაგრამ მე ვიტყვი, რაც არის ეს – ხომ გახსოვთ უკრაინული, ცნობილი ჩანაწერები ადეიშვილ-სააკაშვილს შორის, სადაც ადეიშვილი მიშას ეუბნება: მიშა, ნუ გეშინია, სასამართლოშიც და პროკურატურაშიც მოსყიდული გვყავს ხალხი, სიტუაციას ვაკონტროლებთო. მიშამ, კვესიტაძესთან გადაცემაში დაადასტურა კიდეც, რომ ამ ჩანაწერის სახით სინამდვილესთან გვქონდა საქმე. ყველა პროცესს მივყავართ იქამდე, რომ, რაც ხდება, ყველაფერი იმართება უკრაინიდან. ახვლედიანიც ამ პროცესებთან არის კავშირში. ეს უკვე არც კი იწვევს ეჭვს.

მას შემდეგ, რაც ლევან მურუსიძემ თავის გადასარჩენად ეშმაკეული სული ხელისუფლებას მიჰყიდა და მის სამსახურში ჩადგა, სააკაშვილმა და ადეიშვილმა გააცნობიერეს, რომ ლევან მურუსიძეზე და მის კლანზე გავლენა დაკარგეს, ამიტომაც გამონახეს ახალი ამრევი ახვლედიანის სახით, რომელმაც მართალია, დავალება შეასრულა, მაგრამ ამავე დროს სიმართლე თქვა – ერთი მხრივ ამხილა მურუსიძე, კლანური პრინციპით ნიშნავს მოსამართლეებსო, მეორე მხრივ კი, ამხილა ხელისუფლების მიერ დანიშნული უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძე – ესეც ამათ ემსახურებაო. ახვლედიანმა და მის უკან მდგომმა ძალებმა, ერთი გასროლით ორი კურდღელი მოკლეს – ერთი მხრივ, სიტუაცია აურიეს მურუსიძეს, ხოლო მეორე მხრივ – გვენეტაძეს.

**— რა იცით გვენეტაძის შესახებ, რომელმაც თავის დროზე მურუსიძის წინააღმდეგ მისცა ხმა, ხოლო ბოლო დროს აშკარად მურუსიძის თამაშს თამაშობს, რა გარიგება შედგა ამ ორ ადამიანს შორის?**

– დღეს ქალბატონი გვენეტაძისა და ლევან მურუსიძის განცხადებებს ერთმანეთისგან ვერ გაარჩევ, ერთ ხმაში მღერიან. თუ დღემდე გვეგონა, რომ ქალბატონი გვენეტაძე მურუსიძესთან კონფლიქტში იყო და დღეს თუ ხვალ მოიცილებდა, რა თქმა უნდა, კანონიერი გზით, დღეს ამ ყველაფერმა ჩაიარა, მურუსიძეს ყველაფერი შერჩა, მან მთელი სასამართლო სისტემა თავის სასარგებლოდ მოაწყო და ეს ადამიანი გახლავთ დღეს სასამართლო სისტემის ერთპიროვნული მმართველი. ქალბატონი გვენეტაძე კი ვალდებული გახდა, შეეგუოს არსებულ მდგომარეობას.

**— მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილმა თქვა მურუსიძეზე — პატიოსანი კაციაო, ვინ რას გაუბედავს? და მაინც რა გარიგება შედგა გვენეტაძე-მურუსიძეს შორის?**

– ფაქტია, რომ ამ ადამიანებს შორის მოხდა რაღაც გარიგება, მაგრამ სულ მთლად გვენეტაძის სურვილი არ უნდა იყოს ეს გარიგება. დააკვირდით ბოლო დროს წულუკიანის გამოსვლებსა და საქციელს, კუბლაშვილი რომ იყო უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ამ ადამიანს ხელაღებით ებრძოდა, ცდილობდა ყველაფრის შეცვლას, ბოლო დროს კი წულუკიანიც გაჩუმდა. ამდენი დარღვევა მოხდა და ერთი ხმა არ მოუღია. ხელისუფლების გარკვეულმა შტომ შეწყვიტა მურუსიძესთან ბრძოლა იმ მოტივით, რომ, თუ ადრე მურუსიძე „ნაციონალებს“ ემსახურებოდა, ახლა მათ უნდა მომსახურებოდა. მურუსიძე მხოლოდ ერთ რამეს ითხოვს, ეს არის ის, რასაც კუბლაშვილი აძლევდა – ხელშეუხებლობის გარანტია. მას შეეძლო ეკეთებინა ათასი სიბინძურე და მას ხელს ვერავინ ახლებდა. ხელისუფლებამ მურუსიძესა და მის მთელ კლანს მისცა ხელშეუხებლობის გარანტია და თავის სამსახურში ჩააყენა, ამიტომაც ვერ ამბობს ვერაფერს გვენეტაძე.

**— ვის გულისხმობთ ხელისუფლებაში, მთავრობის რიგითი წევრი ამას ვერ გადაწყვეტდა და მაშინ სად მივდივართ, ყველაფერი ივანიშვილამდე მიდის?**

– გარკვეული ფაქტორების გამო, ძალიან დიდ პატივს კი ვცემ ბატონ ივანიშვილს, მაგრამ, თუ ისეთ შეცდომებზე ვისაუბრებთ, რაც ამ ხელისუფლებამ დაუშვა – მოსამართლეებისთვის და პროკურორებისთვის ხელშეუხებლობის გარანტიის მიცემა, ამის სავალალო შედეგებს მალე მოვიმკით.

**— რა ხდება პროკურატურაში? ბოლო დროს განსაკუთრებით ხმაურით მიმდინარეობს „კოკაინის საქმესთან“ დაკავშირებული საკითხები. რამდენიმე დღის წინ ადვოკატმა კობა კობახიძემ ამ საქმეში თედო და მანანა კობახიძეების ინტერესზე ისაუბრა. ელისაშვილმა ამ საქმით კობახიძის დაინტერესებაზე რამდენიმე თვის წინ ლაპარაკობდა და მაშინ კობა კობახიძეს ხმა არ ამოუღია. რა მოხდა ხომ არ იცით, ადვოკატი ახლა რატომ ალაპარაკდა?**

– რა მოხდა არ ვიცი, მაგრამ პროკურატურა იმდენად პოლიტიზებულია, რომ მსგავსი გახმაურებული საკითხებით არ ინტერესდება. არ ხსნის ისეთ საქმეებს, რაც ხელისუფლებას არ აწყობს, უბრალო ადამიანების საქმეების გამოძიებით კი ლამისაა „ნაციონალურ მოძრაობას“ გადაასწროს. თუ ადვოკატი კობახიძე ტყუის, მაშინ ის პასუხისგებაში უნდა მიეცათ, ცრუ დასმენისთვის, მაგრამ ხმა არავის ამოუღია. აქ ხომ ჯგუფზეა საუბარი, რომელიც ამით ფულს აკეთებდა?! ან ეს ადვოკატი უნდა დაესაჯათ ცრუ დასმენისთვის, ან მანანა კობახიძე უნდა მიეცეს პასუხისგებაში. ეს საქმე არის პოლიტიკური ბომბი, რომელიც, რაც არ უნდა მალოს ხელისუფლებამ, მაინც აფეთქდება.

**„დღეს ქალბატონი გვენეტაძისა და ლევან მურუსიძის განცხადებებს ერთმანეთისგან ვერ გაარჩევ, ერთ ხმაში მღერიან. თუ დღემდე გვეგონა, რომ ქალბატონი გვენეტაძე მურუსიძესთან კონფლიქტში იყო და დღეს თუ ხვალ მოიცილებდა, ამ ყველაფერმა ჩაიარა, მურუსიძეს ყველაფერი შერჩა, მან მთელი სასამართლო სისტემა თავის სასარგებლოდ მოაწყო და ეს ადამიანი გახლავთ დღეს სასამართლო სისტემის ერთპიროვნული მმართველი“**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## გლდანის საშაურმეში აფეთქება მოხდა — დაშავებულია რამდენიმე ადამიანი

გაზის აფეთქება მოხდა გლდანში მდებარე ერთ-ერთ საშაურმეში. აფეთქების შედეგად რამდენიმე ადამიანი დაშავდა, მათ შორის შაურმის მყიდველები.

როგორც შს სამინისტროში აცხადებენ, მომხდართან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის 240-ე პრიმა მუხლით, რაც უსაფრთხოების წესების დარღვევას გულისხმობს.

დაზარალებულები გადაყვანილი არიან იაშვილის სახელობის დამწვრობის ცენტრში. როგორც კლინიკაში აცხადებენ, დამწვრობის ცენტრში 3 პირი მოათავსეს, რომლებსაც სახისა და მტევნების დამწვრობა აღენიშნებოდათ. მათი თქმით, პაციენტებს მიღებული აქვთ მე-2 და მე-3 ხარისხის დამწვრობები. (ნიუპოსტი)

## ჩაქვში მომხდარი მკვლელობა გახსნილია



შსს-ს თანამშრომლებმა ცხელ კვალზე ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1986 წელს დაბადებული მამია ა. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ მამია ა.-მ მიმდინარე წლის 23 თებერვალს, ჩაქვში, მიგინეიშვილის ქუჩაზე მდებარე კერძო სახლში, ნაქირავებ ბინაში ურთიერთშელაპარაკებისას, 1975 წელს დაბადებულ ლექსო ზ.-ს ბლაგვი საგნით თავის არეში დაზიანებები მიაყენა, რის შედეგადაც ის ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა მამია ა. მომხდარიდან რამდენიმე საათში წყალტუბოში დააკავეს. შსს-ს ინფორმაციით, ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. (pia.ge)

## „ზარით დაკრძალვის სვანურ რიტუალს“ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა



საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ „ზარით დაკრძალვის სვანურ რიტუალს“ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭა.

ცნობისთვის, სვანეთში დაკრძალვასთან და მიცვალებულის პატივის მიგებასთან დაკავშირებული ყველა ის რიტუალი და წესჩვეულება, რომელიც საუკუნეების წინათ არსებობდა, თითქმის უცვლელი სახითაა შემორჩენილი. კვლავ სრულდება ყველა წესი. მათ შორის, გასვენების დღეს მამაკაცები ქალების მოთქმის პარალელურად ამბობენ ზარს. ზარი არის ის აუცილებელი და უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, რომელიც ამთლიანებს და კრავს დაკრძალვის რიტუალს. რიტუალის სიძველეს თვით ამ ფოლკლორული ნიმუშის ფუნქციური და ინტონაციური ანალიზიც ცხადყოფს, როგორიცაა შესრულების დაძაბული, დაჭიმული მანერა, მხოლოდ შორისდებულებზე აგებული შეძახილის ინტონაციები, ანტიფონურობა, მარტივი აკორდული ფაქტურა და ასე შემდეგ. „ზარი“ არის ერთადერთი ხალხური სასიმღერო ნიმუში, რომლის შესწავლა ოჯახში არ შეიძლება. სადმე გარეთ, ტყეში, ან მდინარის პირას ისწავლება. სვანეთის ფოლკლორული ანსამბლები „ზარის“ თქმას სცენაზეც ერიდებიან. (pia.ge)

## ჟურნალისტის შეკითხვაზე უარის თქმის შემთხვევაში, აზერბაიჯანელი ჩინოვნიკები 500 მანათით დაჯარიმდებიან



აზერბაიჯანში მედიისა და ტელემაუწყებლობის შესახებ კანონის დარღვევაზე პარლამენტმა სანქციები გაამკაცრა. კანონის 382-ზე მუხლში მითითებულია, რომ ჟურნალისტის უფლებების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თანამდებობის პირის მიერ კანონით განსაზღვრულ ვადებში ჟურნალისტური განაცხადის უპასუხოდ დატოვება, ადრე მოქმედი 40-70 მანათის ნაცვლად, 200-300 მანათით დაჯარიმებას გამოიწვევს.

ჟურნალისტისთვის ინფორმაციის მიღებაში ხელის შეშლა ან უარის თქმა კანონით განსაზღვრული ინფორმაციის გარდა, 300-500 მანათით დაჯარიმებას გამოიწვევს.

მედიის პროდუქციის გავრცელებისთვის ხელის შეშლის შემთხვევაში ფიზიკური პირები – 100-150, ხოლო თანამდებობის პირები 300-დან 500 მანათამდე დაჯარიმდებიან. ძველი მოქმედი კანონით თანამდებობის პირები 30-50 მანათით ჯარიმდებოდნენ. რაც შეეხება ტელერადიომაუწყებლობის შესახებ კანონის დარღვევას, თანამდებობის პირები 300-600 მანათით, ხოლო იურიდიული პირები – 1000-2000 მანათით დაჯარიმდებიან.

ყველაზე მაღალ ჯარიმებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების უკანონო დაფინანსება ითვალისწინებს. ფიზიკური პირები ამ შემთხვევაში – 1000-1500 მანათით, თანამდებობის პირები – 2 500-3 500 მანათით, ხოლო იურიდიული პირები 8 000-10 000 მანათით დაჯარიმდებიან. (kvira.ge)

**სრულიად საფუძვლიანი ეჭვი შეგვიძლია შევიტანოთ იმაში, რომ აზერბაიჯანში ამ კანონს კაციშვილი არ გაითვალისწინებს — პოლიტიკოსებს ვგულისხმობთ, რა თქმა უნდა.**

**რაც შეეხება საქართველოს, თავადვე დაითვალეთ, პატივცემულო პოლიტიკოსებო, გეყოფათ შემოსავალი — გინდ „ლევი“, გინდ „პრავი“, რომ ჟურნალისტების კითხვებზე თავის არიდება დაიფინანსოთ? შანსი არ გაქვთ!..**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მოსკოვი აზერბაიჯანს მოუწოდებს, სომხეთთან სამხედრო თანამშრომლობის ფაქტს გაგებით მოეკიდოს



მოსკოვი ერევანთან სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის ფაქტს არ მალავს და აზერბაიჯანს მოუწოდებს, ამას გაგებით მოეკიდოს. „ტასის“ ინფორმაციით, ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა მარია ზახაროვამ განაცხადა.

– ჩვენ აზერბაიჯანულ მხარეს დიპლომატიური არხებით უკვე მივაწოდეთ ინფორმაცია, რომ რუსეთი სომხეთთან დაკავშირებულია მოკავშირეობრივი ურთიერთობებით. ასევე, ავითარებს სამხედრო-ტექნიკურ თანამშრომლობასაც. ჩვენ ამ თანამშრომლობას არ ვმალავთ. ვიმედოვნებთ, რომ აზერბაიჯანში ამას გაგებით აღიქვამენ, – აღნიშნა ზახაროვამ. მისივე თქმით, მოსკოვი, შეიარაღების მიწოდებისას რეგიონში არსებულ ყველა რისკს ითვალისწინებს.

აზერბაიჯანმა რუსეთს საპროტესტო ნოტა გადასცა. ბაქოში მიიჩნევენ, რომ ერევნის მიერ შეძენილი შეიარაღება და სამხედრო ტექნიკა მთიან ყარაბახში დისლოცირდება.

18 თებერვალს, რუსეთმა სომხეთთან შეთანხმებას მოაწერა ხელი, რომელიც იარაღის შესაძენად 200 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ათწლიანი კრედიტის გამოყოფას ითვალისწინებს. (ინტერპრესნიუსი)

## „ტეხავს, სამარცხვინოა... ვერ წარმომედგინა, რომ ასეთ შეცდომას დაუშვებდა“ — ანანიაშვილს მოსკოვში ცეკვის გამო აკრიტიკებენ



საბჭოთა ოკუპაციის დღეს ქართველი ბალერინა ნინო ანანიაშვილის მოსკოვის თეატრში ცეკვას სოციალურ ქსელში ბევრი უარყოფითი გამოხმაურება მოჰყვა.

როგორც „ფეისბუკის“ მომხმარებლები წერენ, ოკუპაციის დღეს მოსკოვში ცეკვა ქართველი ბალერინას მხრიდან არასწორი საქციელია.

ანანიაშვილს ამ ნაბიჯის გამო საზოგადოებისთვის ცნობილი სახეებიც აკრიტიკებენ, მათ შორის ტელეწამყვანი ნანუკა ჟორჟოლიანი, ჟურნალისტი თამარ ჩერგოლეიშვილი და „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი გივი თარგამაძე.

**ნანუკა ჟორჟოლიანი, ტელეწამყვანი:**

– როგორც „ერისიონის“ ცეკვა ტეხავს მოსკოვში, ან ხუბუტიას კონცერტზე სიმღერა, ისე ტეხავს ნაციონალური ბალეტის ცეკვა მოსკოვში 25 თებერვალს.

**თამარ ჩერგოლეიშვილი, ჟურნალისტი:**

– უკიდურესად სამწუხარო და სამარცხვინოა, რომ საბჭოთა ოკუპაციის დღეს მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე ნინო ანანიაშვილი იცეკვებს.

მართალი გითხრათ, ვერ წარმომედგინა, რომ ასეთ შეცდომას დაუშვებდა.

**გივი თარგამაძე, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი:**

– ჩემთვის ძალზე სამწუხაროა, რომ ნინო ანანიაშვილმა ჩათვალა, თითქოს ქართველი საზოგადოებისთვის მეტად ადვილია იმის ახსნა, საბჭოთა ოკუპაციის დღეს რის გამო ატარებ კონცერტს ბოროტების სათავეში ჯალათების საამებლად, ვიდრე, თუნდაც, საყვარელი მასწავლებლისთვის ახსნა ამგვარი ქმედების სამარცხვინოობისა. შეუძლებელია მსგავსი ქცევის გამართლება.

**ქეთევან ქარდავა, ჟურნალისტი:**

– ყოველთვის ვცდილობ, განსხვავებულ აზრს პატივი ვცე. ძალიან ვცდილობ. ზოგჯერ გამომდის, ზოგჯერ მიჭირს და მაინც გამომდის. არის შემთხვევები, როცა ჩემს ძალებს აღემატება და ვერ ვახერხებ. არ ვეჯიბრები არავის პატრიოტიზმში, ყველა თავისებურად გამოხატავს ან ვერ გამოხატავს. აი, ოკუპაციის დღეს მოსკოვში ცეკვა და სიმღერა როგორ ავხსნა, არ ვიცი.

ნანი ბრეგვაძის შვილიშვილი, მომღერალი ნატალია ქუთათელაძე კი ცუდს ვერაფერს ხედავს იმაში, რომ ქართველმა ბალერინამ ნინო ანანიაშვილმა მოსკოვის თეატრში იცეკვოს.

ქუთათელაძე „ფეისბუკის“ მეშვეობით იმ ადამიანებს მიმართავს, ვინც ქართველ ბალერინას მწვავედ აკრიტიკებს.

– სამარცხვინოა, როდესაც არაფრისმაქნისი არაპროფესიონალი ადამიანები, რომლებსაც იმის მეათასედი არ გაუკეთებიათ საქართველოსთვის, აკრიტიკებენ ისეთ ხელოვანებს, რომლების შემოქმედებითაც დღეს საქართველო მსოფლიომ გაიცნო და მათ ეთაყვანებიან!!! იქნებ ჯერ თქვენ გეცადათ, ასე ღირსეულად ემსახუროთ თქვენ საქმეს და შემდეგ მსოფლიოში, სადაც საქართველოს შესახებ ბევრი არაფერი იციან, ასევე ღირსეულად თქვენი ქვეყანა წარმოაჩინოთ. შემდეგ შეაფასეთ. ისინი მოსკოვში გვასახელებენ, მთვარეზე თუ ჯუნგლებში!!! – წერს ნატალია ქუთათელაძე. (ambebi.ge)

## „საქართველოს რკინიგზა მოგიწოდებთ, გადაკვეთოთ ლიანდაგები მხოლოდ სპეციალურ გადასასვლელებზე და გაუფრთხილდეთ საკუთარ სიცოცხლეს!

გაცნობებთ, რომ რკინიგზის სადგურები, სამგზავრო ბაქნები, სარკინიგზო გადასასვლელები, ლიანდაგები, ასევე, მატარებლის მოძრაობასთან დაკავშირებული სხვა დაწესებულებები (ტერიტორიები) მომატებული საფრთხის ობიექტებს წარმოადგენს.




ს/ს „საქართველოს რკინიგზა“ მოგმართავთ თხოვნით, რკინიგზა მხოლოდ სპეციალურად განსაზღვრულ და მოწყობილ ადგილებზე გადაკვეთოთ, რათა საკუთარ სიცოცხლეს საფრთხე არ შეუქმნათ. რკინიგზის ხაზის უსაფრთხოდ გადაკვეთა მოქალაქეებს ფეხით სავალი ხიდების, გვირაბების, გადასასვლელებისა და სპეციალურად მოწყობილი ფენილების მეშვეობით შეუძლიათ.

რკინიგზის ლიანდაგებზე გავლა, იქ, სადაც არ არის ნებადართული, სპეციალური ადგილები, წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 106-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას, რომელსაც შესაბამისი სანქციები მოჰყვება.

პირველ ეტაპზე მოხდება მოქალაქის გაფრთხილება, ხოლო შემდგომ დაჯარიმება, შრომის ანაზღაურების ერთ მეათედ მინიმალურ ოდენობამდე. რკინიგზის სადგურებზე, სადაც არ არის ხიდი, ან გვირაბი, ქვეითმა ლიანდაგი ფენილზე უნდა გადაკვეთოს იმ ადგილზე, რომელსაც აქვს მინიშნება „გადასასვლელი“. ფენილზე გადასვლამდე მოქალაქე უნდა დარწმუნდეს, რომ ლიანდაგზე არ მოძრაობს მატარებელი, ლოკომოტივი ან ვაგონი.

მოძრავი შემადგენლობის მოახლოებისას მოქალაქემ უნდა გაატაროს ის, დარწმუნდეს იმაში, რომ მეორე ლიანდაგზეც არ არის მატარებლის მოძრაობა და მხოლოდ ამის მერე გადაკვეთოს ფენილი. რკინიგზის გადასარბენთან გადასვლისას, მოქალაქემ ყურადღება უნდა მიაქციოს შუქნიშანს, ხმოვან სიგნალსა და შლაგბაუმის მდგომარეობას.

გზის გადაკვეთა მხოლოდ ღია შლაგბაუმის დროს არის დაშვებული. ხოლო, თუ გადასარბენზე არ არის შლაგბაუმი, მოქალაქე გადასვლამდე უნდა დარწმუნდეს, რომ გადასარბენს არ უახლოვდება მოძრავი შემადგენლობა და მხოლოდ ამის მერე გადაკვეთოს გზა. კატეგორიულად აკრძალულია, დაკეტილი შლაგბაუმის დროს გადასვლა, სადგურებსა და გადასარბენებზე გაჩერებული ვაგონების ქვეშ გაძრომა. ასევე, აკრძალულია ლიანდაგის გასწვრივ სიარული 5 მეტრზე ნაკლებ მანძილზე.

დაუშვებელია, რკინიგზის ხიდებსა და გვირაბებში გასვლა, თუკი იქ არ არის ქვეითებისთვის მოწყობილი სპეციალური ბილიკი. კატეგორიულად აკრძალულია, რკინიგზის ხაზის გადაკვეთა იქ, სადაც არ არის შესაბამისი ნიშანი.

**„საქართველოს რკინიგზა“ მოგიწოდებთ, გადაკვეთოთ ლიანდაგები მხოლოდ სპეციალურ გადასასვლელებზე, შესაბამისი წესების დაცვით! და გაუფრთხილდეთ საკუთარ სიცოცხლეს!**

## „სად ხართ, რატომ გაიყურსეთ, თუ თქვენიანი მოღალატე არაა, დანარჩენი ყველა ჩასაქოლია?“



ბაკურ ბაკურაძე „ფეისბუკის“ პირად გვერდზე ნინო ანანიაშვილის მოსკოვში ვიზიტს ეხმიანება და „ნაციონალებს“ მიმართავს.

– ჰე! ნაცხროვა, სად ხართ? წივილ-კივილი რომ გაგიდით, რატომ მიდიან ქართველი ხელოვანები მოსკოვში სამღერადო? ზუსტად 25 თებერვალს ნინო ანანიაშვილი რუსეთში, მოსკოვში, დიდ თეატრში იცეკვებს! ის სადაა, ქმარი ქმარი? თვითონ ძლივს რომ გააგდებინეს რუსეთის პასპორტი საგარეო საქმეთა მინისტრობის დროს ხელიდან და სხვას ყველას რომ რუსეთის აგენტს ეძახის? სად ხართ თქვენ, რატომ გაიყურსეთ, თუ თქვენიანი მოღალატე არაა, დანარჩენი ყველა ჩასაქოლია? ტფუი, თქვენი.

**P.S.** უნდა იცეკვოს, ჩემი აზრი ესაა. მისი ცხოვრებისა და შემოქმედების უდიდესი ნაწილია რუსეთი, ეს სცენა და უნდა იცეკვოს, – წერს ბაკურ ბაკურაძე. (plus.kvira.ge)

## 26 მაისს გარდაცვლილი პოლიციელის დედას პარლამენტის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეაქვს

6 მაისის აქციის დროს დაღუპული პოლიციელის, ვლადიმერ მასურაშვილის დედას პარლამენტის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეაქვს და მორალური ზიანის ანაზღაურებას ითხოვს.

ანა აზაურაშვილს სარჩელის მომზადებაში „სამართალდამცველთა რეფორმირების ცენტრი“ ეხმარება.

ორგანიზაციის ხელმძღვანელი ზვიად კუპრავა აცხადებს, რომ აზაურაშვილს დახმარებას სასამართლო პროცესებზეც გაუწევენ:

– სარჩელი სასამართლოში შეაქვს ქალბატონ ანა აზაურაშვილს, გარდაცვლილი პოლიციელის დედას საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით. ჩვენ გვესმის, რომ უკან შეტრიალება განთავისუფლებული კაცის არ შეიძლება და ამიტომ არ გვაქვს ილუზია და არც ვითხოვთ, რომ უკან დააბრუნონ ციხეში, მაგრამ მკვლელის გამოშვებით ოჯახმა მიიღო მორალური ზიანი და ვითხოვთ ამ ზიანის ანაზღაურებას სასამართლოს გზით. ეს არის ფულადი თანხა, სიმბოლურად 1 ლარის ოდენობით. ჩვენ არ ვართ ამ საქმით ფინანსურად დაინტერესებული, ჩვენ გვაინტერესებს, უბრალოდ, გაირკვეს, საქართველოს სასამართლომ საქართველოს პარლამენტი გაამტყუნოს აღნიშნულ საქმეში. პარლამენტის მიერ მიღებული კანონი იყო ამორალური ქალბატონ ანასთან მიმართებაში, ამავდროულად იყო არაკონსტიტუციური და ანტისახელმწიფოებრივი, – განაცხადა ზვიად კუპრავამ. (პირველი რადიო)

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33





# ვინ არის ქადაგიძის მოვალეობის შემსრულებელი მესტვირიშვილი და რა ელის ლარის კურსს მისი მმართველობისას?

**შვიდწლიანი მმართველობის შემდეს, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა, გიორგი ქადაგიძემ თანამდებობა დატოვა. მის მოვალეობას ახალი პრეზიდენტის დანიშვნამდე, მისი მოადგილე, არჩილ მესტვირიშვილი შეასრულებს.**

**ვინ არის მესტვირიშვილი? რა პროცესებს უნდა ველოდოთ მისი თუნდაც, დროებითი მმართველობის პირობებში? რას უნდა ველოდეთ ლარის კურსთან მიმართებაში მესტვირიშვილის პრეზიდენტობისას?**

**„ალიას“ ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, საბანკო საკითხების ექსპერტი ლია ელიავა ესაუბრა:**

**— ქადაგიძის მოვალეობას მოვალეობის არჩილ მესტვირიშვილი შეასრულებს, რა შეგიძლიათ მასზე მითხრათ?**

– ეს არის ადამიანი, რომელიც განსაზღვრავდა ქვეყანაში ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკას, ანუ, ფაქტობრივად, ამ ადამიანის რჩევებით საქართველოს ეროვნული ბანკი შვიდი წლის განმავლობაში არღვევდა ორგანული კანონის მოთხოვნას ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფის შესახებ. ამ ადამიანის რჩევებით და მისი საქმიანობით, ქვეყანაში დოლარიზაციის მაჩვენებელი გაიზარდა კატასტროფულ, 70 პროცენტამდე, მისი რჩევებით არ იქნა გამოყენებული სავალუტო რეზერვები ლარის გაცვლითი კურსის მხარდასაჭერად და ჩვენ მივიღეთ უმწვავესი სავალუტო კრიზისი, რომელმაც ძალიან მძიმე შედეგი დატოვა ეკონომიკასა და მოსახლეობაზე.

**— ანუ მმართველობის პერიოდში სიტუაციის გამოსწორებას არ ელოდებით...**

– არა. როგორი უნიათო და უმაქნისიც იყო ეროვნული ბანკი დღემდე, მესტვირიშვილის დროებითი მმართველობის პერიოდშიც ასეთი დარჩება, არაფერი არ შეიცვლება.

**— ზოგადად, ეროვნული ბანკი, მისი უკვე ყოფილი პრეზიდენტის თამადობით, ყოველთვის „ნაციონალურ მოძრაობასთან“ და მათი ინტერესების გამტარებელთან ასოცირდებოდა. მესტვირიშვილიც მათ რიცხვშია?**

– მოდით, ასე ვთქვათ: მთელი ეროვნული ბანკი დაკომპლექტებული არის „ნაციონალური მოძრაობის“ გულშემატკივრებისგან და ეს კომპლექტაცია თავიდანვე მოხდა, როგორც კი ქადაგიძე მოვიდა ეროვნულ ბანკში. ანუ იქ ყველა თანამშრომელი შეიძლება ასოცირდებოდეს, როგორც წინა ხელისუფლების არა მარტო გულშემატკივარი, არამედ მხურვალე მხარდამჭერი.

**— გამოდის, ახალ პრეზიდენტად ვინც არ უნდა დაინიშნოს იგივე პოლიტიკა გაგრძელდება, რაც აქამდე აქვს ეროვნულ ბანკს?**

– საქმე ისაა, რომ ახალ პრეზიდენტს დახვდება კადრები, რომელსაც ის ვერ გამოცვლის, როგორც ვთქვათ, ვიცე-პრეზიდენტებს – და ფაქტობრივად, მათ ვერ შეაცვლევინებს საქმიანობის სტილს. ანუ მას რომ რაღაცის შეცვლა მოუნდეს, ძალიან გაუჭირდება. გარდა ამისა, ვინაიდან ის საერთაშორისო სავალუტო ფონდის კადრი იქნება, დიდი ალბათობით შემიძლია გითხრათ, რომ ეროვნული ბანკის საქმიანობაში ბევრ ცვლილებას არ ველოდები.

**— ზოგადად, რა მოლოდინები გაქვთ? რა პროცესების მომსწრენი შეიძლება გავხდეთ?**

– არანაირი მოლოდინი არ მაქვს იმის, რომ ეროვნული ბანკი მკვეთრად, რადიკალურად შეიცვლის თავისი მუშაობის სტილს და ბოლოს და ბოლოს, დაუბრუნდება მასზე კანონით დაკისრებულ ვალდებულებებს. უახლოეს პერიოდში ამის იმედი არ მაქვს, რადგან, როგორც გითხარით, იქ არის ისევ ძველი შემადგენლობა, რომელსაც სხვანაირად მუშაობას ვერ ასწავლი და ამას სჭირდება კადრების ძალიან სერიოზული გადახალისება.

**— კადრების გადახალისების პროცესი, თავისთავად, ბანკის პრეზიდენტის ერთ-ერთი მთავარი მოვალეობაა, რასაც როგორც ამბობთ, ვერ გააკეთებს. თუ არის იმის შესაძლებლობა, კადრების გადახალისება ბანკის პრეზიდენტის ნაცვლად სხვა საშუალებით მოხდეს, ამის რამე გზა არსებობს?**

– რა თქმა უნდა, შესაძლებელია. აი, მაგალითად, როგორც წინა პერიოდში გააკეთა ეროვნული ბანკის დროებითმა პრეზიდენტმა ამაღლობელმა, რომელიც გოცირიძის გადადგომის შემდეგ დაინიშნა (ამაღლობელი შემდეგ სავალუტო ფონდმა წაიყვანა თავისთან სამუშაოდ). რა გააკეთა მან: გაწმინდა ბანკი, ანუ პრაქტიკულად, მთელი ბანკი მოასუფთავა ძველი კადრებისგან, ცარიელი დაახვედრა ქადაგიძეს და ქადაგიძემ უკვე თავისი გემოვნებით დააკომპლექტა, დამლაგებლიდან დაწყებული დეპარტამენტის უფროსით დამთავრებული. ამის გაკეთება მესტვირიშვილს შეუძლია, ამის გამოცდილება ბანკს აქვს, თუმცა რამდენად ექნება ამის სურვილი, ეს სხვა თემაა. თეორიულად ეს შესაძლებელია.

**— დღევანდელი ვითარება ლარის კურსთან დაკავშირებით ისევ საკმაოდ საგანგაშოა. რა მოვლენები გველის წინ მესტვირიშვილის მმართველობისას? თუნდაც ეს პროცესი — ეროვნული ბანკის პრეზიდენტის წასვლა და დროებითი მმართველის, ან შემდეგ უკვე მომავალი პრეზიდენტის დანიშვნა, რა გავლენას მოახდენს ლარის კურსზე?**

– თავისთავად პროცესი ვერ გახდება დადებითი ტენდენციის იმის გარეშე, რომ ეროვნული ბანკი ამ საკითხში არ ჩაერიოს. იმისთვის, რომ ლარი გამყარდეს, აუცილებელია ეროვნული ბანკის ძალისხმევა და გარკვეული სავალუტო სახსრების დახარჯვა. თქვენ გახსოვთ, ერთი თვის წინ ქადაგიძემ ბრძანა – ლარი დაუბრუნდება 2.4 კურსსო, გავიდა ერთი თვე და ამას პირი არ უჩანს. თუ ეროვნულმა ბანკმა არ მოახდინა ლარის კურსის მხარდაჭერა, ლარი ვერ გამყარდება, ეს არის პრაქტიკულად გამორიცხული და იმისთვის, რომ მხარდაჭერა მოახდინოს, ამას სჭირდება ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობის აზროვნებაში გარკვეული ცვლილებები. მე შემიძლია დიდი ალბათობით ვივარაუდო, რომ ეროვნული ბანკის ახალი ხელმძღვანელობა გააგრძელებს ძველის კურსს, რადგან ეს ძველის კურსი იყო შეთანხმებული საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და ჩემი აზრით, ახალი სავარაუდო პრეზიდენტიც საერთაშორისო სავალუტო ფონდის კადრი იქნება.

**— ვინ შეიძლება იყვნენ ეროვნული ბანკის პრეზიდენტობის კანდიდატები?**

– იქ საბჭოს სამ წევრს, მათ შორის ორს წლის ბოლოს გასდის ვადა. შეიძლება დაელოდონ ამ ვადის გასვლას და მერე ახალი წევრები დანიშნოს პრეზიდენტმა... თუმცა ისიც მინდა გითხრათ, რომ, როდესაც პარლამენტი კენჭს უყრის საბჭოს ახალ წევრს, საბჭოს შეუძლია მეორე დღესვე შეიცალოს, აირჩიოს ახალი პრეზიდენტი და წარუდგინოს პრეზიდენტს დასამტკიცებლად, ანუ პარლამენტის გვერდის ავლით. ასე, რომ ყველაფერი შესაძლებელია. იცით, ვინც არ უნდა იყოს, ეროვნულ ბანკის საბჭოში ისეთი ჯგუფია, რომ ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. იქ არავინ არ წყვეტს ვარსკვლავებს ციდან და ეროვნული ბანკის საქმიანობის არსებითად გაუმჯობესებას ნამდვილად არ ვვარაუდობ.

**— ანუ ხალხის მოლოდინი, რომ ქადაგიძე წავა და შეიძლება რაღაც გამოსწორდესო, მცდარია?**

– ქადაგიძემ მოახერხა, ჩამოეყალიბებინა ეროვნული ბანკის საქმიანობის მახინჯი სისტემა და ამის დანგრევას, პირველ რიგში, თავიდან ბოლომდე საკადრო გადახალისება სჭირდება და პროფესიონალების მისვლა, რომელთაც გააჩნიათ საკუთარი აზრი, როგორი უნდა იყოს ქვეყნის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა და რაც მთავარია, ამ კადრებს უნდა შეეძლოთ დიალოგი საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და საკუთარი პოზიციის დაცვა. არა მონებივით თავის ჩაკიდება და „კი, პატივცემულო, ყველაფერს გავაკეთებთ“-ო, არამედ საკუთარი პოზიციის წარმოჩენა და დაცვა. მერწმუნეთ, საერთაშორისო სავალუტო ფონდი რომ დაინახავს ეროვნული ბანკის კადრების მაღალ კვალიფიკაციას, სულ სხვაგვარად ისაუბრებს, უფრო მეტს დაუთმობს და დაუჯერებს ადგილობრივ კადრებს.

**„თქვენ გახსოვთ, ერთი თვის წინ ქადაგიძემ ბრძანა — ლარი დაუბრუნდება 2.4 კურსსო, გავიდა ერთი თვე და ამას პირი არ უჩანს. თუ ეროვნულმა ბანკმა არ მოახდინა ლარის კურსის მხარდაჭერა, ლარი ვერ გამყარდება, ეს არის პრაქტიკულად გამორიცხული და იმისთვის, რომ მხარდაჭერა მოახდინოს, ამას სჭირდება ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობის აზროვნებაში გარკვეული ცვლილებები“**

## „უფრო ღრმად და დეტალურად ჩაიხედოს პროცესებში“



ჯანდაცვის მინისტრი სახალხო დამცველის განცხადებას გამოეხმაურა, რომლის მიხედვითაც ტყიბულის მაღაროში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით აუცილებელია ამოქმედდეს სამმხრივი კომისია. დავით სერგეენკო უჩა ნანუაშვილს ურჩევს, უფრო ღრმად და დეტალურად ჩაიხედოს პროცესებში. დავით სერგეენკო განმარტავს, რომ სამმხრივი კომისიის ფუნქცია არ არის კონკრეტული შრომითი დავების განხილვა, არამედ ეს არის პოლიტიკისა და სტრატეგიის შემმუშავებელი საბჭო.

– სახალხო დამცველის პოზიცია არის სახალხო დამცველის პოზიცია, რომელიც, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია. მაგრამ მე აღარ მახსოვს ეს უკვე მერამდენე მოწოდებაა, რომ უფრო ღრმად და დეტალურად ჩაიხედოს პროცესებში.

კერძოდ, სამმხრივი კომისიის ფუნქცია არის არა კონკრეტული შრომითი დავების ან სხვა რაიმე სახის დავების განხილვა, არამედ პოლიტიკური და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც შეეხება შრომით დავებს. ეს არის პოლიტიკის შემმუშავებელი ორგანო, რომელიც შარშან შეიკრიბა და გამოიტანა დადგენილება, რომლის მიხედვითაც ჯანდაცვის მინისტრს დაევალა მედიაცია.

ჯანდაცვის მინისტრი უკვე აქტიურად მონაწილეობს ამ პროცესში. ეს მონაწილეობა გამოიხატება კანონით დადგენილი ნორმების აღსრულებაში, როდესაც იქ მივლინებული არიან ჩვენ მიერ შერჩეული ადამიანები, – განაცხადა სერგეენკომ. (პირველი რადიო)

## საბერძნეთი ევროკავშირის გადაწყვეტილებების დაბლოკვით იმუქრება



საბერძნეთი ევროკავშირის გადაწყვეტილებების დაბლოკვით იმუქრება, თუკი პასუხისმგებლობა მიგრაციული კრიზისისთვის ევროკავშირის ყველა ქვეყანაზე თანაბრად არ გადანაწილდება.

ამის შესახებ საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა, ალექსი ციპრასმა ქვეყნის პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მისი თქმით, არ დაუშვებს საბერძნეთი ბუფერულ ზონად გადაიქცეს. როგორც „ასოშეიტედ პრესთან“ საბერძნეთის მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა, პრემიერი შეშფოთებულია იმ ფაქტით, რომ ქვეყნები, რომლებსაც ერთი მიგრანტიც არ მიუღია, საკუთარ ქვეყნებში ღობეებს აშენებენ.

შეგახსენებთ, საბერძნეთი ერთ-ერთი მთავარი მარშრუტია ევროკავშირში ჩასვლის მსურველთათვის. (ნიუპოსტი)

## „მაგაზე დიდი ხეები ჩილედან და ესპანეთიდან ჩამომაქვს“



– მაგაზე დიდი ხეები ჩილედან და ესპანეთიდან ჩამომაქვს. ეს არის ნორმა. ტყიდან და ეგეთი ადგილებიდან შეიძლება, რომ გაიყიდოს და გადაირგას ხეები. საქართველოში შეიძლება ეს იყო უპრეცედენტო და ამიტომ ბევრი განმარტების გაკეთება გვიწევს ამასთან დაკავშირებით, მაგრამ მთავარი განმარტება ის არის, რომ რეალურად არავის ეგ ხეები არ აინტერესებდა. უამრავი ხე გაიჩეხა და იჩეხება მაგის მსგავსი და მაგაზე უკეთესი. ნახეთ ადგილზე, გაიარეთ 50 მეტრი და ნახავთ, უზარმაზარ მაგნოლიებს როგორ აქვთ ჩამოჭრილი ტოტები და როგორ არის ძირში მოჭრილი და დამახინჯებული ელემენტარულად, საწვავად, თუმცა არავის ეგ არ აინტერესებს, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა ტელეკომპანია **GDS**-ის მიერ მომზადებულ ფილმში. (postalioni.com)

## აიუფ ბორჩაშვილი ჯიჰადისტ თარხან ბათირაშვილთან კავშირს არ უარყოფს



ტერორისტულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობის ბრალდებით დაკავებულმა აიუფ ბორჩაშვილმა საქალაქო სასამართლოში დაკითხვისას განაცხადა, რომ ის ნამდვილად იცნობს ბათირაშვილს და მასთან კომუნიკაცია ჰქონდა, თუმცა საუბარი შეეხებოდა პანკისის ხეობაში სკოლის აშენებას. რაც შეეხება ტერორისტულ ორგანიზაციასთან კავშირს, ბორჩაშვილი ამას არ ადასტურებს.

პროცესზე ბრალდებულმა არასრულწლოვნების საქართველოდან გამგზავრების თაობაზეც ისაუბრა და წაყენებული ბრალი უარყო.

როგორც ჟურნალისტებს ბორჩაშვილის ადვოკატმა გელა ნიკოლაიშვილმა განუცხადა, ბავშვები, რომლებიც წავიდნენ საზღვარგარეთ, ბორჩაშვილთან კავშირში არ იყვნენ.

აიუფ ბორჩაშვილი 2015 წლის 14 ივნისს დააკავეს. გამოძიება მას ტერორისტულ ორგანიზაციაში გაწევრიანების გამო გადაბირებისთვის, უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში გაერთიანებაში ან ტერორისტულ საქმიანობაში დახმარებაში ადანაშაულებს. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში 10-დან 17 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. (ინტერპრესნიუსი)

# რატომ აუქმებს მერია კომუნალურ ვაუჩერებს და რა რეზერვი აქვს მის დასაფარად?

**„როგორც ჩანს, მადლობაც უნდა გადავიხადოთ, 200 ათასი ქულის ქვემოთ მყოფ ადამიანებს მაინც რომ შეუნარჩუნეს კომუნალური ვაუჩერები“**

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80





მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა, გელა ჩივიაშვილმა განაცხადა, რომ კომუნალურ ვაუჩერებს მიიღებენ ის ოჯახები, რომლებსაც სოციალურად დაუცველთა ბაზაში 200 000 ქულაზე ნაკლები აქვთ.

„დიდი ხანი მიდიოდა ამაზე მსჯელობა, მათ შორის მთავრობის ეკონომიკურ საბჭოში, საკრებულოში და გასულ კვირას უკვე შევიდა მერია საკრებულოში ინიციატივით, რომ იმ ოჯახებმა მიიღონ კომუნალური ვაუჩერები, ვისაც სოციალურად დაუცველთა ბაზაში 200 ათას ქულაზე ნაკლები აქვთ. ესენი არიან ოჯახები, რომლებიც ყველაზე მეტად შეჭირვებულები არიან და რეალურად სარგებლობენ არა მარტო კომუნალური სუბსიდიის, არამედ მერიის სხვა სოციალური პროგრამებითაც“, – განმარტა ჩივიაშვილმა.

რატომ გადაწყვიტა თბილისის მერიამ უმიზნო ხარჯების შემცირება გაჭირვებული ხალხის ხარჯზე? რატომ დუმს თბილისის საკრებულო მაშინ, როდესაც მერია ისედაც წაქცეულ და სოციალურად გაჭირვებულ ადამიანებს წიხლს აჭერს? დაუჭერს თუ არა საკრებულო მხარს მერიის ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებას?

**„ალიას“ მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ დამფუძნებელი, ლევან ხაბეიშვილი ესაუბრა:**

– დავით ნარმანიამ და მისმა გუნდმა, 2016 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები წარმოადგინეს. ამ ცვლილებებში შავით თეთრზე წერია, რომ 19 მილიონით მცირდება სუბსიდირების მუხლი, რომელიც მოიცავს იმ ვაუჩერებს, რომლებსაც მოსახლეობა ზამთარში ბოლო წლების განმავლობაში იღებდა. ამიერიდან, ამ შეღავათს ვერ მიიღებს დედაქალაქის ყველა მაცხოვრებელი. ვაუჩერს მიიღებენ მხოლოდ სოციალურად დაუცველები. სუბსიდირება, შესაძლოა, მაშინ მოხსნა, როცა ეკონომიკური აღმავლობაა ქვეყანაში და ხალხს რაღაც შემოსავალი გაეზარდა, მაგრამ არა, თბილისის მერია წაქცეულ ადამიანებს წიხლს აჭერს. როგორც ჩანს, უკვე აღარავინ ფიქრობს ხალხის საჭიროებებზე. ნახეთ, რას აკეთებენ – დენის გადასახადს ზრდიან, ხოლო ვაუჩერების რაოდენობას ამცირებენ. როგორც ჩანს, მადლობაც უნდა გადავიხადოთ, 200 ათასი ქულის ქვემოთ მყოფ ადამიანებს მაინც რომ შეუნარჩუნეს ეს ვაუჩერები.

ყველაზე მარაზმატული კი არის ის, რომ ვაუჩერს მიიღებენ მხოლოდ და მხოლოდ ის ადამიანები, რომლებსაც სოციალურად დაუცველთა ბაზაში 200 ათას ქულაზე ნაკლები აქვთ. რით არიან ამ სიაში მყოფი ადამიანები განსხვავებულები იმ ადამიანებისგან, რომლებსაც 200 ათას 1, 10, 20 ან 30 ქულა აქვთ, მაგრამ ეს ადამიანები, ვერ მიიღებენ ვაუჩერს?! 200 000 არის დადგენილი ქულა და 200 ათას ნახევარი ქულაც რომ ჰქონდეს, მაინც ვერ მიიღებს ვაუჩერს.

სოციალურად დაუცველთა სია ისედაც მოსაწესრიგებელი იყო, მაგრამ ამათ სულ აურიეს. უამრავი ადამიანია, რომელთაც სოციალურად დაუცველის სტატუსიც, საბუთიც კი არ აქვთ, იმიტომ, რომ სააგენტომ გაუუქმათ საშუალება, დაწერონ ახალი განცხადება და არის უამრავი პრობლემა და ვინმეს თუ ჰგონია, რომ, როცა ადამიანს სოციალურად დაუცველის საბუთი არ აქვს, მას არ უჭირს, ძალიან ცდება. ათასობით ადამიანს იმიტომ არ უფიქსირდება ხელფასის ჩარიცხვა, რომ დამლაგებლად მუშაობს და ხელფასი აქვს 120 ლარი. ნებისმიერი თანხის გამო, რომელიც ადამიანს ანგარიშზე უფიქსირდება, უხსნიან სოციალურ დახმარებას.

**— მერიაში ამბობენ, რომ ბევრი ისეთი იღებდა ვაუჩერებს, ვისაც რეალურად ამის საჭიროება არ გააჩნიაო...**

– თუ არააუცილებელი თანხების დაზოგვა უნდოდათ, მაშინ ხალხისთვის კი არ უნდა მოესპოთ არსებობის ეს წყარო, არამედ თავიანთი ხელფასები უნდა შეემცირებინათ. შეემცირებინათ ხელშეკრულებით აყვანილი ადამიანების რიცხვი, ნახევარზე მეტი ასე გაფორმებული ადამიანი არც კი დადის თბილისის მერიაში. კატასტროფულადაა გაზრდილი მათი რაოდენობა. თუ ადრე, ჯამში, 90-100 იყო მათი რიცხვი, დღეს არის 200-220. თითოეულის ანაზღაურება კი მინიმუმ 1040 ლარია ხელზე ასაღები. დათვალეთ ახლა რამდენია ეს ჯამში ყოველთვიურად და მერე ყოველწლიურად. ამ ადამიანების უმეტესმა ნაწილმა, ისიც კი არ იცის, რომელ სამსახურში არიან დასაქმებული. წარმოადგინონ გამგებლებმა ტაბელები, გვაჩვენონ, რამდენ ხანში ერთხელ მიდიან ეს ადამიანები სამსახურებში. თუ წარმოადგენენ, რომ დადიან, მე ბოდიშს მოვიხდი, მაგრამ ვიცი, რომ არ არის ასე. გეუბნებით, თბილისის მერია ამ მიმართულებითაც კორუფციის ბუდეა, სადაც პრიორიტეტულ მიმართულებად არის მიჩნეული გამგებლების ნათესავ-მეგობრებისა და პარტაქტივის დასაქმება. ასევე, არ არსებობს დოკუმენტაცია, რომელიც ასახავს ხელშეკრულებით აყვანილი ადამიანების სამუშაოს აღწერილობასაც კი.

ან 2 მილიონის ოდენობის პრემიები არ უნდა გაეცათ ერთ თვეში და ეგ იქნებოდა. მაგრამ ამათ მარტივი გზა იპოვეს და ხალხის ჯიბიდან გადაწყვიტეს ამ თანხების ამოღება.

მოგონილი თანამდებობები გაეუქმებინათ, მოსვლის დღიდან რომ მოიგონეს. ასეთებია – გამგებლის თანაშემწე, აპარატის უფროსის თანაშემწე და თანაშემწის თანაშემწე. ერთი ვაკანსია აკლიათ მარტო, კურიერი – ამ თანაშემწეებს შორის ურთიერთობა რომ დაარეგულიროს. ჯერ გამგებლის თანაშემწე რა არის და მერე ამ გამგებლის თანაშემწის თანაშემწე რა იქნება.

ასევე, სახელმწიფო ტრანში მცირდება 26 მილიონამდე ლარით, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ თვითონ მთავრობაც ვერ ხედავს იმის აუცილებლობას, რომ მერიის ბიუჯეტი იყოს არსებულზე მეტი, რაც ცალსახად მიუთითებს იმას, რომ უკვე აღარავინ ენდობა დავით ნარმანიას ბიუჯეტის განკარგვაში.

დავით ნარმანიას ურჩევნია, მიხედოს უსაქმურ, არაფრისმკეთებელ გამგებლებს, მათ თანაშემწეებს, თანაშემწეების თანაშემწეებს... მათ იდიოტურ შტატებს მიხედონ, მილიონობით ლარს რომ ფლანგავენ დედაქალაქის ბიუჯეტიდან. 216 რიგითი ადამიანი, „სინათლის ქალაქში“ რომ მუშაობდა, 24 საათი სინათლის ბოძზე რომ იყო და სიცოცხლეს დებდა, მეეზოვეები – ბაღებსა და სკვერებს რომ უვლიდნენ და ასუფთავებდნენ, აი, იმათ ათავისუფლებენ და არა იმ იდიოტებს, რომლებმაც დედაქალაქი იმ დონემდე მიიყვანეს, რომ სისუფთავის ქალაქიო იძახეს და დღეს სიბინძურის ქალაქია თბილისი.

ეს მარტო ნარმანიას გადაწყვეტილება არ არის, ათასი უფროსი ჰყავს ამ ადამიანს. დღეს ამ საკითხზე პასუხისმგებლობა უნდა აიღოს „ქართულმა ოცნებამ“, რომ შემოგვაჩეჩა მეცნიერი მერი, რომელსაც, სამწუხაროდ, წარმოდგენაც კი არ აქვს, რა თანამდებობას იკავებს.

**— როგორ ფიქრობთ, დედაქალაქის საკრებულო დაუჭერს მხარ მერიის ამ გადაწყვეტილებას?**

– საკრებულო დღეს მხოლოდ და მხოლოდ ნოტარიუსის ფუნქციას ასრულებს და თავისთავად, დიდი ზარ-ზეიმით მიიღებენ მერიის ამ გადაწყვეტილებას.

**ლევან ხაბეიშვილთან საუბრის შემდეგ, თბილისის საკრებულოს უმრავლესობის წევრებთან დაკავშირება ვცადეთ. გვაინტერესებდა — რას ფიქრობენ საკრებულოში მერიის გადაწყვეტილებაზე, რომლის თანახმადაც ის ოჯახები, რომლებსაც სოცდაუცველთა ბაზაში 200 ათას ქულაზე ნაკლები აქვთ, ვაუჩერებს აღარ მიიღებენ. ასევე, თუ ოჯახს 200 001, 200 010, ან ცოტა მეტი ქულა აქვთ და დიდად არ განსხვავდება 200 000 ქულიანისგან, რამდენად სწორად მიაჩნდათ, მათ არ მიეცეთ ვაუჩერი. ამავდროულად, გვინდოდა გაგვეგო, დაუჭერს თუ არა ქალაქის საკრებულო მერიის ამ გადაწყვეტილებას მხარს? კითხვები წერილობითაც კი მივაწოდეთ.**

**მიუხედავად მთელი სამუშაო დღის ლოდინისა, ქალაქის საკრებულოში ვერ მოიძებნა ადამიანი, რომელიც ამ კითხვას გასცემდა პასუხს.**

## გერმანიამ მიგრაციული კანონმდებლობა გაამკაცრა



გერმანიამ მიგრაციული კანონმდებლობა გაამკაცრა. როგორც გერმანული გამოცემა „დოიჩე ველე“ წერს, ბუნდესტაგმა კანონების ახალი პაკეტი მიიღო, რომლის თანახმად, მიგრანტების გარკვეული ჯგუფის განაცხადი თავშესაფრის მიღების შესახებ განხილული იქნება დაჩქარებული წესით. ეს ცვლილება ძირითადად შეეხება „უსაფრთხო ქვეყნებიდან“ ჩასულ მიგრანტებს.

კიდევ ერთი ცვლილების თანახმად, ასეთ მიგრანტებს სპეციალურ დაწესებულებებში გადაიყვანენ და მათ არ ექნებათ უფლება, გერმანიაში საცხოვრებელი ადგილი თავად შეარჩიონ.

ახალი საკანონმდებლო ნორმები შეეხება იმ მიგრანტებსაც, რომლებსაც ლტოლვილის სტატუსი არ აქვთ, მაგრამ სამშობლოში ვერ ბრუნდებიან. ასეთი ადამიანები გერმანიაში ოჯახის წევრების ჩაყვანას ერთის ნაცვლად ორ წელიწადში შეძლებენ. გარდა ამისა, დაჩქარებული წესით მოხდება იმ მიგრანტების გაძევება, რომლებსაც თავშესაფრის მიღების უფლება არ აქვთ. (ინტერპრესნიუსი)

## საგარეჯოს არჩევნებთან დაკავშირებით პროკურატურამ გამოძიება დაიწყო



საქართველოს მთავარმა პროკურატურამ საგარეჯოს მაჟორიტარულ არჩევნებთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო.

როგორც „20/30“-ს პროკურატურაში განუცხადეს, გამოძიება დაწყებულია სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას გულისხმობს.

გამოძიების საფუძველი გახდა არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიმართვა, რომელიც დეპუტატ გოგი თოფაძის საჯარო განცხადებებს ეხება.

გოგი თოფაძე თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელს საგარეჯოში არჩევნების გაყალბებაში ადანაშაულებს.

არასამთავრობო ორგანიზაცია ითხოვს, გაირკვეს, ადგილი აქვს ცილისწამებას, თუ არჩევნების გაყალბება რეალურად მოხდა. (marshalpress.ge)

## ლუკა კურტანიძე: მტკიცებულების გარეშე ადამიანის დადანაშაულება დასჯადი უნდა გახდეს და გახდება კიდეც!

პარლამენტარი ლუკა კურტანიძე მიიჩნევს, რომ ცილისწამება დასჯადი უნდა გახდეს. ლუკა კურტანიძე თბილისის საკრებულოს დეპუტატ თედო კობახიძის ინიციატივას, რომ ცილისწამების მუხლი „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში“ დაბრუნდეს, სოციალურ ქსელში ეხმაურება:

– ცილისწამება დასჯადი უნდა გახდეს და ვინც არ არის ამ ინიციატივის მომხრე, ვურჩევ, სულხან-საბას „ენით დაკოდილი“ წაიკითხოს! ამასთანავე, კითხვას დავუსვამ დემოკრატიის ვაიგუშაგებს – რა მნიშვნელობა აქვს, ტყვიით მოგკლავენ თუ ტყუილი სიტყვით, ანუ ცილისწამებით??! (უსინდისო, არარაობა ადამიანებზე არ ვსაუბრობ, ვამბობ ღირსეულ ადამიანებზე, რომლებიც სიტყვით ცხოვრობდნენ და კვდებოდნენ). ეს სისასტიკე გავიარეთ ნაცებისა მიშისტების დროს, როცა ადამიანებს ცილს სწამებდნენ და შემდეგ პიროვნებას ანადგურებდნენ! ყველა უსაფუძვლო, ანუ მტკიცებულების გარეშე ადამიანის დადანაშაულება დასჯადი უნდა გახდეს და გახდება კიდეც! აღშფოთებული ვარ... დამთავრდა საქართველოში ცილისწამების ხანა! დამთავრდა!!! წაიკითხეთ სულხან-საბას „ენით დაკოდილი“, – წერს ლუკა კურტანიძე. (რეპორტიორი)

## აფთიაქები კიდევ ბევრ რამეს სცოდავენ, მაგრამ სადაა პატრონი?!



ჯანდაცვის მინისტრი სატელეფონო კონსულტაციით რეცეპტის გამოწერას არალეგალურ ქმედებას უწოდებს.

დავით სერგეენკო ინფორმაციას გამოეხმაურა, რომლის თანახმადაც აფთიაქებმა შემოიღეს სპეციალური ბარათები, რომელთა მფლობელებს შეუძლიათ რეცეპტიანი მედიკამენტის ექიმთან სატელეფონო საუბრის საფუძველზე შეძენა.

– სატელეფონო კონსულტაციით რეცეპტის გამოწერა ეწინააღმდეგება დადგენილ ნორმებსა და კანონებს. ეს არის არალეგალური მოქმედება, რაზეც შესაბამის რეაგირებას ახდენს ჯანდაცვის სამინისტრო. რაც შეეხება ონლაინრეცეპტებს, ეს მიღებული ფორმაა და 2 წელია უკვე, რაც პირველი ჯგუფის მედიკამენტებზე მუშაობს. მე ვფიქრობ, უახლოეს პერიოდში იქნება იმის შესაძლებლობა, როდესაც პაციენტს აღარ ექნება საჭიროება ქაღალდის ინფორმაციის მატარებელი ჰქონდეს. როდესაც ექიმი გასინჯავს, რეცეპტს გამოუწერს, ექიმს შეეძლება, ეს ინფორმაცია პირდაპირ ატვირთოს, პაციენტმა ქაღალდი არ ატაროს და აფთიაქს ექნება საშუალება დადასტურებულად, კანონით დადგენილი ფორმით, ექიმის მიერ გამოწერილი რეცეპტის საფუძველზე გასცეს მედიკამენტი, – განაცხადა დავით სერგეენკომ. (პირველი რადიო)



მაკა დეკანოსიძე
551 99-18-19

## რატომ წარადგინა უზენაესი სასამართლოს წევრად მარგველაშვილმა ანა დოლიძე, რომელსაც სამოსამართლეო გამოცდები არ ჩაუბარებია?





მას შემდეგ, რაც უზენაესი სასამართლოს სკანდალურ მოსამართლეს, ლევან მურუსიძეს პარლამენტმა უფლებამოსილება შეუწყვიტა, დღის წესრიგში ახალი მოსამართლის კანდიდატურის წარდგენა დადგა. საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა არჩევანი თავდაცვის მინისტრის მოადგილეზე, ანა დოლიძეზე შეაჩერა. წარდგენისას მან „გირგვლიანის საქმე“ კიდევ ერთხელ ახსენა და სხვა ღირსებებთან ერთად დოლიძის ერთ-ერთ ღირსებად, ამ საქმის მიმართ შეუპოვარი ბრძოლაც დაასახელა.

შეცვლის თუ არა თავდაცვის მინისტრის მოადგილე, „გირგვლიანის საქმეს“ „შეწირულ“ მოსამართლე მურუსიძეს, ამას პარლამენტის უმრავლესობა გადაწყვეტს, მანამდე კი საინტერესოა შეფასებები, რის მიხედვით შეარჩია ანა დოლიძე პრეზიდენტმა.

თავად ანა დოლიძემ, რომელსაც სამოსამართლეო გამოცდები ჩაბარებული არ აქვს, მისი მოსამართლედ წარდგენა „ყველა იურისტის კარიერის აპოთეოზად“ შეაფასა და მოსამართლედ დამტკიცების შემთხვევაში საკუთარი სამეცნიერო გამოცდილების უზენაესი სასამართლოსთვის გაზიარების პირობა დადო.

საინტერესოა, არის თუ არა საკმარისი მხოლოდ სამეცნიერო გამოცდილება (ანა დოლიძე პროფესორია და ამერიკაში ყოფნის დროს ორ უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს) უზენაესი სასამართლოს მოსამართლის პოსტის დასაკავებლად? და ხომ არ არის ეს სამართლებრივზე მეტად პოლიტიკური გადაწყვეტილება, მით უფრო რომ ანა დოლიძე ბოლო პერიოდში სკანდალებში გახვეული „რესპუბლიკელი“ მინისტრის თინა ხიდაშელის მოადგილეა?!

„ალია“ ამ კითხვებით პრეზიდენტის მრჩეველს, კახა კოჟორიძეს დაუკავშირდა:

„ვინც არ უნდა დაესახელებინა პრეზიდენტს, ალბათ, მითქმა-მოთქმას ვერც ერთ შემთხვევაში ვერ ავცდებოდით. ჩვენი მთავარი კრიტერიუმი, რის მიხედვითაც შეარჩია პრეზიდენტმა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი, არის ის, რამდენად იქნება ის დამოუკიდებელი, ისეთი ძლიერი პერსონა, რომელზეც მომავალში ვერავინ და ვერაფერი ვერ შეძლებს გავლენების მოხდენას. ჩვენთვის მთავარია, სასამართლო სისტემა გაძლიერდეს ინდივიდუალურად დამოუკიდებელი, ძლიერი, ღირსეული ადამიანებით. შესაბამისად, ჩავთვალეთ რომ ანა არის ასეთი ადამიანი და პრეზიდენტმა ამიტომ მიიღო ეს გადაწყვეტილება. ძალიან ბევრი ღირსება აქვს ანას, როგორც უზენაესის მოსამართლეობის კანდიდატს, პირველ რიგში კი მისი მაღალი პროფესიონალიზმი. წლების განმავლობაში ცალსახად დაადასტურა, რომ არის მაღალი დონის იურისტი, საზოგადოებას კარგად ახსოვს მისი აქტიურობა და ბრძოლა სამართლიანობისთვის. უზენაესის მოსამართლედ დასანიშნად მოსამართლედ მუშაობის გამოცდილება არაა მაინცდამაინც საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნა, სამაგიეროდ მას აქვს გამოცდილება სამეცნიერო მუშაობის და მათ შორის საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში. საკმაოდ მაღალი დონის პროფესიონალია ის ამ თვალსაზრისით.

კანონსაწინააღმდეგოს პრეზიდენტის არჩევანში ვერ ხედავს ადვოკატი გელა ნიკოლეიშვილიც, თუმცა ორაზროვნად მიანიშნებს, რომ გადაწყვეტილებას შესაძლოა, პოლიტიკური მოტივიც ჰქონდეს.

„რა ვიცი, ანა დოლიძეს ვიცნობ, როგორც კარგ სპეციალისტს და აქტიურ ქალს, როგორი მოსამართლე იქნება, ამის წინასწარ თქმა შეუძლებელია. რაც შეეხება, იმას, შესაძლებელია თუ არა მოსამართლე პრაქტიკის გარეშე იყოს არჩეული, მოსამართლეთა კანონში, მათ დებულებაში წერია, რომ, თუ გავლილი არ აქვს მოსამართლეს შესაბამისი გამოცდები, არ შეიძლება მისი მოსამართლედ დანიშვნა, მაგრამ, როგორც მახსოვს, შესაძლოა გამონაკლისი შემთხვევები და მისი სამეცნიერო მუშაობა ცნეს, ალბათ, ასეთ გამონაკლისად.

ვერ გეტყვით, რამდენად პოლიტიკურია პრეზიდენტის ეს გადაწყვეტილება, შესაძლოა იყოს კიდეც, მაგრამ ასე გადაჭრით ამის მტკიცება ძნელია. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა მოსამართლეთა კორპუსიდანაც არჩევა, მაგრამ იმდენად დისკრედიტებულია მათი 90%, რომ შესაძლოა იქიდან მართლაც რთულია შერჩევა და პრეზიდენტმა ამიტომაც გააკეთა ეს არჩევანი“.

მოკლედ, ვიდრე მოსამართლეთა კორპუსს ანა დოლიძე შეუერთდება, მანამდე ჯერ პარლამენტში კოალიციის „ავანტიურებია“ გადასალახი. „რესპუბლიკელთა“ პროტეჟეს გოგი თოფაძე და მისი მეგობრები დიდი სიხარულით რომ არ შეხვდებიან, ფაქტია, პრეზიდენტმა კი ფსონი, როგორც ჩანს, მენტალურად ახლოს მყოფ „რესპუბლიკელებზე“ დადო.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რას იხსენებს სობჩაკი სააკაშვილთან თბილისურ ინტერვიუზე: „შემიძლია, მაისური გავიხადო და ბიუსტჰალტერით ავიღო ინტერვიუ“



ტელეწამყვანმა ქსენია სობჩაკმა ერთ-ერთ ბოლო საჯარო გამოსვლაზე საქართველოს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან მის ურთიერთობაზე ისაუბრა და ერთი საინტერესო ისტორია გაიხსენა. 2010 წელს ქსენია სობჩაკი კოლეგასთან, ქსენია სოკოლოვასთან ერთად ესტუმრა საქართველოს მაშინდელ პრეზიდენტს ინტერვიუს ჩასაწერად. სობჩაკმა სწორედ ეს ვიზიტი გაიხსენა:

– ჯერ კიდევ საქართველოსთან კონფლიქტამდე, მიხეილ სააკაშვილთან ერთად, თბილისში მთავარ მოედანზე მამაჩემის მონუმენტი გავხსენით. ვერ ვიტყვი, რომ მეგობრული, მაგრამ თბილი ურთიერთობა დამყარდა ჩვენ შორის. შემდეგ კი მოვახერხე პრეზიდენტთან დაკავშირება, მისი პრესსამსახურის მეშვეობით და მე და ქსენია სოკოლოვა ჩავედით თბილისში. ეს იყო წარმოუდგენელი თავგადასავალი. ღამე, თბილისი, პირადი თვითმფრინავი, რომლითაც მაშინვე ბათუმში გადავფრინდით.

მე, ქსენია სობჩაკი, ქსენია სობჩაკი არ ვიქნებოდი, პროვოკაცია რომ არ მომეწყო და მომდევნო დღეს სააკაშვილთან ინტერვიუზე პუტინის გამოსახულებიანი მაისურით გამოვცხადდი.

პრესსამსახური მეუბნება: „ქსენია, არ შეიძლება ამ მაისურით, სააკაშვილს არ მივცემ თანხმობას, რომ ინტერვიუ მოგცეთ“. „რატომ არ შემიძლია საყვარელი პრემიერ-მინისტრის მაისურით თქვენს პრეზიდენტთან მივიდე, თქვენ ხომ თავისუფალი, დემოკრატიული ქვეყანა გაქვთ“, ვუთხარი. მერე ხანგრძლივი მოლაპარაკებები მიმდინარეობდა. მე კი ვუთხარი: „გამიგეთ, მე მაისური მაცვია, რა თქმა უნდა, შემიძლია გავიხადო, უბრალოდ, ეს კიდევ უფრო უცნაური იქნება, თუ ბიუსტჰალტერში ჩამოვართმევ ინტერვიუს სააკაშვილს“...

რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ამ არგუმენტმა დაარწმუნა პრესსამსახურის ხელმძღვანელი. მითხრა: „მართალი ხარ, ქსენია, ბიუსტჰალტერით ვერ შეხვალ. მაშინ, მოიცვით ჩემი პიჯაკი. შევედი ინტერვიუზე, თუმცა რა თქმა უნდა, ორი შეკითხვის შემდეგ გავიხადე და მაისურით განვაგრძე ინტერვიუ, – იხსენებს სობჩაკი. (ambebi.ge)

## „ოცნებას“ მინუს ყველა?





პარტია „ქართული ოცნების“ წევრი და მმართველი კოალიციის ერთ-ერთი ლიდერი ეკა ბესელია კოალიციაში წევრი პარტიების არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის თაობაზე გამოთქმულ მოსაზრებას საინტერესოს უწოდებს.

– ჩვენ არჩევნებში მონაწილეობას კოალიციურ ფორმატში ვგეგმავთ. ჯერჯერობით მოცემულობა ეს არის, მაგრამ საინტერესოა ფორმულა, როცა ექსპერტები ამბობენ, რომ კოალიციის თითოეულმა სუბიექტმა დამოუკიდებლად სცადოს ბედი და მოიპოვოს ამომრჩევლის ნდობა. ეს გადამეტებული წარმოდგენები საკუთარ შესაძლებლობებზე, მე ვფიქრობ, პასუხგაცემული იქნება. არ ვიცი, მოვლენები როგორ განვითარდება, მაგრამ ზოგადად ვფიქრობ, რომ ესეც საინტერესო სვლაა, – აცხადებს ეკა ბესელია. (პირველი რადიო)

## ტერაქტების საფრთხის გამო, სტამბულის პოლიციამ პატრულირება გააძლიერა



საზოგადოებრივ ტრანსპორტში ტერაქტების საფრთხის გამო, თურქეთის დედაქალაქში პოლიციის პატრულირება გაძლიერდა.

აღნიშნულ ინფორმაციას თურქული მედია „**Cumhuriyet**“ ავრცელებს. გამოცემის ცნობით, ქვეყნის დედაქალაქის მეტროსა და ავტობუსის რამდენიმე სადგურში კონტროლი გაძლიერებულია.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წელს თურქეთის დედაქალაქში ტერაქტების სერია განხორციელდა, რომელსაც, საერთო ჯამში, ათეულობით ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, ხოლო 100-ზე მეტი ადამიანი დაშავდა. (pia.ge)

## ლანჩხუთში მომხდარ ავტოავარიას 17 წლის ბიჭის სიცოცხლე ემსხვერპლა





შემთხვევა სუფსის თემის სოფელ ხიდმაღალაში მოხდა. ფეხით მოსიარულე მოზარდს მსუბუქი ავტომანქანა დაეჯახა. ახალგაზრდა ადგილზევე გარდაიცვალა.

როგორც „გურიის მოამბე“ თვითმხილველების ინფორმაციაზე დაყრდნობით წერს, მსუბუქ ავტომანქანას, რომელმაც 17 წლის ბიჭის სიცოცხლე იმსხვერპლა, სავარაუდოდ, პოლიციის თანამშრომელი მართავდა.

17 წლის გ. გუმბარიძე, სუფსაში ბიძასთან ცხოვრობდა, გარდაცვლილის დედა თურქეთში სამუშაოდ იყო წასული. გ. გუმბარიძემ სუფსის საჯარო სკოლა გასულ წელს დაამთავრა.

როგორც მომხდართან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, გამოძიება სსკ-ის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

რაც შეეხება შემთხვევაში პოლიციელთა მონაწილეობას, შსს ამბობს, რომ ამას გამოძიება დაადგენს. (ნიუპოსტი)

## სინამდვილეში, დასავლეთიც ყელში ამოუვიდა ხალხს, ჩრდილოეთიც, „ოცნებაც“ და „ნაცები“ ხომ საერთოდ!!!



– არ შეიძლება „რესპუბლიკური პარტია“ კოალიციაში განიხილო დასავლეთის ერთადერთ დასაყრდენად, – ეს განცხადება პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მანანა კობახიძემ გააკეთა.

მანანა კობახიძე აღნიშნავს, რომ ხაზგასმა ხდებოდა თითქოს რომ არა „რესპუბლიკური პარტია“, დასავლურ არჩევანს საფრთხე დაემუქრებოდა.

– ის კონტექსტი, რომ კოალიციაში ერთადერთი პროდასავლური ძალა და პარტია „რესპუბლიკური პარტიაა“, არ არის სწორი, – განაცხადა მანანა კობახიძემ. (exclusivenews.ge)

## დიდი ბრიტანეთის მსგავსად, ევროკავშირის დატოვებას ჩეხეთიც აპირებს



ევროკავშირიდან დიდი ბრიტანეთის გასვლის შემთხვევაში, ორგანიზაცია შესაძლოა, ჩეხეთმაც დატოვოს.

ამის შესახებ, ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, ჩეხეთის პრემიერ-მინისტრმა ბოჰუსლავ სობოტკამ განაცხადა.

– შედეგი შესაძლოა, ძალიან დიდი იყოს. თუ ბრიტანეთი ევროკავშირს დატოვებს, რამდენიმე წელიწადში გასვლის შესახებ დებატები ჩვენც გველის, – განაცხადა სობოტკამ.

ამავე დროს, ჩეხეთის პრემიერმა აღნიშნა, რომ, სანამ ის მთავრობას ხელმძღვანელობს, ჩეხეთის ევროკავშირიდან გასვლის შესახებ რეფერენდუმის გამართვას არ დაუშვებს.

ბოჰუსლავ სობოტკა მიიჩნევს, რომ ევროკავშირიდან ჩეხეთის გასვლის შემთხვევაში, რესპუბლიკას ეკონომიკური ზარალი ელის. ასევე, ეს უსაფრთხოების სფეროზე უარყოფითად აისახება.

როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, ორგანიზაციიდან გასვლით ჩეხეთი რუსეთის გავლენის სფეროში დაბრუნდებოდა.

– ეს ნიშნავს 1989 წლის შემდგომ განვითარებაზე აბსოლუტური უარის თქმას, – განაცხადა ბოჰუსლავ სობოტკამ. პოლიტიკოსი მიიჩნევს, რომ დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლა ჩეხეთში ექსტრემიზმსა და ნაციონალისტურ განწყობებს გააძლიერებს. (marshalpress.ge)

მაკა დეკანოსიძე
551 99-18-19



# რა უნდა გააკეთოს მევალემ, თუკი კერძო „ამომღები კომპანია“ მიადგება?



**„ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია — აფბას“ განცხადებით, უმწვავესი სოციალური პრობლემების ფონზე, საფინანსო ინსტიტუციები პრობლემურ ვალდებულებებს გადასცემენ ე.წ. „ამომღებ კომპანიებს“, რომლებიც ხშირ შემთხვევაში, უკანონო მეთოდებით ცდილობენ გაპრობლემებული ვალდებულებების ამოღებას. ე.წ. ამომღები კომპანიების საქმიანობაში ფიქსირდება შემდეგი სახის დარღვევები: პერსონალური მონაცემების მესამე პირზე გადაცემა (დარეკვები ახლობლებთან, თანამშრომლებთან); მუქარისა და შანტაჟის ტონით ურთიერთობა; უკანონოდ მოპოვებული ბაზებით მუშაობა...**

**„არ უფორმებენ ხელშეკრულებებს; კლიენტის მიერ გადახდილ თანხას უშვებენ ჯარიმის მომსახურებაზე და არა ძირი თანხის დასაფარად; აცოცხლებენ ხანდაზმულ სესხებს; ცვლიან უკვე გაფორმებული ხელშეკრულებების პირობებს; ხანდაზმული სესხის არსებობის შემთხვევაში, ატყუებენ კლიენტებს და მაინც აიძულებენ ასეთი სესხის გადახდას“, — აცხადებს „აფბას“ ანალიტიკოსი ზურაბ კუკულაძე.**

**„ალიას“ ზურაბ კუკულაძე ესაუბრა:**

**— ბატონო ზურაბ, უმეტესწილად რა ოდენობის ვალებზე ხდება ასეთი რამ?**

– ეს პრობლემა ყველაზე მწვავედ დგას დაბალი, შედარებით მცირე მოცულობის, სამომხმარებლო არაუზრუნველყოფილი სესხების შემთხვევაში. მსხვილი სესხების გაცემისას პრაქტიკულად ყველგან არის გირაოს მყარი უზრუნველყოფა, ან მეორე შემთხვევაში ბიზნესგათვლებითაა გაცემული სესხი, რომელთა გაპრობლემების შემთხვევები გაცილებით მცირეა, ვიდრე არაუზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხების. ასეთი სესხების რაოდენობა ბევრია. პრობლემა ექმნებათ ისეთი ტიპის ადამიანებს, რომლებისთვისაც თავის დროზე ასეთი სესხის მიღება მნიშვნელოვანი იყო, ეს არის ყველაზე შეჭირვებული სოციალური მდგომარეობის ადამიანების კატეგორია.

**— ხომ არსებობს ოფიციალური სტრუქტურა — აღსრულების ეროვნული ბიურო, რატომ მიმართავენ ბანკები კერძო სამსახურებს?**

– აღსრულების ეროვნული ბიურო ცოტა სხვა შემთხვევაა, გეტყვით როგორც ხდება. როცა ბანკს უნდა საკუთარი თანხის ამოღება, მას აქვს ორი გზა. ერთი – წავიდეს სასამართლოში, შეიტანოს კლიენტის წინააღმდეგ სარჩელი და შემდეგ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე მიმართოს აღსრულების ეროვნულ ბიუროს და მხოლოდ ამის შემდეგ ამოიღოს თანხა. თუმცა ბანკები არ მიდიან ამ ცივილიზებული გზით, დაიქირავებენ ხოლმე ისეთ კომპანიებს, რომელიც აშანტაჟებს, ემუქრება და ამ გზით იღებენ ამ ფულს.

სასამართლო პროცესი თავისთავად გრძელვადიანი პროცესია, თან როდესაც ვადაგადაცილებული სესხის თემა განიხილება, მოსამართლეებს სასამართლო პრაქტიკაში ძირითადად გამოაქვთ განაჩენი, რის მიხედვითაც, მევალემ უნდა გადაიხადოს კრედიტის ძირი თანხა, საპროცენტო განაკვეთი და ჯარიმის მხოლოდ 5%. კერძო აღმასრულებელი კი ხშირ შემთხვევაში მუქარით და შანტაჟით ჯარიმებსაც ახდევინებს.

**— როგორც ამბობენ, ასეთი სამსახურები ყოფილი თუ მოქმედი მაღალჩინოსანი პოლიციელების შექმნილია, გაქვთ ამის შესახებ ინფორმაცია?**

– დაახლოებით ათი ასეთი კომპანიაა, ყველაზე ძველი და ცნობილია „პრიბა“, ასევე „საფინანსო საკრედიტო ბიურო“, დანარჩენები შედარებით ახალია. დამფუძნებლებზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ რაც შეეხება ძალოვანებს, პირდაპირ უწერიათ, როცა ვაკანსიას აცხადებენ, რომ სასურველია, იყოს ყოფილი პოლიციელი. ეს ადამიანები, ერთი მხრივ, ქუჩური გარჩევებით წყვეტენ საქმეებს, მეორე კუთხით – ვითომ კანონის მუქარით.

**— ჩამოთვლილი დარღვევებიდან ბევრი შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს. ვინმე თუ დასჯილა ამის გამო და როგორ დავიცვათ თავი კანონიერად, თუკი „ამომღები“ მოგვადგა?**

– არავინ დასჯილა და ახლაც ამ თემაზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ რეალურად ხალხს არ აქვს საკუთარი უფლებების შესახებ ინფორმაცია, არც ის არ იციან, რომ მუქარას არ უნდა წამოეგონ, საუბარი აღარაა იმაზე, მუქარის გამო ვინმეს წინააღმდეგ სარჩელი შეიტანონ. კი ეს დარღვევებია, მაგრამ საზოგადოება ადეკვატურად ვერ რეაგირებს ამაზე, რაღაც ვალი აქვთ რომელიღაც საფინანსო ორგანიზაციის და თვლიან რომ მუქარა ჩვეულებრივია. ამიტომ კარგად გაერკვიონ თავიანთ უფლებებში, არ შეეშინდეთ ტყუილისშემცველი მუქარების, მათთვის უმჯობესია, საქმე სასამართლოს გზით წავიდეს.

ასევე, მნიშვნელოვანია, დაიმახსოვრონ ადამიანებმა: როდესაც პრობლემური კლიენტი ემორჩილება და შედის გარიგებაში ამომღებთან, ძირითად შემთხვევაში ხდება ზეპირი გარიგება. ეუბნებიან, რომ თუ გადაიხდის ძირს და პროცენტის ნაწილს, დანარჩენს აპატიებენ, კლიენტი იჭირვებს, იწყებს გადახდას და როდესაც მიდის სესხის დასრულებაზე საქმე, რახან შეთანხმება იყო ზეპირი, უკვე მას აუცილებლად შეუცვლიან პირობებს და ეტყვიან, რომ ჯარიმაც არ აპატია პროგრამამ ან რამე მსგავსს. რახან შეტყუებული ჰყავთ საკუთარ მაქინაციებში, კლიენტიც მიჰყვება ბოლომდე. უარესებიც ხდება, კიდევ ზემოდან არიცხავენ პროცენტებს, ამიტომ თუ წავა და გაასაჩივრებს სასამართლოში, ზემოდან პროცენტის დარიცხვა შეწყდება. ამიტომ ჩემი რჩევაა, არავითარ შემთხვევაში არ შევიდნენ ზეპირ გარიგებებში. ძალიან ბევრი ადამიანი, წერს რომ თავის მოკვლა უნდა, საშინელ დღეშია, ემუქრებიან სამსახურში ჩივილით და სამსახურიდან გაგდებით და ა.შ. მათ, უბრალოდ, კარგად უნდა გაიგონ თავიანთი უფლებები.

**— რაც შეეხება ხანდაზმულ სესხებს, რამდენი წელი უნდა გავიდეს, რომ სესხი ხანდაზმულად ჩაითვალოს?**

– ბანკების მიმართ პრობლემური სესხების გარკვეულ შემთხვევაში, როცა კლიენტი 3 წლის განმავლობაში ვერ ფარავს დავალიანებას და ამ დროის მანძილზე ბანკმა ან ნებისმიერმა საფინანსო ორგანიზაციამ არ შეიტანა სესხის მოთხოვნის შესახებ საჩივარი, ასეთი სესხები არის ყველა ხანდაზმული. ანუ მისი გადახდის ვალდებულება მსესხებელს არ ეკისრება. კიდევ ერთი მიზეზი, რატომაც ბანკებს ურჩევნიათ ეს ორგანიზაციები სასამართლოს. ბანკი რომ წავიდეს სასამართლოში, სასამართლო იტყვის რომ ეს სესხი ხანდაზმულია, ამომღები კომპანია კი არღვევს კანონს, არ ეუბნება მსესხებელს რომ ხანდაზმულია და გარიგებაში შესვლას სთხოვს, რესტრუქტურიზაციის სახით ხშირად.

რაც ყველაზე დიდი დარღვევაა, პირდაპირ ხდება ასეთი სესხების გაცოცხლება, თქვენი იცით რომ ნებისმიერი ჩასარიცხი აპარატიდან შესაძლებელია სესხის დაფარვა, ამომღებ კომპანიას აქვს მომხმარებლის პირადი ნომერი, შეაქვთ ანგარიშზე ლარიდან ათ ლარამდე თანხა, ამონაწერებში ფიქსირდება, რომ გადახდა განხორციელდა და აღარაა ხანდაზმული. ამ შემთხვევაშიც მსესხებელი აუცილებლად უნდა წავიდეს სასამართლოში. თუ იდავებს, ექნება საშუალება დაამტკიცოს, რომ მას არ შეუტანია თანხა. არც ერთ ლოგიკაში არ ჯდება, რომ ვინმემ ათას ლარიან სესხზე 1 ან 10 ლარი გადაიხადოს. თუმცა ისე სწრაფად შეაქვთ სარჩელი კლიენტის წინააღმდეგ ასეთ გაცოცხლებულ სარჩელებზე, აღსრულებაზე გადადიან მალევე, სანამ კლიენტი გაერკვევა თავის უფლებებში.

**— ვინც ფული გაასესხა, იმის პოზიციაც გასაგებია, ვალს დაბრუნება უნდა. რამე შეიძლება გააკეთოს სახელმწიფომ ამ შემთხვევაში?**

– პირველი ეტაპის ამოცანაა, რომ ამ ტიპის ამომღებ ორგანიზაციებს მიეცეთ მითითება, დაიცვან კანონი, წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფომ დაიცვას საკუთარი მოაქალაქე. აუცილებელია სამომხმარებლო სესხების კონტროლი, ბანკს არ უნდა შეეძლოს უპრაგონოდ გასცეს კრედიტი, მიუხედავად კლიენტის შემოსავლებისა. საერთოდ პარადოქსულია ონლაინსესხები, ელემენტარულად, ფიზიკური კონტაქტიც კი არ არსებობს საფინანსო ინსტიტუტსა და კლიენტს შორის, სესხის აღების დროს. არც ერთი ნორმალური, განვითარებული ქვეყანა, საფინანსო სისტემა და ნორმალური რეგულატორი, ცენტრალურ ბანკს ვგულისხმობ, ამას არ დაუშვებს. ეს ხდება საქართველოში, უპასუხისმგებლო საკრედიტო პოლიტიკისა და უპასუხისმგებლო ეროვნული ბანკის პირობებში.

**„არავინ დასჯილა და ახლაც ამ თემაზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ რეალურად ხალხს არ აქვს საკუთარი უფლებების შესახებ ინფორმაცია, არც ის არ იციან, რომ მუქარას არ უნდა წამოეგონ, საუბარი აღარაა იმაზე, მუქარის გამო ვინმეს წინააღმდეგ სარჩელი შეიტანონ. კი ეს დარღვევებია, მაგრამ საზოგადოება ადეკვატურად ვერ რეაგირებს ამაზე, რაღაც ვალი აქვთ რომელიღაც საფინანსო ორგანიზაციის და თვლიან, რომ მუქარა ჩვეულებრივია“**

## პოლიციამ სამირა ბაირამოვას გატაცებისთვის რუსეთის მოქალაქე დააკავა



სამირა ბაირამოვას გატაცებისთვის შსს-მ 1999 წელს დაბადებული რუსეთის მოქალაქე ელჩინ ი. თბილისში დააკავა:

– გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, თანამზრახველებთან ერთად, მიმდინარე წლის 19 თებერვალს, ცოლად მოყვანის მიზნით, ფონიჭალაში მცხოვრებ 1998 წელს დაბადებულ სამირა ბ-ს თავისუფლება აღუკვეთა. ელჩინ ი-ს თანამზრახველების დასაკავებლად მიმდინარეობს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები, – ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

გამოძიება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ არასრულწლოვნის მიმართ თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით). (პირველი რადიო)

## პრეზიდენტი იმედოვნებს, რომ პარლამენტი ანა დოლიძის კანდიდატურას, უმოკლეს ვადებში დაამტკიცებს



საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის პოსტზე ანა დოლიძის კანდიდატურა წარადგინა. როგორც ქვეყნის პირველმა პირმა აღნიშნა, ანა დოლიძე წლების მანძილზე უსამართლობასთან ბრძოლაში პრინციპულობით გამოირჩეოდა და ის ასეთივე პრინციპულობით გააგრძელებს მოღვაწეობას.

პრეზიდენტი იმედოვნებს, რომ საკანონმდებლო ორგანო ანა დოლიძის კანდიდატურას უმოკლეს ვადებში დაამტკიცებს.

– ცოტა ხნის წინ, საქართველოს პარლამენტმა უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ლევან მურუსიძეს უფლებამოსილება შეუწყვიტა. აქედან გამომდინარე, ჩვენ დაგვიდგა ვალდებულება, უზენაეს სასამართლოში ახალი კანდიდატი წარვადგინოთ. საქართველოს პარლამენტს, უზენაეს სასამართლოში განსამწესებლად, ქალბატონი ანა დოლიძის კანდიდატურას წარვუდგენ. ეს არის ადამიანი, რომელიც წლების განმავლობაში, უსამართლობასთან ბრძოლაში პრინციპულობით გამოირჩეოდა. ადამიანი, რომელიც გამორჩეულია თავისი პროფესიონალიზმით, პრინციპული და უშიშარი პოზიციით ერთ-ერთ ყველაზე გახმაურებულ – სანდრო გირგვლიანის საქმეზე წინა ხელისუფლების დროს. დარწმუნებული ვარ, ქალბატონი ანა ამ მნიშვნელოვან პოსტზე შეინარჩუნებს იმ ღირებულებასა და პრინციპულობას, რაც მას, ბევრი ჩვენგანის მსგავსად, წინა ხელისუფლების დროს ახასიათებდა, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა. (pia.ge)

## ნანკა კალატოზიშვილის ვაჟი დედის სრული ასლია — „უსიტყვოდ გრძნობ ყველაფერს“

ნანკა კალატოზიშვილი ვაჟის, დანიელის ფოტოებს ხშირად ამზეურებს. დანი დედიკოს ძალიან ჰგავს. ნანკა ხშირად წერს და ინტერვიუებშიც ამბობს იმის შესახებ, რომ დედობა მისთვის განსაკუთრებული გრძნობაა. შვილთან დროს საკმაოდ ხშირად ატარებს და შესაბამის ფოტოებსაც სოციალურ ქსელში აქვეყნებს. ერთ-ერთმა ასეთმა ფოტომ მის მეგობრებს შორის დიდი მოწონება დაიმსახურა და წერენ: „რა სიცოცხლეა“, „კრასავჩიკი“, „რა საყვარელია ეს ბავშვი, ნანკა, გადავირიე“.

ნანკამ ამ ფოტოსთან ერთად ასევე გამოაქვეყნა რამდენიმე ფოტოც, სადაც დანის ხელი საკუთარ ხელში აქვს მოქცეული და დააწერა: „ხელის დაჭერა და კანით გრძნობ, უსიტყვოდ ყველაფერს“.

***fortuna.ge***

## „მე და ჩემი სექსუალური მეუღლე“ — ნუკი კოშკელიშვილი ქმართან ერთად



ნუკი კოშკელიშვილის ამერიკული ოცნება ასრულდა – ის ძალიან სიმპათიურ ამერიკელ ბიჭზე, ბენი ჩეიმზეა გათხოვილი და თავს შესანიშნავად გრძნობს. ამის დასადასტურებლად სხვადასხვა ფოტოს მუდმივად აქვეყნებს.

ახლახან ახალი ფოტო გამოაქვეყნა, რომელიც მოდის ფოტოგრაფმა, საშა პრიშვინმა გადაუღო. საშა ადრე „ბომონდისთვის“ მუშაობდა, შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში გამგზავრება გადაწყვიტა და ახლა იქ ცხოვრობს. ნუკი და საშა მეგობრობენ.

ფოტოზე ნუკი მეუღლესთან ერთადაა გამოსახული, თავად კი წერს: „დიახ, ჩვენ გლამურულები ვართ. მოდა ჩემი პროფესიაა. მე და ჩემი სექსუალური მეუღლე! ფოტო ეკუთვნის ერთადერთსა და განუმეორებელ, საშა პრიშვინს“.

***musicbox.ge***

## ნინა სუბლატი ახალ ალბომზე მუშაობს — მომღერლის ახალი იმიჯი

მას მერე, რაც „ევროვიზიიდან“ დაბრუნდა, ზემოხსენებულ კონკურსზე აზრი ერთხელ და სამუდამოდ დააფიქსირა – თქვა, რომ ამ თემაზე საუბარს აღარ აპირებს და ეკრანებიდან ცოტა ხნით გაქრა.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნინა სუბლატის შემოქმედება ერთ ადგილას დგას. ლამაზმანი სიახლეებით რადიო „ფორტუნას“ თათა სადრაძის გადაცემა „არტ **FM**“-ში ეწვია. შემსრულებელი სიმღერებს ახალი ალბომისთვის წერს, რომლის გამოშვების თარიღიც ჯერჯერობით უცნობია. ამჯერადაც ნინასთან ერთად კრებულზე მისი მეუღლე - გიორგი შამანაური მუშაობს.

***musicbox.ge***




**„ალია“ პროფესიული კურიოზების რუბრიკაში ამჯერად მიმტანების სახალისო ამბებს გთავაზობთ, რომლებიც ყველაზე უცნაურ სტუმრებსა და მათ ყველაზე უცნაურ სურვილებზე გვესაუბრებიან.**

**რუბრიკის სტუმრები არიან ლილი ფულარიანი და ქრისტინე კაკიაშვილი:**



### რებუსი — ჩიხირ-თმა

ერთხელ სტუმარი შემოვიდა და გვეკითხება:

– წვნიანი რა გაქვთ?

– მჟაუნას სუპი, სუპხარჩო და ჩიხირთმა...

– უი, ჩიხირთმა არ მინდა, მაგაში თმა ურევია.

### შეწუხებული მიმტანით შეწუხებული სტუმარი

ჩემი მიმტანური მოღვაწეობის მანძილზე სულ ორჯერ მომივიდა, რომ სტუმარს რაღაც გადავასხი, ერთხელ წვნიანი და ერთხელ ყავა და ორივეჯერ ხელში ერთი და იგივე უიღბლო ადამიანი შემრჩა. მეორეჯერ რომ გადავასხი და ძალიან შევწუხდი, ამ ჩემი შეწუხებით თავადაც შეწუხდა და აქეთ მამშვიდებდა:



– არა უშავს, ხდება ხოლმე, არ ინერვიულო, რა...

მე გავჩერდი და...

– კაი, დამშვიდდით, ასეც არ მინერვიულია.

### მთავარია, მე გადავრჩი

ჩვენს ერთ-ერთ მიმტანს კიბეზე ჭურჭელი ჩაჰქონდა, უცებ ხელიდან გაუვარდა და ატყდა ერთი ბრახაბრუხი. სტუმრები გაისუსნენ, სრული სიჩუმეა და გვესმის:

– მე კარგად ვარ!..

### სიმბოლური კვება

გვყავს ასეთი სტუმარი, რომელსაც სიმბოლიზმი დავარქვით. შემოვა, დაჯდება და ლაპარაკობს, ლაპარაკობს, ლაპარაკობს და ასე გაჰყავს დრო. მაგიდასთან რომ მივალთ, შეგვიკვეთს:

– ერთი ჩაი, სიმბოლურად, რა...

ან:

– ან ერთი მწვადი, სიმბოლურად, რა...

და დიდი ხნის განმავლობაში ზის ასე სიმბოლურად...

### გაყოფილი მაგიდა

ერთი ქალი შემოვიდა, დაინახა, რომ ადგილები არ იყო, მაგრამ დანებებას არ აპირებდა, მივიდა მაგიდასთან, სადაც ორი ბიჭი იჯდა და უთხრა:

– ცოტა ჩაიწიეთ რა, მეც დავჯდები.

ეს ბიჭებიც ჩაიწივნენ, გაყვეს მაგიდა და ისხდნენ ასე, ერთ მაგიდასთან ორი დამოუკიდებელი ფლანგი.

### ჭამე, წადი, რაღას უცდი?!

ერთი ქალია, ხშირი სტუმარია, ჩვენი ხინკალი უყვარს. შემოვიდა და ადგილები არ დახვდა. ძალიან ეწყინა, არადა იმ განწყობითაა, რომ ხინკალი აუცილებლად უნდა ჭამოს. გარეთ დაჯდა და 40 წუთი ელოდა, რომელიმე მაგიდა როდის განთავისუფლდებოდა. მერე დაინახა, რომ ცარიელ მაგიდასთან გოგო და ბიჭი ისხდნენ. უცებ, გააღო კარი, შემოვარდა და პირდაპირ იმათ მივარდა:

– რა წესია ეს, ხომ ხედავთ, რომ ამხელა ქალი ამ სიცივეში გარეთ ვზივარ და ველოდები...

ესენი შეშფოთებული უყურებდნენ, მერე ადგნენ და უხმოდ გავიდნენ.

### ყავა თუ ქაბაბი?

ძალიან დიდი მაგიდა „გვყავდა“, კარგად მიირთვეს და ბოლოს მეუბნებიან:

– ოთხი ყავა, თუ შეიძლება.

მე კიდევ ავდექი და ოთხი ქაბაბი შევუკვეთე.

გაოცებული მიყურებდნენ, მაგრამ ქაბაბი მაინც დაიტოვეს.

მეორე დღეს იგივე ხალხი შემოვიდა და ისევ ყავა შეუკვეთა. ამჯერად მეორე მიმტანი ემსახურებოდა და ეკითხება:

– ყავა თუ ქაბაბი?

გაგიჟდნენ, თქვენ ხომ არ „გვეკაიფებითო“?!.

### „ზატო“ ხინკალია კაი

გარკვეული პერიოდი გამწოვი არ მუშაობდა. სტუმარი შემოვიდა, სახე შეიჭმუხნა და გამოაცხადა:

– ძუნძგლის სუნი კია, „ზატო“ ხინკალია კაი...

### რა არ გაქვთ?

სტუმარი შემოვიდა და მეკითხება:

– მწვადი გაქვთ?

– გვაქვს.



– ხინკალი?

– გვაქვს.

– ეეე, ქაბაბი?

– გვაქვს.

მოკლედ, ვერაფერი მოიფიქრა ისეთი, რაც არ გვქონდა და მეკითხება:

– სუბოტექსი გაქვთ?

– დღეს გაგვითავდა.

### კაფეში ყველაზე ხშირად გაგონილი ფრაზები

*****

– მალე, გოგონი, რასაც გეუბნებით, ჯერ ის გააკეთეთ.

*****

– კარგი რა გაქვთ?

– ყველაფერი.

*****

– აუუუ, რა სუნიაააა...

*****

– სიგარეტი გაქვთ?

– არა.

– გამეგზავნებით?

– არა!

*****

– აი, ის მინდა, აი, რაღაც ისეთი, აი აი, ისეთი რააა...

– კარგით, ახლავე!..

*****

– ცოლად გამომყვებით?

– არა.

– არც საყვარლად?

*****

– მე ვიხდი!

– არა, მე ვიხდი!

– ამას არ გადაახდევინოთ!

– იმას არ გადაახდევინოთ!

მიმტანი:

– ორივემ გადაიხადეთ!!!

*****

– თეფში გამოგიცვალოთ?

– ხელი არ ახლოთ – ბედი გამომეცვლება!..



## „რა ჯანდაბად მინდა ქმარი, რომელიც მე დამხვდება სახლში?“ - მოდელის პასუხი ლევან ჯიბღაშვილს



მსახიობი ლევან ჯიბღაშვილი საკმაოდ პოპულარულია გოგონებს შორის, თუმცა ახლახან ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ მისი გული თავისუფალი არ არის. მან თავისი რჩეულიც გამოაჩინა, მომღერალი სალომე წვერაიძე, რომელიც განქორწინებულია და 2 წლის შვილი ჰყავს.

ლევანმა ინტერვიუში აღნიშნა, რომ სალომემ კარგად იცის მისი შეხედულებები ოჯახური ცხოვრების შესახებ.

„ქალმა უნდა მიხედოს ოჯახს. თუ ცოლი ჩემზე გვიან მოვიდა სახლში, რაღად მინდა ცოლი, სულ არ მოვიყვან“.

ამ ინტერვიუსა და გამონათქვამების გამო ინტერნეტსივრცეში ლევან ჯიბღაშვილს კრიტიკა შეხვდა:

„საქართველოში ცოლი = აქსესუარს“, „სულ ვოცნებობდი ასეთ ქმარზე“, – წერენ ინტერნეტში.

ინტერვიუს გამოეხმაურა მსახიობი და მოდელი ალექსანდრა პაიჭაძე, რომელმაც ლევან ჯიბღაშვილი თავის სტატუსზე მონიშნა. სტატუსში კი შემდეგი რამ დაწერა:

„გენაცვალე შენ, იოსებიჩ! ღმერთმა ისეთი ქმარი გამყოფოს, რომ ცოლი სულ სპა-სპა ატაროს!! რა ჯანდაბად მინდა ისეთი ქმარი, რომელიც მე დამხვდება სახლში??????? დასვენებას და ბედნიერებას მეც ვიმსახურებ და ყველა ქალი, გამოტყდით!“

***musicbox.ge***

## სკანდალური დაშორების შემდეგ საქართველოში ყველაზე ლამაზი წყვილი შერიგდა



საქართველოში ყველაზე ლამაზ წყვილად მიჩნეული მარიამ ხორგუაშვილი და ლაშა კალანდაძე სკანდალური დაშორების შემდეგ ისევ ერთად არიან.

ფეხბურთელი და მოდელი 2014 წელს დაქორწინდნენ. მარიამი მოდელია, ლაშა კი – ფეხბურთელი. მათი ფოტოები საზოგადოების ყურადღების ცენტრში მალევე მოექცა. ულამაზესმა წყვილმა ყველა მოხიბლა.

მათ პატარაც ჰყავთ.

გასულ წელს საზოგადოებამ წყვილის დაშორების შესახებ სამწუხარო ამბავი შეიტყო, თუმცა, როგორც ჩანს, ისინი ისევ ერთად არიან.

ცოტა ხნის წინ მარიამმა ინსტაგრამის პირად გვერდზე ლაშასთან ერთად გადაღებული ახალი ფოტო გამოაქვეყნა. საზოგადოება მათ შერიგებას ულოცავს.

***etanews.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## მურთაზას ოცნება ასრულებულია — 5 წლის ბიჭს მესიმ ავტოგრაფიანი მაისური გაუგზავნა



5 წლის მურთაზა აჰმადის იუნისეფის წარმომადგენლებმა ოცნება აუსრულეს. ორგანიზაციის თანამშრომლებმა 5 წლის ბავშვს ლიონელ მესის ავტოგრაფიანი მაისური საჩუქრად გადასცეს – „მე მიყვარს მესი და ეს მაისური, რომელზეც წერია, რომ მესისაც ვუყვარვარ მე“, – განაცხადა მურთაზამ. ინფორმაციას ამის შესახებ ორგანიზაციის ავღანური ფეისბუკგვერდი ავრცელებს. გავრცელებული ინფორმაციით, მესი ბავშვთან შეხვედრას აპირებს, თუმცა შეხვედრის ზუსტი თარიღი ამ დრომდე უცნობია.

მურთაზა აჰმადის ფოტოები ინტერნეტსივრცეში რამდენიმე თვის წინ გავრცელდა – ბიჭს პოლიეთილენის პარკისგან გაკეთებული არგენტინის ეროვნული საფეხბურთო ნაკრების 10-ნომრიანი მაისური ეცვა. ფოტო ინტერნეტში წარწერით „მესის ყველაზე დიდი გულშემატკივარი“ ძალიან პოპულარული გახდა. მისი ძებნა კი სხვადასხვა გამოცემებთან ერთად ლიონელ მესის ფონდის წევრებმაც დაიწყეს. თავდაპირველად ირანელი ჟურნალისტები ამტკიცებდნენ, რომ მათ ბიჭს მიაგნეს და ინტერვიუც გაავრცელეს, თუმცა შემდეგ მურთაზა აჰმადი ღაზის რეგიონში იპოვეს.

*pirveliradio.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## შოტლანდიაში ანტიტერორისტული ავეჯი გამოუშვეს



შოტლანდიის ქალაქ გლაზგოში, ავეჯის კომპანიამ ანტიტერორისტული სკამები და დივანი შექმნა. ავეჯის ბალიშებში ტყვიაგაუმტარი ფირფიტებია ჩასმული.

ავეჯი მოულოდნელი თავდასხმების თავიდან ასაცილებლად შეიქმნა.

„ჩვენ ამ ავეჯს იმის მიხედვით ვაპროექტებდით, რა რეაქცია აქვს ადამიანს, მოულოდნელ გასროლაზე. როგორც წესი, ცდილობს, რამეს ამოეფაროს“, – განაცხადა კომპანიის დამაარსებელმა, დარენ ოსდინმა.

კომპანია მიიჩნევს, რომ ავეჯის მუდმივი კლიენტები სასტუმროს, კვების ობიექტების, საელჩოებისა და მუზეუმების წარმომადგენლები იქნებიან.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ამერიკელს ელექტროსიგარეტი ჯიბეში აუფეთქდა



ამერიკის შტატ კენტუკის ერთ-ერთ ადგილობრივ ბენზინგასამართ სადგურზე კაცს ჯიბეში ელექტროსიგარეტი აუფეთქდა.

ჯოშ ჰემილტონს მოულოდნელად ჯიბე აუზრიალდა, გადაირია კაცი, იწვის მოსეს მაყვლის ბუჩქივით და გონს ვერ მოდის. მერე, ახლომყოფები მიეშველნენ და ალი ცეცხლმაქრით ჩაუქრეს. იმდენი ხანი იდგა სასწაულივით აზრიალებული კაცი, რომ მესამე ხარისხის დამწვრობა მიიღო და საავადმყოფოში გადაიყვანეს.

თურმე, მომხმარებლებს დატენის დროს ელექტროსიგარეტი ხელში უფეთდებათ. მსგავსი შემთხვევის მსხვერპლ გერმანელს კი, გარდა იმისა, რომ მძიმე ჭრილობები მიიღო, პირდაპირ პირში აუფეთქდა და რამდენიმე კბილსაც დაემშვიდობა.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ეგვიპტის სასამართლომ 4 წლის ბიჭუნას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა



ეგვიპტის სამხედრო სასამართლომ 4 წლის ბიჭუნას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, მათ შეცდომა დაუშვეს. სინამდვილეში უნდა გაესამართლებინათ 16 წლის ბიჭი, რომელსაც მსგავსი სახელი ჰქონდა. აჰმედ მანსურ კურანი შარარა 115 ბრალდებულთან ერთად იმ არეულობების გამო იყო გასამართლებული, რომელიც „მუსლიმანთა საძმოს“ მომხრეებმა 2014 წელს მოაწყვეს. როგორც სასამართლოში განმარტეს, 16 წლის ბიჭის ნაცვლად აჰმედ მანსურ კურანი ალი გაასამართლეს. პატარა ბიჭუნას ადვოკატების თქმით, სასამართლოში მომუშავეებმა არ ჩახედეს ბავშვის დაბადების თარიღს და შესაბამისად, მოსამართლე არ იყო საქმის კურსში, რომ საქმე 4 წლის ბავშვს ეხებოდა.

რაც შეეხება ნამდვილ დამნაშავეს, იგი მკვლელობისთვის, თავდასხმისა და სხვა დანაშაულებისთვის გაასამართლეს.

*palitratv.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## Johnson & Johnson-მა კიბოთი გარდაცვლილი ქალის ოჯახს 72 მლნ უნდა გადაუხადოს



ამერიკის შტატ მისურიში ნაფიცმა მსაჯულებმა გადაწყვეტილება მიიღეს, რომ **Johnson & Johnson**-მა კიბოთი გარდაცვლილი ქალის ოჯახს 72 მლნ აშშ დოლარი უნდა გადაუხადოს.

სასამართლოს განმარტებით, კომპანია გამიზნულად ფარავდა ინფორმაციას ტალკის ბაზაზე დამზადებული ჰიგიენური საშუალებების საშიშროების შესახებ.

**Johnson & Johnson** სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს. კომპანიის მტკიცებით, ცდებით დადასტურებულია, რომ ტალკის შემცველი პროდუქცია უსაფრთხოა.

სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება ჟაკლინ ფოქსის ოჯახის სარჩელს მოჰყვა, რომელიც 62 წლის ასაკში, საკვერცხეების სიმსივნის დიაგნოზით გარდაიცვალა. **Johnson & Johnson**-ის წინააღმდეგ რამდენიმე ასეული მსგავსი სარჩელია შეტანილი.

*info9.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## გასეირნებისთვის მატარებლის... გატაცება სცადა



ზოგი ტრაქტორის მართვაზე ოცნებობს და ზოგი გემის, რად უნდა მაგას განგაში და პოლიცია.

მაგალითად, ამერიკელ შონა მარონს მატარებლით გასეირნება მოუნდა. მოუნდა და აღარც დაახანა, კალიფორნიის შტატ ვიქტორვილის ქალაქში, ღამის 2 საათზე გაჩერებულ მატარებელში ავიდა და საყვირში საზეიმო ყიჟინა დასცხო, არიქა, მატარებელს ვმართავო.

რკინიგზის სადგურის თანამშრომლებმა პოლიცია გამოიძახეს და ადრენალინის მაძიებელი ქალი მატარებლიდან ძალით ჩამოსვეს.

მართალია, ქალი მატარებელს ადგილიდანაც ვერ დაძრავდა, ვინაიდან მატარებელს დამცავი, მოძრაობის შემზღუდველი მოწყობილობა ჰქონდა, მაგრამ შონას ჭია მაინც არ გაახარებინეს და საყვარელი ტრანსპორტიდან ჩამოაბრძანეს.

შონა კი ამბობდა, რა იყო, ხალხო, რამ გადაგრიათ, უბრალოდ, გასეირნება მინდოდაო.

*etotupo.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ვაშლის კურკა — ფარისებრი ჯირკვლის უებარი წამალი



ვაშლი რომ უნიკალური თვისებებით არის მდიდარი, ეს, ალბათ, ყველასთვის ცნობილია. ვაშლის თესლი ბევრ იოდს შეიცავს და ფარისებრი ჯირკვლების დროს აქტიურად გამოიყენება.

ენდოკრინოლოგები რეკომენდაციას იძლევიან, რომ დღეში 5-6 ცალი ვაშლის კურკა ჭამოთ. ეს რაოდენობა იოდზე ორგანიზმის სადღეღამისო მოთხოვნილების შესაბამის დოზას შეიცავს. ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დარღვევისას ყოველდღიურად ვაშლის დაფქული თესლი დღეში 2-ჯერ მიიღეთ.

იოდის ნაკლებობის შემთხვევაში კი, არა მხოლოდ კურკა, არამედ ვაშლიც მიირთვით.

*newposts.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## რატომ არ აძლევდა სტივ ჯობსი შვილებს აიპედის ხმარების ნებას



აიპოდის, აიპედისა და აიფონის წარმატებამ სტივ ჯობსს მილიონობით დოლარი და მსოფლიო აღიარება მოუტანა, თუმცა ჯობსი შვილებს ელექტრონული მოწყობილობების ხმარებას უკრძალავდა.

2014 წელს პირველი აიპედის გამოსვლის შემდეგ **New York Times**-ის ჟურნალისტმა ჰკითხა სტივ ჯობსს, მოსწონდათ თუ არა მის შვილებს ახალი მოწყობილობა.

„მათ აიპედი არ გამოუყენებიათ, ელექტრონული მოწყობილობების გამოყენებას სახლში ვზღუდავთ“, – უპასუხა ჯობსმა.

**Apple**-ის დამფუძნებლის შესახებ ბიოგრაფიული ნაშრომის ავტორი, უოლტერ აიზეკსონი ამბობს, რომ ყოველ საღამოს სტივი ოჯახის წევრებთან ერთად სამზარეულოში დიდ მაგიდას მიუჯდებოდა ხოლმე და ვახშმის პარალელურად წიგნებს, ისტორიულ მოვლენებსა და სხვა საკითხებს განიხილავდა.„არც ერთი საღამო მათ აიპედთან და კომპიუტერთან არ გაუტარებიათ, ბავშვები არ არიან მიჯაჭვული ამ მოწყობილობებზე“, – ამბობს აიზეკსონი.

*fortuna.ge*

გვერდი მოამზადა **დარინა ქამადაძე** 593 19-85-99

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. მაკიაჟის საშუალებები
2. მზის ხელოვნ. სხივების სალონი
3. მდინარე ჩრდ. ამერიკაში
4. ილუზიონისტი დევიდ ...
5. ზღვის ღმერთი ბერძ. მითებში
6. ვრცელი ველები ჩრდ. ამერიკაში
7. ვირის ნაშიერი
8. ყვითელი საიუველირო ქვა
9. ინდური ფულის ერთეული
10. მოწნული ჭურჭელი
11. მიმართვა ინგლისელი მამაკაცისადმი
12. ხელოსნების გაერთიანება
13. ღობე
14. სასკოლო ინვენტარი
15. უბრალო, დაბალი ხარისხის
16. მსახიობი მერილ ...
17. ახალი წელი გურიაში
18. პოეტი ... მიცკევიჩი
19. ზღვის ძუძუმწოვარი
20. ადამიანისმსგავსი მაიმუნი
21. აშშ-ს დედაქალაქი
22. ქედი ამერიკის კონტინენტზე
23. მცენარეთა სამყარო
24. ... მორჩილაძე
25. გეიშამოწაფე
26. სლავური ანბანი
27. რეჟისორი პედრო ...
28. ბაში აჩუკის ქუდი
29. მსახ. ...-ჯესიკა პარკერი
30. ფედერიკო ფელინის ფილმი
31. დიზაინერი ... კარდენი
32. ლითონი
33. თეატრალური ქუჩა ნიუ-იორკში
34. ქალაქი ინდოეთში
35. ფინური აბანო
36. ფრანგული ხალხური ცეკვა
37. ყაიმი
38. მსახიობი ჩარლი ...
39. გარდაცვლილის ბოლო სურვილი
40. საღათას ...
41. ... ამაღლობელი
42. სიმდიდრე ...-დიდება
43. თვალის დაავადება
44. ყირგიზეთის დედაქალაქი
45. შიშველი სხეული მხატვრობაში
46. ... სულაკაური
47. დაღესტნური სოფელი
48. მსახიობი ... თბილელი
49. მხატვარი ... გრეკო
50. მწვანე ძვირფასი ქვა
51. მსახიობი პიერ ...
52. ქალაქი გერმანიაში
53. მხ/ფ „ჭირვეული ...“
54. რაჯას მეუღლის ტიტული
55. ბუდისტი მღვდელი ...-ლამა
56. მოგზაურობა გემით
57. მშობიარობის დამხმარე
58. მოტეხილობაზე დასადები
59. რეჟისორი ანდრეი ...
60. ჩაღრმავება ვულკანის ყელში
61. „მატრიცა“ ჰაკერი
62. მწერი
63. ჭრილობის გადასახვევი მასალა
64. მსახიობი ... გიბსონი
65. რას ამზადებენ ცელულოზისაგან
66. ელექტრული სიდიდე
67. ალა პუგაჩოვას საკულტო სიმღერა
68. იაპონური თეატრი
69. ცეცხლის ენა
70. შენობა. კითხულობენ წიგნებს
71. ახალი ზელანდიის მკვიდრი
72. მდინარე კახეთში
73. მწერალი ონორე დე ...
74. დიდი კარები ეზოს მესერში
75. მინი-ბოულინგი
76. ინდიელების შხამი
77. ციხესიმაგრე დუშეთის რაიონში
78. მსახიობი ... სარაჯიშვილი
79. ჰიუგო. „კაცი, რომელიც იცინის“ პერსონაჟი
80. თვითმფრინავის ფანჯარა
81. ვაზის საყრდენი ჯოხი
82. აუქციონზე გატანილი ნივთი
83. ევროპელ ებრაელთა ენა
84. მეხისგან დამცავი ძელი
85. მწვერვალი კავკასიონზე
86. ქალთა უფლებების დამცველი
87. გულუბრყვილო
88. მადაგასკარის დედაქალაქი
89. წრილი
90. ცხენებშებმული ტრამვაი
91. პარფიუმერული ფირმა
92. ანტილოპას სახეობა
93. „... პიტკინი მტრის ზურგში“
94. ბოსტნის მავნებელი
95. დიდი ხნის უჭმელობის შეგრძნება
96. კოსმონავტის სამოსი
97. მუსიკოსი ... გილელსი
98. მექსიკელის ფერმა
99. რიჯზი ფილმში „ჯონი ...“
100. ქიმიური ელემენტი
101. ძიუდოს საჭიდაო ხალიჩა
102. ანსამბლი „სტატუს ...“
103. მსახიობი ... მანფრედი
104. ინდიელთა ვარცხნილობა
105. ყვავილი
106. სკანდინაველთა ღმერთი
107. თეატრალური მაკიაჟი
108. წყლის გრაციოზული ფრინველი
109. მსახიობი სილვანა ...
110. მსახ. ... ბესინჯერი
111. ოლღას საზიარო ძროხა
112. ძვ. ბერძენი ფილოსოფოსი
113. ავსული. ეშინია ნივრის
114. კავშირი, გაერთიანება
115. ძველი სტილი მოდაში
116. კომპოზიტორი ... რაველი
117. ფილიპინების დედაქალაქი
118. ჟანგმინა
119. მსახ. ... ბასილაშვილი
120. ბოსტნეული
121. საავადმყოფოს ოთახი
122. მდინარე იტალიაში
123. ძვლების დაავადება
124. და ვინჩის მადონა
125. მსახიობი ... ტაილერი
126. ხის წვერო
127. გარეული ფრინველი
128. ... ზღვას შუა ძველისძველად
129. „ბითლზი“ რინგო ...
130. ნაგებობა მდინარეზე
131. სამატომიანი ჟანგბადი
132. ჟაკ-... კუსტო
133. მსახიობი კამერონ ...
134. კონტინენტი
135. ჯიხვების ჯოგი
136. ტყის სანიტარი ფრინველი
137. ... სუხიშვილი

პასუხები: 1. კოსმეტიკა; 2. სოლარიუმი; 3. მისისიპი; 4. კოპერფილდი; 5. პოსეიდონი; 6. პრერია; 7. ჩოჩორი; 8. ქარვა; 9. რუპია; 10. გოდორი; 11. სერ; 12. ამქარი; 13. მესერი; 14. დაფა; 15. მდარე; 16. სტრიპი; 17. კალანდა; 18. ადამ; 19. დელფინი; 20. ორანგუტანგი; 21. ვაშინგტონი; 22. კორდილიერები; 23. ფლორა; 24. აკა; 25. მაიკო; 26. კირილიცა; 27. ალმოდოვარი; 28. ფაფანაკი; 29. სარა; 30. „ამარკორდი“; 31. პიერ; 32. რკინა; 33. ბროდვეი; 34. კალკუტა; 35. საუნა; 36. ფარანდოლა; 37. ფრე; 38. შინი; 34. ანდერძი; 40. ძილი; 41. რატი; 42. ავლა; 43. გლაუკომა; 44. ბიშკეკი; 45. ნიუ; 46. ზაალ; 47. აული; 48. მარინე; 49. ელ; 50. ზურმუხტი; 51. რიშარი; 52. დრეზდენი; 53. მეზობლები; 54. რანი; 55. დალაი; 56. კრუიზი; 57. მეანი; 58. არტაშანი; 59. ტარკოვსკი; 60. კრატერი; 61. ნეო; 62. ბუზი; 63. დოლბანდი; 64. მელ; 65. ქაღალდი; 66. მუხტი; 67. „არლეკინო“; 68. ნო; 69. ალი; 70. ბიბლიოთეკა; 71. მაორი; 72. იორი; 73. ბალზაკი; 74. ჭიშკარი; 75. კეგლი; 76. კურარე; 77. ანანური; 78. ნანული; 79. დეა; 80. ილუმინატორი; 81. ჭიგო; 82. ლოტი; 83. იდიში; 84. მეხამრიდი; 85. შხარა; 86. ფემინისტი; 87. ალალი; 88. ანტანანარივუ; 89. უსტარი; 90. კონკა; 91. „ნივეა“; 92. გნუ; 93. მისტერ; 94. მახრა; 95. შიმშილი; 96. სკაფანდრი; 97. ემილ; 98. რანჩო; 99. მნემონიკი; 100. იოდი; 101. ტატამი; 102. კვო; 103. იროკეზი; 105. ვარდი; 106. ოდინი; 107. გრიმი; 108. გედი; 109. მანგანო; 110. კიმ; 111. ფაქიზო; 112. პლატონი; 113. ვამპირი; 114. ალიანსი; 115. რეტრო; 116. მორის; 117. მანილა; 118. ოხრა; 119. ოლეგ; 120. სტაფილო; 121. პალატა; 122. პო; 123. რაქიტი; 124. ლიტა; 125. ლივ; 126. კენწერო; 127. წერო; 128. ორ; 129. სტარი; 130. ხიდი; 131. ოზონი; 132. ივ; 133. დიასი; 134. აზია; 135. არვე; 136. კოდალა; 137. ილიკო. იკითხება: მომავალი მზარეული.

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## მამაკაცის მოტყუება შეუძლებელიაო



– ძლიერი სქესის წარმომადგენლები ტყუილზე წამიერად რეაგირებენ – მათ სიცრუის გარჩევა გაცილებით ადვილად შეუძლიათ, ვიდრე მშვენიერ სქესს, – სწორედ ასეთი დასკვნა გამოიტანეს ბრიტანელმა მეცნიერებმა და იმედია, ერთხელ და სამუდამოდ გაფანტეს ქალებში გავრცელებული მოსაზრება, თითქოს კაცები ადვილად ტყუვდებიან და მათთვის „რქების დადგმა“ ძალიან ადვილი საქმეა.

ცნობილი ხდება, რომ ექსპერიმენტში, რომელიც სწავლულებს ძლიერი სქესისთვის სასარგებლო დასკვნის გამოტანაში დაეხმარა, 15 ათასამდე ქალმა და მამაკაცმა მიიღო მონაწილეობა. კვლევის მიზანი გახლდათ იმის დადგენა, რომელ სქესს შეუძლია უფრო ადვილად და სწრაფად ცრუ ემოციების დადგენა და რეაგირება.

უნდა ითქვას, რომ შედეგებმა თავად სპეციალისტებიც გააკვირვა, რადგან აქამდე გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ტყუილს ქალები უფრო ადვილად უმკლავდებოდნენ და არა მამაკაცები.

ექსპერიმენტი შემდეგნაირად ჩატარდა: ყველა რესპონდენტს დაურიგდა 20-20 ფოტო, რომელთა ერთ ნაწილზე ადამიანები გულით იღიმოდნენ, მეორე ნაწილზე კი ცრუ ემოციები იყო აღბეჭდილი.

აღმოჩნდა, რომ სიმართლისა და ტყუილის გარჩევა ძლიერი სქესის 77-მა პროცენტმა შეძლო, მშვენიერი სქესის შემთხვევაში, მაჩვენებელი 58-პროცენტიან ზღვარს ვერ გადასცდა.

– ფაქტია, რომ მამაკაცები არც ისე მიამიტები ყოფილან, როგორც ეს შორიდან ჩანს. შესაძლოა, ისინი, უბრალოდ, თავს იკატუნებენ ხოლმე, რეალურად კი ტყუილს ძალიან ადვილად ააშკარავებენ, – მიიჩნევენ ბრიტანელი მეცნიერები.

მოკლედ, ფრთხილად იყავით, ძვირფასო ქალებო, ჩვენ ყველაფერს ვხედავთ და ყველაფერს ვხვდებით!..

*factroom.ru*

## დამამშვიდებელ პრეპარატებს ადამიანის პარალიზება შეუძლია?!

– კიდურები მოტორიკას კარგავსო, – დაადგინეს მეცნიერებმა მწვანე კონტინენტიდან. ჰოლანდიელი სწავლულები კი ამტკიცებენ, რომ დამამშვიდებელი პრეპარატების მიღებას ფეხმძიმე ქალების შემთხვევაში, მუცლის მოშლა მოჰყვება.



მოკლედ, დასკვნები არცთუ იმედის მომცემია და შემაშფოთებელი ის არის, რომ დამამშვიდებელი პრეპარატები საკმაოზე მეტად გავრცელებულია.

მელბურნის ინსტიტუტის მკვლევართა განმარტებით, ზოგიერთი პრეპარატი იმდენად ნეგატიურ გავლენას ახდენს ადამიანის ტვინზე, რომ დროთა განმავლობაში მას სიარულისა და ხელების მოძრაობის უნარი ერთმევა.

ასეთ სახიფათო დამამშვიდებელთა სიაშია ჰალოპერიდოლი და სხვა ანტიფსიქოტროპული პრეპარატები.

კვლევის ხელმძღვანელის, კლერ პერიშის მტკიცებით, ჰალოპერიდოლის ნემსის გაკეთებიდან 15 წუთში ჩნდება საკმაოდ დიდი ალბათობა იმისა, რომ განვითარდეს შიზოფრენია და ქვედა კიდურების კუნთების მოდუნების სინდრომი.

– პრეპარატები იმდენად მოქმედებს ტვინის ცენტრზე, რომელიც კიდურების მოტორიკაზეა პასუხისმგებელი, რომ პაციენტებში სერიოზული ცვლილებები და არცთუ იშვიათ შემთხვევაში ტვინის სრული დეგრადაციაც ვითარდება, – განმარტავს კლერ პერიში.

დამატებითი ინფორმაციისთვის, შევეცადეთ, ინტერნეტში ჰალოპერიდოლის დანიშნულების დეტალები მოგვეძებნა და მივაგენით, რომ ის გამოიყენება შიზოფრენიასთან და ტვინის ზოგიერთ დაავადებასთან ბრძოლისთვის. ასევე, ალკოჰოლიკებისა და ნარკომანების სამკურნალოდაც. ანუ ნივთიერებას გამოყენების საკმაოდ ფართო არეალი ჰქონია და იმედი გვაქვს, ავსტრალიელი მეცნიერების აღნიშნულ მიგნებას მედიკოსები აუცილებლად გაითვალისწინებენ.

*medkarta.com*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**26 თებერვალი:** თუ დღეს კითხვას დასვამთ, პასუხის მიღების დიდი იმედი არ გქონდეთ. ისე, თქვენ თავადაც, ძალიან გაბედული არ იქნებით.

**კურო 22.04-21.05**
**26 თებერვალი:** რასაც არ უნდა აკეთებდეთ, კარგად გაითვალისწინეთ, რომ თქვენი თავისუფლების საზღვარი იქ მთავრდება, სადაც სხვების იწყება. ხელი არავის შეუშალოთ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**26 თებერვალი:** თქვენთვის ჩვეული, დროში გამოცდილი მოქმედებების სქემიდან არავითარ შემთხვევაში არ გადაუხვიოთ. სიახლეები წარმატებას ვერ მოგიტანთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**26 თებერვალი:** კარგი დღეა გადადებული საქმეების მოსამთავრებლად. თუკი საღამოხანს ვინმეს მონახულება მოგინდებათ, დარწმუნებული იყავით, გაუხარდება.

**ლომი 23.07-22.08**
**26 თებერვალი:** საზოგადოების მორალურ-ეთიკური ხასიათის პრობლემები შეგაწუხებთ. გონს მოეგეთ, ისეთ რამეზე არ ინერვიულოთ, რაც პირადად არ გეხებათ.

**ქალწული 23.08-22.09**
**26 თებერვალი:** შეიძლება დღეს რაღაც ოცნება აგისრულდეთ. თუკი სრულად ვერ მიიღებთ იმას, რასაც ელოდით, ნუ გაწბილდებით, იმაზეც მადლობა თქვით, რაც ბედმა გარგუნათ.

**სასწორი 23.09-22.10**
**26 თებერვალი:** საკმაოდ ოპტიმისტი იქნებით და ძალიან ენერგიულიც. ზედმეტად არ იაქტიუროთ, დიდი ალბათობით, ბევრ ადამიანს შეაწუხებთ.

**მორიელი 23.10-21.11**
**26 თებერვალი:** შესაძლოა, დღეს სერიოზულ წინააღმდეგობებს წააწყდეთ, რომლის გადასალახადაც დიდი ენერგიისა და საკმაო დროის დახარჯვა მოგიწევთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**26 თებერვალი:** დღეს თქვენთვის დრო ძალიან ძვირფასი იქნება. ამიტომ ის იმ ადამიანს დაუთმეთ, რომელიც თქვენთვის ყველაზე ძვირფასია.

**თხის რქა 22.12-19.01**
**26 თებერვალი:** შეიძლება საკუთარ გრძნობებში „გაიხლართოთ“. ასეთი რამ იშვიათობა არ არის, მაგრამ ძალიან დამთრგუნველია. შეეცადეთ, რაიმე საქმით დაკავდეთ და დამშვიდდებით.

**მერწყული 20.01-18.02**
**26 თებერვალი:** დღეს რაღაც საკითხს პასუხსა და ახსნას მოუძებნით, მაგრამ მოგინდებათ თუ არა რაიმეს შეცვლა, ამაზე გადაწყვეტილების მიღება რთული იქნება.

**თევზები 19.02-20.03**
**26 თებერვალი:** შეიძლება, ისეთი რამ გაიგოთ, რაც ვილაცაზე ძალაუფლებას მოგცემთ, ან უხერხულ მდგომარეობაში ჩაგაგდებთ. გააჩნია, მსგავს სიტუაციებს როგორ უდგებით.

**გაზეთი „ალია“ სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!**

**დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:**

**577 74 99 89**

**„ალიას“ რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი**

**(15 საათიდან)**

## განცხადება

შევისყიდი ძველებურ ნივთებს: ხმლებს, ხანჯლებს, ნახშირის სამოვრებს, მედლებს, ორდენებს, ვერცხლეულს, ძველებურ დამუშავებულ ქარვის, მარჯნისა და ფირუზის მძივებს. რუსულ მეფისდროინდელ მონეტებსა და ქაღალდის ფულს 1898 წლამდე, რუსულ წიგნებს 1940 წლამდე სამხედრო, ისტორიულ, კავკასიურ თემატიკებს. ლენინგრადისა და გერმანულ ფაიფურის ფიგურებს, ძველებურ რკინის მასიურ ქანდაკებებს. ძველებურ ავტორიან ნახატებს, ძველებურ ოქროსა და ვერცხლის სამკაულს, ბინაზე მომსახურებით.

**555 125 770; 596 777 773**

## შუქის გათიშვის გასაპროტესტებლად არაბმა მამაკაცმა ელექტროსადენებზე... ფეხშველმა გაიარა

ასეთივე პროტესტი ჩვენც რომ გამოგვეთქვა სულ რამდენიმე წლის წინათ, დღეს უკვე საქართველო ერთი მიტოვებული ტერიტორიაღა იქნებოდა, ალბათ. როგორც ირკვევა, ეს საოცარი შემთხვევა საუდის არაბეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, კერძოდ, სოფელ ასირში დაფიქსირდა, სადაც სინათლის ხშირი გათიშვის გასაპროტესტებლად ადგილობრივმა მკვიდრმა საკმაოდ საშიშ ხერხს მიმართა – მორიგი გათიშვის დროს მუჰამედ ელ-კოჰტანი მაღალვოლტიან გადამცემ ანძაზე აძვრა და სადენზე ფეხშველმა გაიარა.

ბალანსის დასაცავად მუჰამედი ხელით მეორე სადენს ეყრდნობოდა, თუმცა მთავარი მაინც ის არის, რომ არც მან და არც მისმა თანასოფლელებმა, რომლებიც სასიკვდილოდ საშიშ სეირს დაძაბულები შესცქეროდნენ, არ იცოდნენ, როდის აღდგებოდა ელექტროენერგიის მიწოდება.

ალბათ, გასაკვირიც კია, ისეთ ქვეყანაში, როგორიც საუდის არაბეთია, სინათლის გათიშვის პრობლემა რომ არსებობს, მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ უსიამოვნების მიზეზად იქაურ „თელასში“ უამინდობას ასახელებენ და მუჰამედ ელ-კოჰტანის მსგავს ადამიანებს ურჩევენ, ელექტროსადენებზე ბოდიალს თავი დაანებონ.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*top.rbc.ru*



– აბა, ერთი, საბარგული ახადეთ... ოჰ, აქ რა ხდება, ეს ვინ არის?!

– ეს უფროსო, ჩემი შეფია – ვასილიჩი, ბიზნესმენია და ბანკის კრედიტორებს ემალება... უი, ნახეთ, უფროსო, 100-დოლარიანი დაგივარდათ.

– ვხედავ, ვხედავ... მომწონს მძღოლებს ყველაფერი წესრიგში რომ აქვთ! აი, მშვენიერი სათადარიგო საბურავიც გქონიათ. თავისუფალი ბრძანდებით....

*მოამზადა დავით ახობაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

**გაზეთი „ალია“**

გამოდის ოთხშაბათს და პარასკევს

გამომცემელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (108)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართია: აკადემქალაქი, I კვარტალი 80-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.21